

GEORG WILHELM FRIEDRICH HEGEL

**Vorlesungen  
über die Philosophie  
der Gerschte**

Ins Georgische übersetzt von NODAR NATADSE

*Vorwort*

**Tamas Buatschidse**

*Nachwort*

**Nodar Natadse**

Tbilisi, 2001

გეორგი ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი

# ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე

გერმანულიდან თარგმნილი ნოდარ ნათაძის მიერ

თამაზ ბუაჩიძის წინასიტყვაობით  
და  
ნოდარ ნათაძის ბოლოსიტყვაობით

თბილისი 2004

## ანოტაცია

ჰეტლი პირელი ფილოსოფოსი და მკვლევარი, რომელმაც ისტორია გააზრა როგორც აზრანი პროცესი, და არა ფაქტების გროვა. ისტორიაში მის ადამიანი განუთარება. ანუ ასეთი უფრო დაბალი საფეხურიდან უფრო მაღალზე. ამ განუთარების შესაძრისა თ ა ე ი ს ე ფ ლ ე ბ ი ს ზ რ დ ა - ადამიანის საზოგადოება თანდათან იმეჭებას, რომ ადამიანი, როგორც ასეთი, თვისუფალია, რომ ყ ე ე ლ ა ადამიანი თვისუფალია, და იხილუბელს ხდება. თვის წყობა ამ ცოდნის შესაძრისად აგოს, ესა ისტორიის პროგრესია.

ეკელი ატორი, ენც ისტორიაში კანონზომიერი განუთარებას ხედავს და არა მხოლოდ შესახეეუბობს ან წრებრუნებას, პრდაპირ ან არაპრდაპირ ჰეტლის ამ სუორისა ცკრდნობა. ამ სუორის ცოდნა აუჯღუბელა ეკელსათვის, ესაც ისტორიის ან მხოლოდ პოლიტიკური სისტემის გააზრება ჰსურს.

© Nodar Natadze

ISBN 99928-0-185-9

ქველა ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა პოლიტიკის საკითხებისადმი. საქმარისია იმის აღნიშვნა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის წლებში ტიუბინგენის უნივერსიტეტის დოქსიმენტუალური ფაქულტეტის სტუდენტი გიორგი კილაქელმ ქველმა ძალიან აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკური კლუბის მუშაობაში. მისი ყოველი გამოხატვა ამფუნქცია ისტორიის ღრმა ცოდნას.

ეს დაინტერესება პოლიტიკით და პოლიტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული ისტორიით ნათლად იგრძნობა უფრო გვიანაც, 1798 წელს ქველის მიერ უნივერსიტეტის დაშორების შემდეგაც. იგრძნობა ის ბერძენი და მანისის ფრანკურებში კერძო მასწავლებლად ყოფნის დროს, იმის უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში, ბამბურგის გაზეთის რედაქტორების წლებში, ნიურნბერგის კამინაზის დირექტორობისა და, ბოლოს, პაიდელბერგსა და ბერლინში მოღვაწეობისასაც.

სწორედ ბერლინის უნივერსიტეტში 1822 წელს პირველად წაიკითხა ქველმა ლექციები, რომლებშიც ისტორია იყო განაწილებული ფილოსოფიურად. ისტორიის მიმართულების. საბოლოო მიზნის, საზრისის დადგენა, სხვა სიტყვებით — ისტორიის აზროვნებით განხილვა, ქველის თანახმად, ძალიან აქტიური ამოცანა და მისი გადწვევა ისტორიის ფილოსოფიას ევალება.

თუ ადრე ქველის შრომები იწერებოდა კანტის, ფიხტესა და შელინგის თვალსაზრისითაა შეფასებული, უფრო გვიან, — განსაკუთრებით, იენაში მოღვაწეობისას — ის აყალიბებს საკუთარ, ორიგინალურ ფილოსოფიურ სისტემას. ბერლინის პერიოდში ამ სისტემას საბოლოო სახეს აძლევს. ისტორიის ფილოსოფია სწორედ ამ ფილოსოფიური სისტემის აუცილებელი და მტკიცე საინტერესო შემადგენელი ნაწილია.<sup>1</sup>

ბუნებრივად: რაია ზუსტი წარმოდგენა ეკონდეს ამ შემადგენელ ნაწილზე, საჭიროა მისი ადგილის ჩვენება ქველის ფილოსოფიურ სისტემაში, როგორც გარკვეული სახის მთლიანობაში.

ეს მთლიანობა იყოფა სამ ნაწილად: პირველია ლოგიკის მეცნიერება, მეორეა ბუნების ფილოსოფია, მესამეა გონის ფილოსოფია.

ჩვენი აზრით, სამეცნიერო ნაწილის ძირითადი პრინციპია დატეხება ღმერთის აბსოლუტური ძლიერების შესახებ. ქველის თანახმად, "ფილოსოფიურ მეცნიერებას საქმე აქვს მხოლოდ იდეასთან, რომელიც ისეთი უძლიერ არაა, რომ იგი მხოლოდ უტარარს, რომ იყოს, ხოლო ნამდვილად არ იყოს"<sup>2</sup>. იდეა, რომელიც ღმერთის გამოვლენაა, სინამდვილის სახესაც იღებს. ეს იდეა არა მხოლოდ უნდა იყოს, იგი არ კმაყოფილდება ამ "უნდათი", "კერძოთი", არამედ რეალიზდება, განამდვილდება. ღმერთი აბსოლუტური ძლიერების მქონეა და, როგორც აბსოლუტური ძლიერების მქონე, მას ძალუძს ყოველი მიზნის მიღწევა, თავისი თავის შეტანა. ღმერთი, რომელიც ამ არა აქვს ეს ძლიერება, არ არის ღმერთი.

ქველის ფილოსოფიური სისტემის პირველი ნაწილი — ლოგიკის მეცნიერება — ტრადიციული ლოგიკა კი არ არის, არამედ მოძღვრებაა სწორედ ღმერთზე, როგორც აბსოლუტურად ძლიერ არსებულზე. ლოგიკის მეცნიერება, ქველის სიტყვებით, არის "გამოცემა ღმერთისა იმ სახით, როგორცაა ის თავის მარადიულ არსებაში, ბუნებისა და რაიმე გონის შემქმნაღ". ლოგიკა იხილავს უსასრულო ღმერთის, მის გარკვეულობას. მას არ ესაჭიროება გარდგანი ბიძგი. მოძრაობისა და განვითარების წყაროს ის თავის თავში შიკვებს.

ლოგიკა, მამასადაც, მოძღვრებაა ღმერთზე, თეოლოგიაა. ამჟამ დროს ლოგიკა მეტაფიზიკაა, ე.ი. სწავლებაა ზღვრითობაზე, ზედისიულებაზე. ის გარკვეული აზრით ონტოლოგიაცაა — მოძღვრებაა იმ ყოფიერების გარკვეულობებზე, რომელიც ღმერთის გამოვლენაა. ლოგიკის მეცნიერება იწყება ღმერთის ყველაზე მარტივი, ღარიბი და ღმერთის სხვა გარკვეულობებისგან იზოლირებული, ე.ი. აბსტრაქტული გარკვეულობის განხილვით ჯეს გარკვეულობა, რომელიც ლოგიკაში წარმოდგენილია კატეგორიის სახით, შიკვავს შინაგან წინააღმდეგობას: დადებით ელემენტს — თუხისს — უსიარსობრდება უარყოფითი ელემენტი — ანტითუხისი. თუხისს და ანტითუხისი გაერთიანდება შესამე კატეგორიის საშუალებით, მოხდება ახლა საფეხურზე. ეს საფეხურია სინთეზი, რომელიც წინამაჟე საფეხურებს მოხსნის, უარყოფს, მაგრამ ამჟამ დროს შინაზუსს მომენტის სახით. ქველის ლოგიკა და, საერთოდ, ფილოსოფია კატეგორიათა ამაყვარა მოძრაობაა, გადასულა თუხისსიდან ანტითუხისსაკენ, აქედან — სინთეზისკენ. ყოველი შემდგომი კატეგორია უფრო რთულია, მდგრადია და კონკრეტულია — უფრო მრავალი გარკვეულობების მქონე; ლოგიკის მეცნიერების ბოლო კატეგორია ყველა ადრეულ კატეგორიასთან შედარებით რთული, მდგრადი და კონკრეტულია.

ასეთია ქველის მიერ მოხმარებული დიალექტიკური მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენების საფუძველზე მიღებული აბსოლუტური იდეის კატეგორია გადმოცემს უსასრულო ღმერთის ყველა გარკვეულობას: ის ლოგიკის მეცნიერების ბოლო კატეგორიაა, ე.ი. ჩვენთვის — მითხველათათვის — ბოლოა, მაგრამ თავისთავად ყველაფრის განმსაზღვრელია და, ამ აზრით, პირველია. გარდა ამისა, ლოგიკის მეცნიერებაში ჩვენ ვეცნობით უსასრულო ღმერთის გარკვეულობებს, მაგრამ არ ვეცნობთ მის სასრულ გამოვლენებს, ფილოსოფიურად სისტემაში კი ღმერთის სრულყოფილი, ყოველმხრივი დასასათება უნდა მოგვეცეს. ამიტომ შემეცნება უნდა გაგრძელდეს: პირველ ნაწილს უნდა მოჰყვეს მეორე ნაწილი.

<sup>1</sup> ქველი, ლოგიკის მეცნიერება, 1951, გვ. 91.

ქველვის ფილოსოფიური სისტემის მეორე ნაწილი ეძღვნება ბუნებას, როგორც ღმერთის სასრულ გამოვლენას, ღმერთის გაუცხოებას, სხვაგვარად ყოფნას. ბუნების ფილოსოფიაშიც სვლა იწყება ყველაზე მარტივით და თავდება ყველაზე რთულით, კრძობ, მექანიკას ცელის ფიზიკა, ფიზიკას—ორგანიკა. ბუნების სიღრმეში მოქმედი ღმერთის გარკვეულობები თანდათან მალდღებინან ადამიანის გონამდე. ამ წერტილში ბუნების ფილოსოფია ასრულებს თავის სამუშაოს და უთბობს ადგლია ქველვის ფილოსოფიური სისტემის მესამე ნაწილს — "გონის ფილოსოფიას". ბუნება არ არის ღმერთის სრულყოფილი, ადეკვატური გამოვლენა: ის ღმერთის განსხვავებაა. იმისათვის, რომ ინფორმამ შექლოს თავისი თავის შეცნობა. სისტემას განვითარება ესაჭიროება — უნდა არსებობდეს ადამიანის გონი, რომელიც სასუქული იქნება შემეცნებისა. რადგან ღმერთი ადამიანის სასუქლებით შექმნის საკუთარი თავის შემეცნებას.

"გონის ფილოსოფიაში" სამი ნაწილია სათაურები: "სუბიექტური გონი", "ობიექტური გონი" და "აბსოლუტური გონი". "სუბიექტური გონის" პირველი ნაწილი — ანთროპოლოგია — სწავლობს ადამიანს, როგორც ბუნების არსებას. ის ორგანული გაგრძელებაა ბუნების ფილოსოფიისა. ამ ნაწილმა უნდა გეაქვეყნოს ადამიანის ბუნებრივი, თანდაყოლილი თვისებები.

ადამიანის შვიდრო კეთილი ბუნებასთან ხათლად შეღავნდება სხვადასხვა ბუნებით თვისებებში: ადამიანი ეკუთვნის გარკვეულ რასას, ერს, მას აქვს გარკვეული ნასათი. ტემპერამენტი, ასაკი, სქესი, ის დაჯილდოებულია გარკვეული ტალანტით ან გენიით სიცილის ან ტირილის უნარებით და ა.შ.

"სუბიექტური გონის" მეორე ნაწილი — ფენომენოლოგია — განიხილავს ადამიანის ცნობიერების განვითარების საფეხურებს. ის იწვება გულბერვილი ცნობიერების დახასიათებით. ეს განვითარება თანდათან მალდღება, მიადწევს ფილოსოფიური ცნობიერების დონეს, გონებას.

"სუბიექტური გონის" მესამე ნაწილია ფსიქოლოგია, რომელიც გარკვეული სინთეზი თეზისისა, ე.ი. ანთროპოლოგიისა, და ანტითეზისისა, ე.ი. ფენომენოლოგიისა. ის იკვლევს ადამიანის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ გონს. თეორიული გონის კვლევისას ფსიქოლოგია ქება ჭერტება. შემდეგ გადადის წარმოდგენაზე, რომლის საფეხურებია გასხვება, წარმოსახვა და მჭსიერება. კვლევა ადვირკინებს აზროვნების რაობის დახასიათება.

პრაქტიკული გონის შესახებ მოძღვრების გადმოცემისას ქველი დეტალურად იხილავს პრაქტიკულ გრძობას, სწრაფებას, თვითნებობას, ბედნიერებას. ფსიქოლოგიის ბოლო მონაკვეთი ქება თავისუფალ გონს: სუბიექტური გონი წარმოგედება როგორც თეორიული. ის თავისუფალია და ამეუდრის გონის იყის, რომ თავისუფალია. სუბიექტურ გონს სურს დაბლიის თავისი სუბიექტურობა და განახორციელოს თავისი თავისუფლება: სუბიექტური გონი ობიექტურ გონად იქცევა.

"გონის ფილოსოფიის" მეორე ნაწილი — მოძღვრება ობიექტური გონის შესახებ — არის ქველვის მოძღვრება კულტურაზე.

ობიექტური გონის დახასიათება სამ ნაწილს შეიცავს. ჯერ შესწავლილია სამართლის არსებობის ფორმები, საკუთრება, ხელშეკრულება, სამართლის დარღვევის ფორმები, დანაშაული, სასჯელი. მეორე ნაწილი — მორალურობა — იკვლევს განსხვავებას, სინდისს. მესამე ნაწილში, რომელსაც ზნეობრობა ეწოდება, განიხილება ოჯახი, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო.

სახელმწიფოს იდეას ქველი უდიდეს ღირებულებას ანიჭებს. სახელმწიფო არის ზნეობრივი იდეის სინამდვილე; ყოველი ინდივიდი ვალდებულია, თავიდან მოიშოროს კრძობ ინტერესი, თვითნებურობა, საკუთარი კაპრიზი და დაეპირილოს სახელმწიფოს ზოგად წესს. სახელმწიფო იდეა გამახსატეს საზოგადოების წევრის შინაგან, არსებით მოთხოვნას. ამიტომ სახელმწიფოში ულინდება ინდივიდის თავისუფლება.

ქველი იკვლევს სახელმწიფოს შინაგან აგებულებას, შემდეგ კი არკვევს სახელმწიფოს მიმართებას სხვა სახელმწიფოებთან. ქველის "გონის ფილოსოფიის" იმ მონაკვეთში, რომელშიც განხილულია სახელმწიფო, შინაგან სახელმწიფო სამართალს და გარეგან სახელმწიფო სამართალს მოხსენიებულია სახელმწიფოებში "მსოფლიო ინტერესი". მამასადამე, ისტორიის ფილოსოფიის ადგლია ქველვის ფილოსოფიური სისტემის მესამე ნაწილშია, კრძობ, ობიექტურ გონზე მოძღვრების ბოლოსა.

ისტორიის ფილოსოფია ქება ობიექტურ გონს, მავრან ისტორიისათვის გადამწყვეტია დროის ცნება. ისტორიის ფილოსოფია სწავლობს ობიექტური გონის დროში განვითარებას, იმ სასრულ ფორმებს, რომლებშიც დროში არიან გაშლილი. ობიექტური გონისაგან განსხვავებით აბსოლუტური გონი ქება იმ აბსოლუტურ, ზედროულ ფორმებს, რომლებითაც ღმერთი შეიმეცნება: ხელეუებას, რელიგიას და ფილოსოფიას. რასაკვირველია, ისტორიის ფილოსოფია ამ სამ ფორმასაც ქება, მავრან სწავლობს მათ როგორც დროში არსებულ სასრულ პროცესებს, მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორიას იკვლევს. გონის ფილოსოფიის მესამე ნაწილი კი ამ ფორმებს ახასიათებს დროის გარეშე, როგორც ღმერთის წვდომის ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფორმებს.

ისტორიის ფილოსოფიაშიც ღმერთის ცნება მთავრია: ისტორია ღმერთის გარკვეული გამოვლენაა, ღმერთის გონება ბაჟონობს ისტორიაში.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისტორიკოსმა რაიმე მოიგონოს აპირირულად (მაგალითად, უძველესი ხალხი) და ასეთი

აპრიორული, სინამდვილეში არარსებული ფენომენებით აკოს ისტორიული პროცესი. ისტორიკოსი უნდა მიხედოს ისტორიულ მოვლენებს, არ დაამახინჯოს ისინი. ისტორიას არა აქვს მხოლოდ ემპირიული, გრძნობადი მხარე, მას არაემპირიული, ზედგრძნობადი მხარეც აქვს. სწორედ აქ, შვიდობიერებაში, ემპირიკურები ბატონობს გონება. ვინც სამყაროს გონიერად უყურებს, მას სამყაროც გონიერად უყურებს, აღნიშნავს აქველი. ეს ორი პროცესი ურთიერთობაშია. ისტორიის მტკაფიზიკური მხარის გათვალისწინება გვასწავლის, რომ ისტორიას აქვს საბოლოო მიზანი. ისტორიის ფილოსოფია გრძნობადიდან, "ფიზიკიდან" გადადის ზედგრძნობაზე, დაფარულზე, შინაგანზე და ამ გზით ისტორიის საბოლოო მიზანს პოულობს.

ამ მიზნის გაგებისათვის საჭიროა ერთმანეთს შევედაროთ მატერია და გონი. მატერიის არსება, აქველის თანხმად, სიმძიმეა, სიმძიმეს კი ერთი ძირითადი ტენდენცია აქვს: გაერთიანების ტენდენცია. მატერია, მაშასადამე, ისწრაფავს გარეო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთიანობა ვერ აღწევს. მისწრაფების საკენი გარეთ რჩება.

სულ სხვაგვარია გონის არსება. გონიც ერთიანობისკენ ისწრაფვის, მაგრამ მისი სწრაფვის ცენტრი გარეთ კი არაა, თვით გონშია. თუ მატერიის სუბსტანცია, აქველის აზრით, გარეთაა, გონის სუბსტანცია გონშივეა. თავის თვთში ყოფნა თავისუფლებას ნიშნავს. ღმერთის, როგორც უსასრულო გონის, არსება თავისუფლებაა. რადგან ისტორია ღმერთის გამოხუფებაა, მისი საბოლოო მიზანი სხვა არაფერი შეიძლება იყოს გარდა თავისუფლებისა: ისტორია არის პროგრესი თავისუფლების შეგნებაში.

ყოველი ადამიანი თავისუფალია, მაგრამ ისტორიის ადრეულ ხანაში ეს თავისუფლება მოცემულია როგორც შესაძლებლობა, მოცემულია პოტენციურად. აღმოსავლეთ ხალხებში (ლბაკარია ძველი აღმოსავლეთის ხალხებზე) თავისუფალი მხოლოდ ერთი ადამიანი — ღესპოტი. თავისუფლება ამ დროს გაგებულია როგორც თვითნობა. ღესპოტი აკეთებს იმას, რაც მოესურვება, რაც პასუხობს მის კაპრიზებს.

აქველის თანხმად, აღმოსავლეთის ხალხებმა არ იციან, რომ თავისუფალია ყოველი ადამიანი, ამიტომ ისინი არც არიან თავისუფალი.

ბერძნებმა და რომაელებმა გადადგეს ერთი ნაბიჯი წინ — მათი აზრით, თავისუფალია არა ერთი, არამედ ზოგიერთი. მაგალითად, ბერძნისათვის თავისუფალია ყოველი ბერძენი, მოქალაქე, მაგრამ არათავისუფალია შრანი.

აქველი ფიქრობს, რომ პირველად გერმანმა ერებმა ქრისტიანობის წყალობით გააცნობიერეს ყოველი ადამიანის თავისუფლება. გაიკევა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი: თავისუფალია ადამიანი, როგორც ახეთი. ადამიანის ეს თვისება უნდა არსებობდეს არა შესაძლებლობაში, არამედ ამ თვისებამ რეალობა უნდა შეიძინოს. კაცობრიობა ისტორიაში მიდის ამ საბოლოო მიზნისაკენ — თავისუფლებისაკენ. სწორედ თავისუფლება არის ადამიანობის შესაბამისი მდგომარეობა. ადამიანის გონი სწედა იმის ცოდნას, რომ ადამიანი სინამდვილეში თავისუფალია. ადამიანი არ არის ბუნების ნეთი, რომელიც მხოლოდ არსებობს, ადამიანი ქმნის თავის თავს, აქცევს მას თავისუფალ არსებულად.

თავისუფლება, აქველის თანხმად, არ უნდა გაეგოს, როგორც პასუხობა, როგორც უმოქმედო ყოფიერება. თავისუფალი გონი მოქმედებაა, ის ქმნის სრულიად ახალ ფორმებს, რომელთა საშუალებითაც თავისი თავის, ე.ი. თავისუფლების რეალიზაციას ახდენს. ის, რაც არსებობდა, როგორც პოტენცია, თანდათან ნამდვილი ხდება. ამ განამდვილების პროცესს დრო ესაჭიროება. კაცობრიობის ისტორიის ცალკეული ფაზები თავისუფლების ამ პროგრესს გეაწვენიენ. ეს პროგრესი დროშია გაშლილი.

საერთოდ ისტორიული მსვლელობა სხვადასხვანაირად გაიანზრება. ზოგჯერ ეს მსვლელობა, მოაზროვნება აზრით, წარმოადგენს რგრესს. მაგალითად, მიჩნევენ, რომ თუდაპირველად იყო ოქროს ხანა, შემდეგ მან ადგილი დაუთმო ვერცხლის ხანას. ისტორიის მსვლელობის ბოლოსაა რკინის ხანა, რომელიც ვერცხლის ხანას სცვლის.

ზოგჯერ ისტორიული მსვლელობა ესმით როგორც წრებრუნვა. ამტკიცებენ, რომ, საბოლოო ანგარიშით, ისტორიაში ყველაფერი მეორდება.

აქველისათვის ისტორია, როგორც ვთქვით, პროგრესია, სვლა ისტორიის საბოლოო მიზნისაკენ, თავისუფლებისაკენ. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ფიქრობს, რომ ისტორია თავისი არსით ტელეოლოგიურად უნდა იყოს გაანზრებული: ფილოსოფიის ისტორია ტელეოლოგიის ერთ-ერთი სახეა.

ახლა იბადება კითხვა: როგორ არის შესაძლებელი პროგრესი, თუ ყოველ მდვილს ამოძრავებს საკუთარი ინტერესი, საკუთარი მიზანი, საკუთარი ენება?

აქველი რეალისტიკია. მას შესანიშნავად მოეხსენება, რომ ისტორიის მამოძრავებელი მიზნები იშვიათადაა მაღალი და კეთილშობილი მიზნები. ისტორიაში გადაწყვეტ რაღაც ასრულებს არა სამშობლოს სიყვარული ან თავისუფლების ერთგულება, არამედ ადამიანთა ეკონომური ინტერესი, ანგარება, ეთნი, ადამიანთა ენების შედეგი ბოროტება და უბედურებაა. როგორც შეიძლება მსოფლიოს გონების ამ "მიწიერმა" საშუალებებმა დაბადონ "მაღალი" რამ — თავისუფლება? განა ადამიანის ამ ეკონომით შესაძლებელია მისეულ თავისუფალ საზოგადოებაში?

აქველის პასუხები ამ კითხვებზე გამოირჩევა პრაქტიკიულობასა და თვემუკაცყველ ოპტიმიზმს ისტორიის გაგებაში. ადამიანების მიერ შექმნილი, აყვავებული, ძლიერი სახელმწიფოები ისობაა. დაწყობილი, წესრიგისა და კანონების მქონე საზოგადოებები ნადგურდება, ბატონობს ტრაგედია, კონფლიქტი, წინააღმდეგობა. ომი, ბრძოლა. რომელ ოპტიმიზმზე

შეიძლება აქ ლაპარაკი?! ჰქველმა ძალიან კარგად იცის, რომ ისტორიის მსეულელობაში ძალიან ზმირად ყვითლ მანხებს უბედური შედეგები ახლეს. რომ ისტორიაში მუდმივების პერიოდები ცოტაა და ამიტომ ისინი ცარიელ ურუკლებად შეიძლება ჩაითვალოს.

მიუხედავად ამისა. შეცდომა იქნებოდა ქვეულის მიერ ისტორიის გაგება უსიმბიზად მოგვეჩინა. დიდი გერმანელი მოაზროვნე უსიმბიტი იქნებოდა იმ შემთხვევაში, მას რომ ისტორიის ორი მხარის — ფიზიკურად და მეტაფიზიკურად, — არსებობა არ აღიარებინა. ისტორიის მსეულელობაში ზვედრნობაზე, მეტაფიზიკურზე ვადასვლა, ქვეულის მიხედვით, ნიშნებს იმას, რომ მიაგნო ისეთ შრეს, რომლის თანახმაზეც, მართალია, ისტორია არ არის ბედნიერების სარბილი, მაგრამ დემოკრატის დაიდი საქმის გამოიქვანა. ისტორიის ფილოსოფიის, როგორც მოაზროვნე განხილვის, ამოცანაა ამ ზვედრნობადი მხარის ზუსტი დახასიათება.

ქველი ზვედრნობადი მხარის დახასიათების გამოიქვანებს ღმერთის "ცბიერების" ცნებას: ირკვევა, რომ ღმერთი არა მხოლოდ აბსოლუტური ძლიერების მქონეა, არამედ ცბიერიცაა.

რა აზრს ეღებოთ ჩვენ გამოქვამში "ცბიერი"?

"ფილოსოფური მეცნიერებათა ენციკლოპედიაში" ქველი ამომწურავ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე. მისი აზრით, ცბიერება არის მოქმედება, რომელიც ობიექტებს თავისი ბუნების შესაბამისად ამოქმედებს ერთმანეთზე. საშუალებას აძლევს მათ ამ მოქმედებით გამოიფიტონ ერთმანეთი, და ამ პროცესში უშუალოდ, ჩაურევლად განახორციელონ თავისი საკუთარი მიზანი<sup>2</sup>.

ცბიერება ისტორიაში უნდა წარმოედგინოთ როგორც პროცესი, რომლის წევრები არიან ღმერთი, ერთი მხრით, და ადამიანი თავისი ენებებით, შორეულ მხრით ღმერთი ადამიანის ენებებს თავისი მიზნების მიღწევის საშუალებებად იყენებს. ადამიანები თავისუფლად მოქმედებენ, მათი ინტერესები, მოთხოვნები, მიზნები ზმირად ევჯახებთან ერთმანეთს, თვითონ ღმერთი არ მონაწილეობს ამ შეჯახებაში, მაგრამ ადამიანთა ამ ერთიერთშეჯახებისას ზორციელდება ღმერთის მიზანი — თავისუფლება. ეს შესაძლებელია, რადგან ისტორიაში მიზანი და შედეგი არ ერთხვევა ერთმანეთს. შედეგი ისეთ რაშეს შეიცავს, რაზეც მიზნის დასახვისას ინდივიდს არც უფიქრია. ქველი წერს: "ღმერთი ადამიანებს საშუალებას აძლევს, იმოქმედონ. იგი მათ განსაკუთრებულ ენებებსა და ინტერესებს გასაქანს აძლევს, მაგრამ ის, რაც ამის შედეგად მიიღებს, მისი იმ ზრახვათა აღსრულებას წარმოადგენს, რომლებიც სულებით განსხვავდებიან იმ მიზნებისაგან, რომლებიც ისინი შემძლებელბოდნენ, რითაც ის სარგებლობს"<sup>3</sup>. ღმერთი რეალობად იქცევა ისტორიაში მხოლოდ ადამიანთა ნების წყალობით ზოგადად ღმერთს თავისი რეალობაციისათვის ესაჭიროება ცალკეულ ადამიანის მოქმედება. ქველის თანახმად, არაფერი დაიდი არ მომხდარა ქვეყანაზე ენების გარეშე. ადამიანის ენება ემორჩილება ღმერთის ფანდს. ქველს ამ ფანდის მაგალითი მოჰყავს. თქვეთა შურისძიების გრძნობით ავსილი ადამიანი ცეცხლს უკიდებს მტრის სახლს. მისი მიზანია მხოლოდ მტრის სახლის ანადგურება, მაგრამ ხანძარი სხვა სახლებზეც ვრცელდება. ეს გავრცელება, ცხადია, არ არის ხანძრის გამწენის მიზანი, მისი განზრახვა. ამ შემთხვევაში მიზანი და შედეგი, განზრახვა და მისი რეალობაციის კონკრეტული სახე აბსოლუტურად სხვადასხვაა. მიზეზი, განზრახვა უნდა ყოფილიყო მხოლოდ შურისძიება, მაგრამ ინდივიდის მოქმედების შედეგი დასაშუალებელია.

ისტორია — ეს სრულდება: ადამიანთა ენებების საშუალებით ისტორია მიდის თავის საბოლოო მიზნისაკენ — თავისუფლებისკენ. ადამიანის თავისუფალი გადაწყვეტილებების უკან იმალება აუცილებლობა, ღმერთის მიერ დადგენილი კანონი: თავისუფლება დაიკეტიკურ კავშირშია აუცილებლობასთან.

ღმერთის ფანდი იმასაც ლაპარაკობს, რომ ისტორიის ფილოსოფია, ქველის თანახმად, თეოდიცეა - ღმერთის გამართლება.

ისტორიის ფილოსოფია, როგორც თეოდიცეა, აჩვენებს, რომ ისტორიის ზხაზე უამრავი სიბოროტე გვეხდება. გაბატონებულთა შეუწყნარებლობა, სიკვდი, მპარტყვნობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისტორიაში ღმერთის მიზნები ზორციელდება. ისტორია, გვერტება ქველი, სულაც არ არის ბედნიერების რეალიზება. ის ღმერთის საქმის ზორცემსხმა: ისტორია არის არა ბედნიერების თანდათანობითი ზრდა, არამედ, გარკვეული ფანდის მიხმარებით, ღმერთის გამოიქვანება. მოაზროვნე ენებებამ ბოროტების არსებობა უნდა მოარჩოს ღმერთის არსებობასთან, ამ მიზნით უნდა აჩვენოს, რომ ბოროტება ვადალახება, მას არ ძალეში შეინარჩუნოს თავისი შმიშენელობა ღმერთის გვერტით ისტორიის საბოლოო მიზნის "დადებითში" ქრება "ურყოფითი".

ცალკეული ინდივიდების ქცევა, როგორც წესი, გარკვეული აზრით განსაზღვრულია. იგი განსაზღვრულია ინდივიდის "მადლა" მდებარე ხალხთა გონით. ქველის ისტორიის ფილოსოფია ქება ღმერთს, ხალხთა გონს და ინდივიდს. მშუასადამე, არსებობს ზოგადი (ეს ღმერთია), განსაკუთრებული (ეს ხალხთა გონია) და ცალკეული (ეს ინდივიდია). ღმერთის საქმე, ე.ი. ზოგადი ყოველთვის გარკვეული გონის სახით და, საბოლოოდ, ინდივიდების ენებათა სახით რეალიზდება. ხალხის გონის თანამიმდევრობა დროში არის ერთადერთი გზა, რომლითაც ხდება ღმერთის რეალიზება.

<sup>2</sup> ქველი, ლოგიკის მეცნიერება. გვ. 409.

<sup>3</sup> იქვე.

ინდივიდი ცხოვრობს როგორც წევრი იმ საზოგადოებისა, რომელსაც მალიაჩობად აქცევს ხალხის გონი. ინდივიდი ხალხის გონის განვითარებას თვითებს — ამ გონის ენას, ჩუქვებს, რიტუალებს, წესობას, ხელშეწყობას, რელიგიას. ვერც ერთი ინდივიდი ვერ გადააბიჯებს თავის საზოგადოების დროულ საზღვარს.

ხალხის გონს თავის ძირითად პრინციპი აქვს. ეს პრინციპი ყველაზე დაბალ მდგომარეობაში კონკრეტულ გონს (სიტყვა „კონკრეტული“ მნიშვნელობა იხ. ზემოთ) აძლევს გარკვეულ დროის მანძილზე ბატონობის საშუალებას. ხალხის ყოველი გონი რეაგნირებს სტატი: ის იბადება, იზრდება, აღწევს ზენიტს, ბერდება და ეკვება. ყველაზე პრიმიტიული და მარტივი კონკრეტული გონი ადგილს უთმობს ხალხის ახალ გონს, რომელიც ახალ, შედარებით რთულ პრინციპს ფლობს. ასე ვითარდება ისტორია: ღმერთი, მსოფლიო გონი საუფლებად გამოიყენებს ცალკეულ გონს, თანდათან ამაღლებს, შეადარებს მარტივიდან რთულსაკენ გადავა. ხალხის ყოველი გონის პრინციპი არის მისიანი, „ტელოსია“. ჩვეულებრივ ეს „ტელოსი“ წინააღმდეგება ხალხის ყაჭობრივ მდგომარებას. წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ამ „ტელოსსა“ და ხალხის ფაქტობრივ მდგომარებას შორის, არის ხალხის მოქმედების სტიმული. ბოლოს ხალხი ამაღლება თავის „ტელოსამდე“. როცა ხალხის გონის პრინციპი სრულ რეალიზაციას აღწევს, ინდივიდები უკვე კარგავენ მოქმედების სტიმულს. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა მოვიდეს შემდეგი ხალხის გონი, რომლის შიგნით აქველის თანახმად, იგივე მოქმედებები გამოივლიან.

ამრიგად, ისტორიის ფილოსოფია წარმოგიადგება როგორც ხალხის გონთა ცალკეული ფაზების ერთობლიობა. ყველა ეს ფაზა დროში არასოდეს რეალურად არ გვეხვება; დროში გვეხვევა მხოლოდ ერთი ფაზა, მაგრამ ტექსტობრებში ფაზათა განვითარების პროცესი. ფაზათა მოტივანობა. აქველის თანახმად, ტექსტობრებში მთელი ეს არა მთლიან ნაწილია.

ყოველი ფაზა წინა ფაზას მოხსნის და შეინახავს: ისტორიაში არაყერი არ იკარგება. ისტორიის სუბსტანცია — ღმერთი — მარადიან ფაზებს სვლას. ანიჭებს ისტორიას მიმართულებას. გზას თავისი თავის ყველაზე არსებითი თვისებებისა — თავისუფლებისა.

ისტორიის ბოლო ფაზა ღმერთის ამ ნიშნის ყველაზე ადეკვატურად გამოხატავს.

ყოველ ფაზაში ინდივიდების კერძო ენებებს გარკვეულ ზოგად კანონს აძლევს სახელმწიფო: ამ კანონს უნდა დაემორჩილოს ყოველი ადამიანი. სახელმწიფო, აქველის თქმით, არის ზეკობრივი დივის კონკრეტული სახე, ის ფუნქციონირებს, რომელიც ინდივიდის სიცოცხლეს გონიერ სახეს აძლევს. სწორედ სახელმწიფოში მიიღწევა ისტორიის საბოლოო მოხანი — თავისუფლება, ის მიიღწევა იმ ხალხებში, რომელთა გონიც დამოუკიდებლობა ყველაზე გონიერ სახელმწიფოებში კანონებს. ბუნებაში ცვლილებას ყველა ამჩნევს. ყოველი პროცესი ძველის გამეორებაა. სხვაგვარა, აქველის აზრით, ცვლილებები გონით სამყაროში — ყოველი ახალი სახელმწიფო უფრო სრულყოფილია, ვიდრე წინა. შეიძლება რაღაც ახალ ელემენტს. ეს ცვლილება განვითარება, პროგრესია, გონის გაახალგაზრდაობის პროცესია, თანაც, ეს პროცესი გულისხმობს კულტურის არა მხოლოდ რაოდენობრივ ზრდას, არამედ თვისობრივსაც. გვიანდელი ეპოქები წინას ვერდნობიან, წინას გადაამეორებენ, ახალს შემატებენ. ძველი აღმოსავლეთის სამყარო, აქველის მიხედვით, იყო კაცობრიობის ბუშუბობა, კაცობრიობის განვითარების პირველი საფეხური, როდესაც გონი ერთიანობაში ბუნებასთან. მეორე საფეხურია კაცობრიობის სიმჭიდროვის და მრეიფეობის ასაკი, როდესაც გონი და ბუნება ერთმანეთისაგან გათოშობაშია. ეს საფეხური წარმოდგენილია საბერძნეთის და რომის ისტორიით. მესამე საფეხურია ქრისტიანულ-გერმანული სამყარო, სადაც კაცობრიობის განვითარების სუბიექტური გონისა და ობიექტური გონის შერეობა ხდება, გაცნობიერდება, რომ თავისუფლება უფრო ადამიანის თვისებაა. ეს კაცობრიობის დაღვინების წლებია.

აქველის თანახმად, ფაზების ერთობრივად მიმდინარეობის პროცესში უდიდეს როლს თამაშობენ ისტორიული პიროვნებები. მათ შეუძლიათ ამ როლის შესრულება, რადგან მსოფლიო გონების სწრაფვა ემთხვევა ამ პიროვნებათა მიზნებს. დიდი ისტორიული პიროვნება იღებს იმას, რომ რაღაც ზოგადი პრობლემა უკვე მოწინააღმდეგება, გადაწყვეტას მთითხევს. სწორედ ისტორიის ასეთ რთულ და მნიშვნელოვან ამოცანების ასხნას იძლევიან თავისი მოქმედებით ეს პიროვნებები.

ასეთია, მიკლედი, ისტორიის ფილოსოფიის ან კონცეფცია, რომელსაც ვეფათაზობს აქველი.

ამ კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლად მაგარანია აქველის დებულება იმის შესახებ, რომ ისტორიას აქვს საბოლოო მიზანი — თავისუფლება. ეს აზრი შორსაა ტექსტობრებისაგან. ისტორია არ არის ერთი მიმართულების — კრძობი, თავისუფლების მიმართულების მქონე პროცესი, რაღაც გვმა, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს. ეს რკინისბურთი გვმა ვერ შესრულდება, რადგან ისტორიაში ბევრი რამ დამოკიდებულია პიროვნებათა თავისუფალ გადაწყვეტილებებზე: კანტისა და აქველის, გოეთეს და შილერის, მოცარტისა და ბეთჰოვენის შემდეგ კაცობრიობისათვის თითქმის ნათელი უნდა ყოფილიყო თავისუფლების უდიდესი მნიშვნელობა. მაგრამ ცხადია, რომ სწორედ აქველის გერმანიაში მოვიდა სიტლერი, რუსესონი — ლენინი და სტალინი, ჩინეთში მაო, კუბაში-ფიდელ კასტრო... მათ XX საუკუნეში მოიტანეს არსებული იძულება.

როგორც ჩანს, თავისუფლება ისტორიის სასურველი მიზანია და არა თავად ისტორიის ფაქტებით გამართლებული ცნება. შეეცნება სხვა და სურვილი სხვა. საერთოდ ისტორიულ პროცესში რომელიც მალე დაიკარგა მისი მიმართულების აღიარება შედარა. არ არსებობს ღმერთის არავითარი ციბირები: ღმერთი როდი იყენებს ადამიანის ენებებს თავისი მიზნების შესასრულებლად. ღმერთი არ ერევა ისტორიაში, არ ელოდება თავის მიზნების აღსრულებას, ის არ არის ძალა.



რომელიც მართებს ისტორიას. საერთოდ ისტორიის მმართველი ძალა, რომელიც ისტორიის გარეშე დგას, არ არსებობს. ისტორიაში ზოგადი გონება არ ჩანს. იქ მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა გონებაა. ამ გონებას კი არ ძალუბს მსოფლიო ისტორია მართოს.

ქველი ბევრს მსჯელობს ადამიანის თავისუფლებაზე, მაგრამ, თუ კარგად დავუკვირდებით, ეს თავისუფლება მარტოებით გამოდის. ისტორიაში ქმნის ღმერთი, გონება — ქმნის, რადგან ის აბსოლუტური ძლიერებაა. თუ ცალკეული ინდივიდის მიერ დასახული მიზანი ამ ძლიერებითა განსაზღვრული, ამ წინასწარ გამოქმნეულ გემუთთან განპირებულები, მაშინ ადამიანები მხოლოდ იარაღია, რომლითაც ღმერთი თავის მიზნებს ასრულებს. ინდივიდი თითონ კი არ მოქმედებს თავისუფლად. არამედ რაღაც გარეგან ძალას მიჰყავს ის. ფაქტობრივად მოქმედებს ძალა, სუბსტანცია და არა ინდივიდი.

გაუიხსნობი ინდივიდისა და კულტურის, ობიექტური გონის ურთიერთობა. ამ ურთიერთობაში, ქველის თანახმად, მთავარი სიტყვა ობიექტურ გონს ეკუთვნის, გადაწყვეტი მნიშვნელობა კულტურას ენიჭება. ქველი არ აქცევს საკმარისად იმას, რომ ცალკეული ინდივიდი კულტურის მხოლოდ შემთავსებელი კი არ არის, არამედ კულტურის შემოქმედებელია. ინდივიდს აქ გადაწყვეტილების თავისუფლება აქვს და მისი გადაწყვეტლება დამოკიდებულია არა მხოლოდ კულტურაზე, არამედ თითონ მასზეც. სწორედ ინდივიდის საქციელზე განაპირობებს კულტურის სპეციფიკას.

ქველის აზრით შედეგი მოხსნის და შეინახავს ხალხის წინამძღვრ გონს. ეს ასე არაა. ქველის აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიაში არაფერი არ იკარგება, არ არის სწორი. მთავრად მთავალი: მენშევიკებმა მთავრობამ საქართველოში ბევრი მად გააკეთა, მაგრამ ყველაფერი ღირებულ საბჭოთა ტრადიტიონიზმის წლებში უკალოდ დაიკარგა. ერთი ეპოქა განსხვავდება მეორესაგან. ძველი ეპოქები აუცილებელია იმისათვის, რომ ახალი ეპოქა დაჯერდნოს მათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს ახალი ეპოქის მიერ ძველი ეპოქის ღირებულებების თუ იდეების შემდგომ წინსვლას, განვითარებას. ახალი ეპოქა იქნება ახალი ადამიანების მიერ შეიძლება ძველი ეპოქა იყოს თავისუფლების გაფურცქენის დრო, ხოლო ახალი ეპოქა თავისუფლებიდან გაქცევის დრო. როგორც ჩანს, ისტორია რთული პროცესია. მასში არ არსებობს მოხსნისა და შენახვის კანონი იმ სახით, როგორც ეს ქველს ეგონა. წარსული აწმყოს მასალაა და არა მიზეზი.

ქველის კონცეფცია ისტორიის ფილოსოფიას პროგრესის იდეას ეფუძნება. ეს პროგრესი სხვადასხვანაირად შეიძლება მოიაზროთ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისტორია მიდის ადამიანი ხაზით კომუნიზმისაკენ, შეიძლება ვიფიქროთ რომ პროგრესი უნდა ვეძებოთ ბედნიერების თანდათან რეალიზაციაში, ღვთის საუფლოს სულ უფრო მოახლოებაში. ქველის აზრით ისტორია არის პროგრესი თავისუფლების შეგნებაში, ე.ი. ღმერთის არსების განხორციელებაში. ზოგადად პროგრესის იდეის შესახებ კარგად წერს ნ. ბერდაივი: "ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც საჭიროა გამოძლეოდნეს პროგრესის შესახებ მოძღვრებაში და რომელიც ნათელია ისტორიის ჩემი მეტაფიზიკის შუქზე, არის მცდარი დამოკიდებულება მოძღვრების პროგრესის შესახებ დროის პრობლემაში — წარსულის, აწმყოს და მომავლისადმი. მოძღვრება პროგრესის შესახებ არის, უპირველესად ფოქლისა, სრულიად მცდარი მეციურულად, ფილოსოფიური, მორალური თვალსაზრისით გაუმართლებელი გაღმერთება მომავლისა აწმყოსა და წარსულის ხარეზე".

მართლაც, ისტორიაში პროგრესის დასაბუთება შეუძლებელია არ ძალუბს. მარქსის მოძღვრება კომუნიზმის შესახებ იყო შეცნიერებაში რელიგიის რწმენის შტანის ცდა.

მარქსის თვალსაზრისის მსგავსია ქველის მოძღვრება. ცხადია, ათეისტი მარქსი არ არის ათეისტი ქველი, მაგრამ მათ მოძღვრებას ამგავსებს აზრი იმის შესახებ, რომ მომავლში ისტორიის ყველა სირთულე გადაწყდება. ასეთ მოძღვრებაში წარსულის ყოველი ფაზა არსებობს მომავლისათვის, მომავლის იარაღია, საშუალებაა და არა თვითმზნობა, თავის თავში ღირებულების მქონე ფენომენი. მომავლი იაზრება მარჯორე სრულყოფილება, ისტორიის ყოველი სტადია ეს აქ სრულყოფილების მიღწევის საშუალებაა. გამოდის, რომ სრულყოფილება ერება მხოლოდ იმ კაცობრიობას, რომელიც მომავლში იცხვრება, და არა კაცობრიობას საერთოდ; ამ თეორიის მიხედვით სიკეთე მომავალშია, წარსულსა და აწმყომი ბოროტება შეფობს. ქველის მიხედვით, თავისუფლება მომავლის მდგომარეობაა, წარსულსა და აწმყომი შეფობს იძულება.

პროგრესის ასეთი გაგება წინააღმდეგება ნამდვილ ქრისტიანობას, რომელიც ქადაგებს ყველა ეპოქათა ადამიანების აღდგომას, ისტორიის დროით კონფლიქტებიდან გამოსვლას, დროზე გამარჯვებას, ისტორიის ბოლოს და გამარჯვებას ისტორიაზე.

თამაზ შუაშიძე

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი.

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

ჩემო დიდად პატრუცემულო ბატონებო!

ამ ლექციების საგანი გახლავთ ფილოსოფიური მსოფლიო ისტორია. სხვა სიტყვით რომ მოგახ-სჯოთ, ჩვენი საგანია არა ზოგადი რეფლექსიები, რომლებიც ისტორიამ შეიძლება შთაგვაგონოს და რომელთა განმარტებასაც მოვინდომებთ ისტორიის შინაარსის, როგორც მაგალითის, მეშვეობით, არამედ თვითონ მსოფლიო ისტორია<sup>1</sup>. იმისთვის, რომ ამითავითვე ნათელი შეიქმნას, თუ რაა იგი, პირველ ყოვლისა საჭიროა გადავხედოთ ისტორიის განხილვის სხვა სახეობებს. ისტორიის განხილვის წესი სულ სამგვარი არსებობს:

ა. ა) საწყესი (თავდაპირველი, ursprünglich) ისტორია

ბ) რეფლექტირებული (მერეფლექტირებული) ისტორია

გ) ფილოსოფიური ისტორია

ა) რაც შეეხება პირველ ამათვანს, მისი ხსენებისას მხედველობაში მყვანან (მარტე სახელთა ჩამო-თვლით აქვე დაგიხატავთ სათქმელის გარკვეულ სურათს) - მხედველობაში მყვანან პეროლოტე, თუკიდიდე და სხვა მათი მსგავსი ისტორიის აღმწერნი, უპირატესად იმგვარ გამოჩენილ საქმეებს, ამბებსა და ვითარებებს რომ მოგვითხრობდნენ, რომლებიც თვალწინ ემდებოდათ და რომელთა სულისკვეთებაშიც იხინო თვით იყვნენ ჩართულნი. ის, რაც გარჯანად ჰქონდათ ხელთ, მათ გონისეული წარმოდგენის საუფლებში ვადმოჰქონდათ. ამგვარად, გარჯანი მოვლენა მათ ხელში შინაგან წარმოდგენებად იქცეოდა. ასე ამუშავებს პოეტიც თავის განცდლში არსებულ მასალას, რათა იგი ჩვენი წარმოდგენის წინაშე დააყენოს.

რა თქმა უნდა, ამ უშუალო მემორიებისაც სხვათა მიერ მოწოდებულ ცნობები და მონათხრობი დაჰხედებოდათ წინ (რადგან შეუძლებელია, კაცმა ყველაფერი თავის თვალთ ნახოს), მაგრამ ასევე ჰხედება პოეტსაც უკვე შემუშავებული ლიტერატურული ენა, რომელსაც იგი ესოდენ ბევრს უმადლის და რომელიც მისი ქმნილების ერთ შემადგენელ ნაწილად იქცევა. ისტორიკოსები ერთმანეთთან აკავშირებენ იმას, რაც შროალით გაგვივლევს თვალწინ და განკარგების, და მას მემორიის (მემორიების) ტაძარში უკვდევებს სათვის აუნჯებენ. ასეთი პირველი ისტორიიდან უნდა ამოვიცხოთ თქმულებები, ხალხური სიმღერები და გადმოცემები, რადგან ესენი მასალის წარმოდგენის ჯერ კიდევ ბუნდოანი, დაუნწმნადი სახეობებია და, აღდენად, ჯერ კიდევ აზრის მკაფიობაზე ვერმოსული ხალხებისთვისაა დამახასიათებელი. წინამდებარე ლექციებში ჩვენ საქმე ისეთ ხალხებთან გვაქვს, რომელთაც იცოდნენ, რანი იყვნენ და რა ჰხურდათ. ხილული და ხილვადი სინამდვილე უფრო მყარი საფუძველი თხრობისათვის, ვიდრე ის არამდგრად ნიადაგი, რომელსაც ნამყო წარმოდგენის და რომლის წილსაც ეს თქმულებები და პოემები ეკუთვნიან თავიანთ წარმოშობით. ეს უკანასკნელი ვეღარ ასახვენ იმ ხალხთა ისტორიულ ვინაობას, რომლებიც მტკიცე ინდივიდუალიზმად მოსულან.

ამგვარი პირველი ისტორიის მწერალნი თავის თანამდროვე ამბებს, საქმეებსა და ვითარებებს წარმოდგენის ქმნილებად გარდასახვენ. ამიტომ ასეთ ისტორიათა შინაარსი დიდი გარჯანი მოცულობისა ვერ იქნება (გვიხსენით პეროლოტე, თუკიდიდე, გეჩარდინი). მათი არსებით მასალა ისაა, რაც აქ-და-აწყაოა მათთვის, მათს გარემოშია და ცოცხალია. ასე, მაგალითად, ერთთა და იგივეა ატროის განათლების ხასიათი და იმათ განათლების ხასიათი, ვისაც იგი აღწერს თავის თხზულებაში, ასევე - ატროის სულისკვეთება და აღწერის საქმეში განსახიერებელი სულისკვეთება. ატროი იმას აღწერს, რასაც იგი, მტრნაკლებად, მონაწილე ყოფილა ან, ყოველ შემთხვევაში, მომსწრე მინიც. აქ ლაპარაკია დროის მოკლე მონაკვეთებზე, ადამიანებისა და ვითარებების ინდივიდუალურ ქმნადობა-ჩამოყალიბებაზე - ლაპარაკია სულ ერთულ არარეფლექტირებულ მტრინებზე, რომლებსაცანაც დგება ატროის მიერ დახატული სურათი, რათა შთამომავლების წარმოდგენას იგი იმგვარად განსაზღვრული წარმოესახოს, როგორც თვით ატროის წარმოსახა უშუალოდ ხილული სახით ან ხილული მონათხრობისა სახით. ასეთ ატროის საქმე არა აქვს რეფლექსიებთან, რადგან იგი თვით აღსაწერი დროის სულისკვეთებით ცხობრობს და ჯერ არ გასულა ამ

<sup>1</sup> ამ საქმეში მე ვერაივთარ კომპინდუსს ვერ დავუყარები. სამაროლის ფილოსოფიას საუფლებლს მონახაზში. 341-366 მე უკვე მახსოვობთ აღწერაზე, როგორია ასეთი მსოფლიო ისტორიის ცნება, ამასთან. ის პრინციპები და პერიოდებიც მყოფიათ. რომელთა მსხვერპლად განსაზღვრული უნდა აქნეს იგი.

უკანასკნლის ფარგლებიდან. თუ იგი, ცეზარიოთ, მხედართმთავართა ან სახელმწიფო კაცთა წოდებასაც ეკუთვნის, მაშინ ზომ ის მიზნები, რომლებიც ისტორიისად გამოდიან, თვით მისი მიზნებია! როდესაც ჩვენ აქ ეპიტოციები ამგვარი ისტორიკოსი რეფლექსიას არ ქვია, არამედ მის ნაწერში თვითონ ხალხები და პიროვნებები გამოდიან, ამის საწინააღმდეგო მრწამსს, ერთის შუბლევით, თითქოს ის მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები იძლეა, რომელთა გადმოცემასაც, მაგალითად, თუკიდიდისთან ეკითხვრებით და რომელთა მიმართაც სრული უპატივობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ნამდვილად ამ სახით არ წარმოთქმულან. მაგრამ სიტყვები ხსენა არის არის რა თუ არ აღამიანა შორის მომხდარი ქმედებები, ამასთან, ისეთი ქმედებები, რომლებიც კარგა არსებითად გუელენისმომხდენი აღმოჩნდა. მართალია, ადამიანები ზშირად ამბობენ, ესა და ეს ნათქვამი მხოლოდ სიტყვები იყო, რითაც ამ სიტყვების უწყინარობის დამტკიცება კსურთ. ასეთი სიტყვები მართლაც მხოლოდ ლაზღანდარობას, ლაზღანდარობას კი მართლაც შესწევს ეს ერთადერთი უპირატესობა, რომ იგი უწყინარია იფოს. რა თქვენაა ხალხთა სიტყვას ხალხების მიმართ, რომლებიც დაუშვებიათ, რომ ასეთი სიტყვები, - მაგალითად, პერიკლეს სიტყვები, რომელიც უღრმესად განათლებული, უჭეშმარიტესი და უკეთესობილესი სახელმწიფო კაცი იყო, - თუკიდიდეს დაუმუშავებია, მათი შინაარსი პერიკლესთვის მაინც უცხო ვერ იქნება. ამგვარ სიტყვებში ასეთი ადამიანები გამოთქამენ თავისი ხალხისა და საკუთარი პიროვნების შესაძლებს, პოლიტიკური ვითარებისა და მათი ზნეობრივი და გონითი ბუნების ცნობიერებას, თავისი მიზნებისა და სამოქმედო წესების საფუძვლებს. ის, რასაც ისტორიკოსი მათ გამოათქმევინებს, სხვისაგან ნასესხები და გახესხებული ცნობიერება კი არაა, არამედ მოქმედის ნამდვილი აზრია და მისი აზროვნების წესის ნამდვილი გამოხატულება.

წარსულის ამგვარი მოხრობელები, რომელთა თხზულებებსაც აუქწარებლად უნდა ჩავუდრამავდეთ რათა მათ მიერ აღწერილი ერების სულისკვეთებით ცხოვრება შექმლიო მათ ატროსფეროც გვეყვიროთ და მისით ხუნთქვა ვისწავლიო - ამგვარი ისტორიკოსები, რომელთა ნაწერშიც მხოლოდ სწავლულება კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ღრმა და ქუმშარტი საამოუნებაც, არც ისე ბეგნი არიან, როგორც ზშირად ჰგონიათ ზოლმე. ისტორიკოსი მამა, ანუ მისი წამომწვეები, - ჰეროდოტე - და თუკიდიდე უკვე ვახსენეთ. ქსნოფონტეს მიერ აღწერა ათათასი მეომრის უკანდახლას ასეთივე პირველადი წიგნია. ცეზარიოსეული კომენტარი დიდი გონის მარტოვი შედგერთა. ძველ დროს აუცილებელი იყო, რომ ასეთი დიდი ისტორიკოსი მწერლები დიდი მხედართმთავრები და სახელმწიფო მოღვაწეები ყოფილიყვნენ. შუა საუკუნებში, - თუ შედგელობაში არ შეიღებოთ ეპისკოპოსებს, რომლებიც სახელმწიფო აქციათა ცენტრში იდგნენ ზოლმე - ასეთ მწერალთა რიცხვს ეკუთვნიან ბერები, ეს გულბრყვილო მემტატანები, რომლებიც იმდენადვე იმყოფებოდნენ იზოლიციაში, რამდენადაც ძველი დროის ავტორები - მოვლენათა ზღარში. ახალ დროში ყველა მიმართებები შეიცვალა. ჩენი განათლება, არსებითად, ამთვისებელი განათლებაა და იგი ყველა ვითარებას მამინათვე წარმოდგენისთვის განკუთვნილ ანგარიშებზეა აქცევს. ასეთი მარტოვი და გარკვეული ანგარიშებები დღეს საუცხოო მოგვეპოება, სახელდობრ, ანგარიშებები იმთა შესახებ, რომლებიც ცეზარიოსეულს გვერდით ამოუდგებიან და რომლებიც კიდევაც აღმებატნიან ამ უკანასკნელს როგორც თავისი შინაარსის სუბიეთ, ისე მოქმედი პირის მიერ გამოყენებულ საშუალებათა და პირობათა აღწერით, რაც ამ თხზულებებს კიდევ უფრო ინფორმატიულს ხდის. ამ რიგის თხზულებებს ეკუთვინის ფრანკული მემუარებიც. ესენი ზშირად გრნებაშავილ ადამიანებს უწერათ უნინშველო ამბების შესახებ და მათში ზშირად უხვად შეხვდებით ზოლმე ანეკდოტურ მასალას, ასე რომ, თუქცა ეს მოვინებები კარგა მწირი ნიღდაგზა აღმოცენებული, მაგრამ ზოგჯერ ნამდვილი ისტორიული შედგერება ზოლმე, როგორც, მაგალითად, კარდინალ რეცის მემუარები. ამ თხზულებაში ფართო ისტორიული ველთა ვაძლიეთ. გრმანიაში ასეთ შედგერს იმიეთად შეხვდებით. სასაბულო გამარჯვლის შეადგენს ფრდობს დიდი (Histoire de mon temps). ასეთ ავტორებს მალაღ მდგომარეობა ესპატირებათ. მალღა რომ დგახარო ამბებისთვის თვალის გადაღებაც კარგად შეგიძლიათ და მხედველობის არეში ყველაფერი მოგხვდებთა მაგრამ ეს ვერ მოხდება, თუ დაბღა იმყოფებით და ზემოთ გასახედად მხოლოდ მცირედი დიობიღა დაგრწებათა

ბ) ისტორიის მეორე სახეობას შევეძილა მარეფლექტირებული ეწურდით. ეს ისეთი ისტორიაა, რომლის აღწერაც აქ-ღა-აქმოს ფარგლებს გარეთ გადის არა დროის მიხედვით, არამედ სულისკვეთების მიხედვით.

ამ მეორე სახეობაში შემდეგი ქვესახეობები შევიკილია გავარჩიოთ:

ბა) ავტორის მისწრაფება, მონაზოს მთელი ხალხის, ან რაღაცა ერთი ქვეყნის, ან მსოფლიოს ისტორიის ზედი საერთოდ, ანუ შესარულოს ის, რასაც ჩვენ საყოველთაო ისტორიის დაწერას ეუწოდებთ ხოლმე. აქ მთავარი გახლავთ ისტორიული მასალის დამუშავების ამოცანა, რომელსაც ისტორიკოსი უკვე თავისი სულისკვეთებით მიუღებდა, მოსათხრობის შინაარსის სულისკვეთებისგან განსხვავებული საამისოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის პრინციპები, რომლებიც ავტორს ნაწილობრივ მის მიერ აღსაწერი ქმედებებსა და ვითარებებს შინაარსად და მათში მოქმედ მიზნებისგან აქვს ნახსენები, ნაწილობრივ კი იმ წესითაა განსაზღვრული, რომლითაც მას ისტორიის შექმნა განუზრახავს. ჩვენში, გერმანულელებში რეფლექსია და ტკუვის ხმაურება ასეთ შემთხვევაში ძალიან მრავლავარია ხოლმე, - სხვადასხვა ისტორიკოსს სხვადასხვა, საკუთარი მიდგომა აქვს. ინგლისელებმა და ფრანგებმა ზოგადად იციან, როგორ უნდა ისტორიის წერა: ისინი ჩვენზე უფრო დივანან ზოგადი და ერთეული განათლების დონიზე, ჩვენში კი ყველა ავტორი თავისთვის მოიგონებს ხოლმე მიდგომის რაღაცა თვისებურებას და ისტორიის წერის ნაკველად იმაზე ფურქს უნდა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს იგი. რეფლექტირებული ისტორიის წერის ეს წესი სხვა ყველა წესზე უფრო მეტად უახლოვდება მისი წერის ზემოაღნიშნულ პირველ წესს, რამდენადაც მას სხვა მიზანი არა აქვს რა გარდა იმისა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ისტორია უნაკულოდ წარმოგიდგინოს. ამგვარი კომპილაციის შექმნა, თუკი იგი კარგადაა შესრულებული, დიდად დასაფასებელია (ასეთია რიცხვს ეკუთვნის ლეიფსიხული ისტორიები, დიოდორესული სიცილიის ისტორია, იოჰან ფონ მიულერისეული შვეიცარიის ისტორია). მაგრამ ყველაზე უკეთესი, რა თქმა უნდა, ისაა, თუ ამ ეკუფის ისტორიკოსები ზემოხსენებული პირველი ეკუფისას მიუხალოვდნენ და ისე თვალსაზრისდ გადმოგვცეს თავისი სათქმელი, რომ მკითხველს შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს იგი აღწერილია ამბების თანამედროვესა და თვითმხილველს უსმენდეს. იოდენ, ის ერთი კილო, რომელიც არ შეიძლება არ ჰქონდეს რაღაცა ერთი გარკვეული განათლების წიაღში აღზრდილ ინდივიდს, ასეთ ისტორიებში ხშირად უცვლელი რჩება ხოლმე ყველა იმ სხვადასხვა დროის შესახებ თხრობისას, რომელსაც მისი თხზულება შეუება, და, ამგვარად, ის გონი, რომელიც ისტორიკოსის პირით შეტყვევებს, სხვა აღმორჩდება ხოლმე, ვიდრე თვით იმ დროის გონია, რომელზედაც წარვითხრობენ. ასე, მაგალითად, ლეიფსი თავის ძველ მეფეებს, კონსულებს და სარდლებს ისეთ სიტყვებს წარმოაქმენინებს ხოლმე, თვით ლეიფსის თანამედროვე გაჩაფულ აღვოებს რომ შეეფერება და მკვეთრ კონტრასტშია ნამდვილად ძველი დროიდან მოღწეულ ნამდვილ თქმულებებთან, მაგალითად, მენენიუს აგრიპას ამბავთან. იგვე ლეიფსი ისე აღწერს ბრძოლებს, თითქოს თავისი თვლით ენახოს, მაგრამ იმგვარად, რომ მის მიერ გადმოცემული დეტალები ყველა დროის ბრძოლებს მიაგებება, და მის ამ დეტალთა გარკვეულობა მკვეთრ კონტრასტშია იმ ურთოვრთაუკუწირობლობასა და არათანმიმდევრობასთან, რომელიც სუფევს მისსავე მრთათხრობში სხვა უმთავრეს ვითარებათა შესახებ. თუ რა განსხვავებაა ამგვარ კომპილატორსა და ტუმარიტ პირველად ისტორიკოსს შორის, ამას ყველაზე უკეთესად შევიცნობთ თუ შევადარებთ ერთის მხრე პოლიბიოსის და მეორე მხრე ლეიფსის მიერ დაწერილი ისტორიის იმ პერიოდებს, რომლებსთვისაც იან პოლიბიოსისეულ ისტორიის იყენებს, ამ უკანასკნელს ამოკლებს და მისგან ექსცერპატებს სესხულობს. იბანეს ფონ მიულერმა, რომელიც ლამობდა, თავის აღწერაში იმ დროთა ერთეული დარწმინდიყო, რომელზედაც წერდა, თავის თხზულებას გახეებული, ფუტუროდ მაღალფარდოვანი და პედანტური იყრი მისცა. გაცილებით უფრო საამოა ასეთი ყვიდის ისტორიის წაკითხვა ბებერ ჯუდისთან: 'იქ ყოველივე უფრო გულუბრყვილო და ბუნებრივია, ვიდრე ასეთ ნაკეთებ, აფექტირებულ ძველყვადურობაში.

ამგვარი ისტორია, რომელიც მხედველობაში აქვს გრძელი პერიოდებისთვის ან მთელი მსოფლიო ისტორიისათვის თვალის მოკლება, ფაქტობრივად იძულებულია დათმოს ნამდვილის ინდივიდუალური დასურათხატება და თავს უშველოს შემოკლების და აბსტრაქციების გზით - არა მარტო იმ მხრე, რომ იგი გამოტოვებს რაღაცა ვითარებებსა და ქმედებებს, არამედ იმ მხრეც, რომ ყველაზე მძლავრ შემშოკლებლად (ეპიტომატორად) მასში ავტორისეული აზრის მუშაობა იქნება. რომელიმე ბძოლა, დიდი გამარჯვება თუ ალყა ამგვარ ისტორიაში ის ყი აღარაა, რაც აარის, არამედ იტყუება და უნარლო განსაზღვრება იცქება. ასე, მაგალითად, როდესაც ლეიფსი ფოლსკებთან ომის ამბავს მოგივითხრობს, იგი ზოგჯერ მოკლდ ამბობს

<sup>1</sup> Aegidius Tschudi. Schweizerchronik. ორი ტომი. ბაზელი 1734-1736

ბოლშე, ამა და ამ წელს ფორსკეტთან ომი მიმდინარეობდაო.

ბბ) მარქუელექტრბული ისტორიის შორე ქვესახე პრავმატული ისტორია. როდესაც საქმე წარ-  
ხულთან გუქებს და ჩვენან დამორბული სამყაროს განხილვას ელამობთ, მამინ გონის წინაშე ახალი აქ-  
და-აქწო (Gegenwart) იმბლება, რომელიც ჯილდოა ამ მისი მონდომებისა, მისივე საკუთარი ქმედების მიერ  
მონიტბული. ვითარებები, რომლებიც მას თვალწინ ემბლება, სხედანსხანაირია, მაგრამ ზოგადი და შინაგანი  
ბოთნი, ბოთლი მათი ურთიერთკავშირი ურთია. ამით წარსულის წამოტრბევაზე ხდება და  
ნამყო ვითარება აქ-და-აქწოვით იქცევა. პრავმატული რეფლექსიები, რაც უნდა აბსტრაქტულნი იყონ ისინი,  
ამავარად, ფაქტობრივად აქწომინ არიან და წარსულის შესახებ მონათბრობები დღევანდელი ცხოვრებისთვის  
ციოხლდებიან. მართლა საინტერესოა თუ არა ასეთი რეფლექსიები და მართლა აციოხლებენ თუ არა ისინი  
წარსულს, ეს დამოკიდებულია თვით ავტორის გონზე. აქ განსაკუთრებით უნდა მზიხსნებით მორალური  
რეფლექსიები და მკითხველის თვითი დამოდერა ისტორიის მეშვეობით, რაც ბოროდი მასლის ამგვარი  
დამუშავების მიზანს შეადგენს ბოლშე. თუმცა საესებით შესაძლებელია ამის თქმა, კეთილის მაგალითები  
ჩვენს სულსკვეთბას ამდლებენ და ბავშვების მორალური დამოდერა კარგი საშუალებაა მათთვის აზრთა  
კთილმობილური წყობის ჩასანერგადო, მინიც უდგოთ, რომ ზალხთა და სახელმწიფოთა სეე-ბელი, მათი  
ინტერესები, მათი მდგომარეობანი და ამ უკანასკნელთა რთული ზღარბები სულ სხვა სფეროს წამოადგენენ,  
ვიდრე იხან, რომელსაც ასეთი მორალური რეფლექსიები სწედბა. მმართებლებს, სახელმწიფო მოღვაწეებს,  
ზალხებს, ჩვეულებრივ ისტორიის გამოცდილებაზე მიუთითებენ ბოლშე, რათა ჭკუა მისგან ასწვლონ, მაგრამ  
ისტორია და მისი გამოცდილება მხოლოდ ამას გვასწვლიან, რომ არც ზალხებს და არც მათ მთავრობებს  
არასოდეს ისტორიისაგან რამე არ უსწვლიათ და არასდროს მოქცეულან იმ მოძღვრებათა შესაბამისად,  
რომლებიც ისტორიული გამოცდილებიდან უნდა გამოეტანათ დასკვნის სახით. ყოველ დროს იმდენად  
თავისებური პირობები გაჩანია და იმდენად ინდივიდუალური ვითარება ახასიათებს, რომ მასში  
გადაწყვეტილებათა მიღება მხოლოდ მისგანვე ამოსელით უნდა მოხდეს და შესაძლებელია, რომ მოხდეს.  
მსოფლიოს სხედანსხე ვითარებათა ჭიდილში ჩაყარდნილებს, ვარაყერს გვიშველის რამეე ზოგადი პრინციპი  
ან მსგებვ ვითარებების გახსენება, რადგან უყერზორცი გახსენებას არავითარი ძალა არ შესწვს იმ სო-  
ციოხლიას და თავისუფლების პირისპირ, რაც აქწომის აქვს. ამის თაობაზე არც ერთი თვალსაზრისი არაა  
ისეთი ზერევე, როგორც ის, რომელიც წამდაუნწუშ ბებრთულსა და რომაულ მაგალითებს უხმობს, რაც ესოდენ  
გურცლებული იყო ფრანგებში რეპულუციის დროს. არსად არაა ისეთი დიდი განსხვებება, როგორიც არსებობს  
იმ ზალხთა ბუნებასა და ჩვენი დროის ზალხთა ბუნებას შორის. იოპანეს ფონ მიულერი, რომელიც თავისი  
საყოველთაო ისტორიითაც და თავისი შევიცარების ისტორიითაც ასეთ მორალურ მიზნებს ისახებდა, -  
სახელდობრ, იმას, რომ მთავართათვის, მთავრობათათვის და ზალხათათვის, განსაკუთრებით კი შევიცარიელი  
ზალხისთვის ამგვარი მორალური მოძღვრებები მიწყოდებიან, - ამ შრომას ვერ მიითვლის თავის ყველაზე  
დიდ ღვაწლად (მან შეადგინა მოძღვრებათა და რეფლექსიათა საკუთარი კრებული და თავის პირად წერილებში-  
ზხირად უთითებს ბოლშე, რამდენი ასეთი რეფლექსია მოახდინა გასული კვირის მანძილზე). რეფლექსიები-  
სთვის ტუმპარბიტებას და ინტერესის მინიტბას სხვას არაყერს ძალუმბ ვარდა სიტუაციათა საფუევილანი,  
თავისუფალი და ფართად მოცეული ტიტბისა და გარდა დრმა ვამნისა, რომელიც იდეას მისწვდება  
(როგორიც, მაგალითად, მონტესკიემ გამოამღვუნა თავის „კანონთა გონში“). ამიტომაცაა, რომ დროთა  
მსვლელობაში ერთი მარქუელექტრბული ისტორია მეორეს განდევნის ბოლშე. ყოველ ახალ ავტორს ღია  
აქვს გზა მასალისკენ, ყველას ადილიად ძალუმბ, თავი ამ მასლის დამუშავების და მოწესრიგების უნართ  
ადჭურვილად ჩათვალოს და ამ მასალას თავისი გონი შთაბებროს, როგორც თითქმისდა აღსაწერი დროის  
ვანი. ამგვარი ისტორიებისაგან მშურატბების გამო ზხირად მოზღარა, რომ მათთვის ზურგი შეუქცევიათ და  
თვლი მიუჭრთათ რადაცა ვითარების ისეთი სურათსათვის, რომელიც მრავალი სხედანსხე მზრიდან დანახვისა  
და აღწერის შედგვი ფოფოლა. ასეთ თვალსაზრისებს და მათგან ამოსელით განზორციელებულ აღწერებს,  
უთოოდ, რადაცა დირებლება აქტო მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს მხოლოდ მასალა და მტი არაყერი.  
ჩვენ, გერმანელები, ამით ვამყოფოდლებით ბოლშე. ფრანგები კი, ჩვენგან განსხვებუბით, გონებამახვილურად  
იქმინან ბოლშე რადაცა აწმოს, რათა შემდგე წარსული ამომინდელ მდგომარეობას დაუკევირონ და  
შეუთანადონ.

ბგ) მარქუელექტრბული ისტორიის შესამე ქვესახე კრიტიკული ისტორია. მისი სხენება გემართებს

იმით, რომ იგი, კრძოლ, ის ქვესახე, რომელიც დღესდღეობით ჩვენში, გერმანიაში მიღებული. აქ თვით ისტორიის მიწოდება კი არ ხდება მკითხველისთვის, არამედ ისტორიის ისტორიისა, და მსჯელობა მიმდინარეობს იმაზე, თუ რამდენად ჭკუშარტი და სარწმუნოა ესა თუ ის ისტორიული მონათხრობი. განსაკუთრებული და საყურადღებო, რასაც ამგვარი ისტორია შეიცავს, თვით მონათხრობ ამბებში კი არ ძეგს, არამედ მხოლოდ ავტორის გონებაშივილობაში, რომელიც ამ მონათხრობებიდან სიმართლის ამოკრებას ახერხებს. ამ სფეროში ფრანგებს დღემდე ბევრი საფუძვლიანი და გონიერული მიღწევა აქვთ. მაგრამ მათ თვითონ არ მოუსურვებიათ, არც ასეთი კრიტიკული პროცედურა ისტორიულ მიდგომაზე ჩაეთავალა, თავის ასეთ მსჯელობას ისინი მხოლოდ კრიტიკული გამოკვლევების ფორმას აძლევენ. ჩვენში ე. წ. უმაღლესი კრიტიკა დღესდღეობით საერთოდ ფილოსოფიასაც დაუფლებია და კრძოლ ისტორიისადმი მიძღვნილ წიგნებზეც. ამ უმაღლესმა კრიტიკამ, გავრცელებული შტედელუბის თანახმად, იმის უფლება მოგვიპოვა, რომ გზა ვაღუუტებოთ ამაო ფანტაზიის ანტიისტორიულ წარმონაქმნებს. ასეთი თვითმხილვა კიდევ ერთი გზაა იმისა, რომ ისტორიაში მოუღწეათ თანამედროვის ზოხიკა მოაძოონ, მაგრამ მოაძოონ ისტორიულ მონაცემთა ადგილის სუბიექტური შენათხრობის დაყენების გზით - შენათხრობა, რომელიც მით უფრო კარგი ჰგონიათ, რაც უფრო გაბედულია იგი, ანუ რაც უფრო შწირ მასალაზეა აგებული და რაც უფრო მეტად წინააღმდეგება იმას, რაც ისტორიაში ყველაზე უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობისა.

ბ) დავასრულ, მარტოეკტირებელი ისტორიის უკანასკნელი ქვესახე ისაა, რომელიც იმთავითვე თავს წარმოვიდგენს როგორც ნაწილობრივი. იგი, მართალია, მახასტრაპირებულია, მაგრამ, რამდენადაც იგი ზოგად თვალსაზრისებზე დგება (მაგალითად, ხელოვნების ისტორიისაზე, სამართლის ისტორიისაზე, რელიგიის ისტორიისაზე), ადენად იგი გადასცლია ფილოსოფიური მსოფლიო ისტორიისაკენ. ჩვენს დროში ცნებით ისტორიის (Begriffsgeschichte) ეს სახეობა უფროა ჩამოყალიბებული და წინ წამწეული, ვიდრე ადრე ყოფილა. ასეთი დარგები გარკვეულ კავშირშია ამა თუ იმ ხალხის ისტორიისთან, როგორც მთელთან, და საქმე მხოლოდ ისდაა, ნაწენებია მართლაც ამგვარ ისტორიაში მიუღი კონტექსტი თუ ამ უკანასკნელსა და მის შემადგენელ ურთიერთკავშირს ავტორი მხოლოდ შემთხვევით მიმართებებში ეძებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღწერილი ვითარება წარმოდგეიდგება მხოლოდ როგორც ხალხთა შემთხვევით ერთეული მახასიათებლები. მაგრამ თუკი მარტოეკტირებელი ისტორია იქამდე მოსულა, რომ ზოგად თვალსაზრისებს გაჰყვას, მაშინ უნდა შეენიშნოთ, რომ, თუ ასეთი თვალსაზრისები ჭკუშარტი ხუნებისაა, ისინი ვითარებათა და საქმეთა მხოლოდ გარეგანი მაკუშირებული ძაფი და გარეგანი წესრიგი კი არ იქნებიან, არამედ მათი თვით შინაგანი სული. რადგანაც, მსგავსად სულთა წინამძღოლი მერკურისა, იდეა, ჭკუშარტიად, ხალხებისა და სამყაროს წინამძღოლია; გონი, მისი გონიერი (vernünftig) და აუცილებელი ნება არის ის, რასაც სამყაროს ვითარებები უმართავს აქამდე და რაც მთა ახლაც მართავს. ჩვენს მიზანში ამჯერად ისაა, რომ იგი შევიტყვნოთ, როგორც მათი ეს მშართველი. ამას კი მოვეყაროთ

გ) ისტორიის შესაძენ სახეობისკენ, ფილოსოფიურისკენ. თუ მის ზამოხსენებულ ორ სახეობაზე მსჯელობისას ჩვენ არაფრის წინასწარი განმარტება არ დავეკტირებია, რადგანაც მათი ცნებები თავისთავადვე გასაგები იყო, ამ უკანასკნელის შემთხვევაში საქმე სხვაგვარად გახლეოთ მას, - ანუ ჩანს, - ნამდივლიად, განმარტება და გამართლება ესაჭიროება. ზოგადი, რაც სათქმელი გაჰქვს, ეს გახლეოთ (რომ ისტორიის ფილოსოფია სხვა არა არის რა თუ არ ისტორიის მოაზროვნე განხილვა. მაგრამ აზროვნებაზე ხელის აღება ჩვენ არ ძალგვიძს. ცხუელისგან აზროვნება გვასხვევებს/შტედელუბის (გრძნობაში Empfindung), ცოდნაში და შემეცნებაში, სწრაფებასა და ნებაში, რამდენადაც ესენი ადამიანისანი არიან, არის აზროვნება. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაში აზროვნების დამრწმუნა შეიძლება უკმარლად წარმოვიდგავს, რადგან ისტორიაში აზროვნება დაქმედებარებულია მოცულობისა და არსებულისადმი, მას თავის საფუძვლად ეს უკანასკნელი აქვს და იგი მართულია მის მიერ ფილოსოფიას კი, პირუკუ, საკუთარი აზრები მიწერება/ რომლებიც საქეულაციას თავისთავიდან ამოაქვს ისე, რომ - ამ შტედელუბებაზე მდგომთა აზრით, - ანგარიშს არ უწევს იმას, რაც არის. (თუ ფილოსოფია ასეთი აზრებით ისტორიას მიადგ, მაშინ იგი ისტორიას იგი უნდა მოეიოდოს, როგორც მასალას, და ისეთად აღარ უნდა დატოვოს იგი, როგორც იგი არის, არამედ იგი უნდა მოაწყოს თავისი აზრების მიხედვით, მაშასადამე, იგი, როგორც იტყვიან, აპორიურლად უნდა დააკონსტიტუროს. მაგრამ ვინიდან ისტორიას მხოლოდ იმის წვლიმა აქვს თავის ამოცანად, რაც არის და რაც ყოფილა, - ვითარებებისა და საქმეებისა/ - და ვინიდან იგი მით უფრო ჭკუშარტი იქნება, რაც უფრო ერთეულად

გაკვეთა მოცემულს ამიტომ, ასე ჩანს, მის ამ საქმიანობასთან წინააღმდეგობაში ფილოსოფიის ამოცანა. ეს წინააღმდეგობა და მისგან გამომდინარე საყვედური საეკულაციისადმი საჭიროებს განმარტებას. ჩვენ აქ ამ საყვედურის უარყოფა გემართებს. ამასთან, ხელ არ გეჭირდება ამის გამო, რომ ჩაუვლრამდედეთ იმ აურაცხელი მრუდე წარმოდგენების შესწორების საქმეს, რომლებიც გაურცელებული გახლავთ ამ შეიძლება კელე და კელე განდგეს ისტორიული მასალის დამუშავების, ამ შრომის მიზნისა და მისი მამოძარაველი ინტერესის ამ ფილოსოფიისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ.

ამ მდგომარეობასა და ვითარებაში მოხდა ის თვალში საცემი და დიადი მოვლენა, რომ მთელი საბერძნეთი ერთიანი მასშტაბის საქმისათვის, სახელდობრ ტროას ომისათვის შეიკავა და რომ ამით დაიწყო საბერძნეთის მომავალი ურთიერთობა აზიასთან, რომელიც ბერძნებისათვის მრავალი შედეგის მომტანი აღმოჩნდა (იასონის მოგზაურობა კოლხეთში, რომელიც ამ ამბავს წინ უსწრებს და რომელიც აგრეთვე შექმეულია პოეტთა მიერ, აზიასთან შედარებით მხოლოდ ერთიული და მცირე რამ არის). ამ ერთობლივი დონისძიების საბაზად იმას ასახელებენ, რომ ერთმა აზიელმა მეფისწულმა სტუმართმოყვარეობის წესი შევალა და მასინძელს ციკლო წართვა. დამემონებმა თავისი ავტორიტეტისა და ძლიერების წყალობით საბერძნეთის მთავრები შეყარა. თუკიდევ ამ ავტორიტეტს მიჰყვანს როგორც ავამეზონის შემკედრობით მალაუფლებას, ისე მის ძლიერებას ზღვაზე (პომპროსი, ილიადა, 2, 108), რომელიც სხვებისას ბევრად აღემატებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ბერძნების ეს გაერთიანება გარეჯანი ძალდატანების გარეშე განხორციელებულა და მათი შეყრა უძრავი პირადი ურთიერთობის წესით მოხდა. ამ ლაშქრობაში ელინებმა ისეთი ერთობლივი გამოვლა მოახერხეს, როგორც მას შემდეგ არასდროს არ მოუხერხებიათ. მათი ამ ძალისხმევის ნაყოფი იყო ტროასა და დაცეკვა, აზიასთან, მათ იმის განხრახვა არ უქონებიათ, რომ ტროას მატაბილურად დაპატრონებოდნენ. გარეჯანი შედეგი მათი ამ მიდამოში დანახლების სახით ამ ლაშქრობას არ მოჰყოლია და არც ერის გაერთიანება ამ დიდ საქმისათვის ექვეულა ხანგრძლივ პოლიტიკურ გაერთიანებად. მაგრამ პოეტმა ბერძენი ხალხის წარმოსახვას მისი სიკბუეისა და მისი გონის მარად ხატება დაუყენა თვალწინ და ეს სახე აღმადიანის მშვენიერი გმირობისა ამის შემდეგ მუდამ იყო მათს გულ-გონებაში აღბეჭდილი მათი განვითარებისა და განათლება-ჩამოყალიბების პროცესში. ამის შემავსადვე, შუა საუკუნეებშიც მრწემი ვართ მთელი საქრისტიანოს შეკავშირებისა წინადა მიზნის—უფლის საფლავის აღების — მისაღწევად, თუცა ეს ცდა, ყველა გამაყვებათა მიუხედავად, ბოლოს მაინც ფუჭი გამოდგა. უკროსანთა ლაშქრობები ტროადის ომია გაღვიძების პროცესში მყოფი ქრისტიანობის მამადიანობის მარტვი და თავისთავის ტოლი სიცხადის წინააღმდეგ.

სამეფო ვარაუბი ზოგი ინდივიდუალური სისხლანი დანაშაულობების შედეგად დაიღუნენ, ზოგი თანდათან გადაშენდნენ და დაეცნენ. მათსა და მათ ხალხებს შორის არ არსებობდა რაიმე ზნეობრივი კავშირი ამ სიტყვის საკუთრივი ურთიერი იგვე მიმართება მეფეებსა და ხალხს შორის ტრაგედიაშიც. ხალხი მართა (გუნდის საერთო არაყერი აქტი ხალხს არ მოჰყვება რაიმე გამსუყულ-გამსამართლებელი ძალა, არამედ იგი მხოლოდ დქერთებს მიჰმართავს. ამგვარ გმირ ინდივიდებს სწორედ იმის წყალობით ძალუბთ ესოდენ თვალში საცემად დრამატული ზღოვნების საგანი იყონ, რომ ისინი დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად დებულობენ გადაწყვეტილებებს და არ არიან მართლნი საყოველთაო კანონების მიერ, რომლებიც ძალაში იქნება ყველა მოქალაქისათვის. მათი საქმეც და მათი დღეუცაც ინდივიდუალურია. ხალხს გამომის აქ როგორც სამეფო სახლთადაც განცაკეცულები და ეს უკანასკნელნი მიჩნეულნი არიან ამ სახლისათვის უცხო და უფრო მაღალ რადმე, თავისი ხედვრისათვის რომ თვითონ იბრძვიან და თვითონ იტანს ამ ხედვრს. მეფობამ რომ ის შეასრულა, რაც მას უნდა შეუსრულებინა, ამით თავისთავი ზედმეტი გახდა. სამეფო ვარაუბი თვითონ ნადგურდებიან და იღუპებიან ისე, რომ ამას თან არ ახლავს არავითარი სიმოკლეილი ან შებრძობლება ხალხის მხრიდან. პირი-



ქით მეფეთა გვარებს თავისუფლად აცლიან, რომ შვიდად მოხმარონ თავიანთი სარწო-საბადებელი, და ეს იმის ნიშანი გახლავთ რომ ხალხის ბატონობა, რომელიც ამას მოსდევს, არ განიხილება მის მიერ როგორც აბსოლუტურად განსხვავებული რამ. რა თვალში საცემად განსხვავდება ამ ვითარებისაგან სხვა დროთა ისტორია!

სამეფო გვართა ამ დაცემას ადგილი აქვს ტროადის ომის შემდეგ და ამას ზოგი სხვა ცვლილებაც ახლავს. პელოპონესის პერაკლიდებმა დაიპყრეს და თან უფრო შვიდი მდგომარეობა მოიტანეს, რომელსაც აღარ არღვევდა ხალხთა გამუდმებული გადაადგილ-გადმოადგილება. ამის შემდგომი ისტორია კვლავ ბნელითაა მოცული და თუ ტროას ომის ცალკეული ამბები ჩვენთვის დეტალურადაა ცნობილი, მისი უშუალოდ მომდევნო რამდენიმე საუკუნის მნიშვნელოვანი ვითარებების შესახებ სრულ გაურკვევლობაა ვართ. ეს საუკუნეებ არ გამოირჩევა რაიმე ერთობლივი წამოწყევით, თუ ასეთად არ ჩავთვლით იმას, რომელზედაც თუკიდიდე ლაპარაკობს, სახელდობრ, რომ, რომ ქალკედონელთა და ერუტიელთა ომში, რომელიც ვებეაზე მოხდა, მონაწილეობა მიუღია რამდენსავე ტომს. ქალაქები თავისთავის ქვეყნიდან მცენარეულ არსებობას და, ბევრი-ბევრი, მკვებელთან ომით თუ გამოიჩინენ თავს. მაგრამ ამ ობოლიერებაში ისინი მაინც კეთილდღეობენ, — ძირითადად, ვაჭრობის წყალობით — და ეს გახლავთ წინსვლა, რომელსაც არ შეინახა დედებმა მათში მიმდინარე ბრძოლა პარტიათა შორის. ამასვე ვებუდეთ შუა საუკუნეთა იტალიის ქალაქებში, რომლებიც გამუდმებული საშინაო და საგარეო ომებით იყვნენ მოცულნი, მაგრამ აყვავების მაღალ დონეს მიაღწიეს ამ დროს. საბერძნეთის ქალაქების დიდ აყვავებას ამ ეპოქაში გვიმოჩვენებს, თუკიდიდეს მიხედვით თუ ვიმასკელბთ, დიდ მანძილზე მიმოფანტული ბერძნული კოლონიების არსებობაც. ასე, მაგალითად, ათენმა თავისი კოლონიებით მოფინა იონია და აუბრანტელი კუნძულები. პელოპონესულებმა კოლონიები შექმნეს იტალიასა და სიცილიაში. კოლონიები, თავის მხრით, შეფარდებით დედაქალაქებად იქცნენ, როგორც მოუვიდა, მაგალითად, მილეტს, რომელმაც მრავალი კოლონია დააარსა მარმარილოსა და შავ ზღვაზე. კოლონიების ასეთი ზრდა ტროას ომის მომდევნო ხანიდან ვიდრე კიროსის დრომდე თავისებური მოვლენა გახლავთ მისი ახსნა ასე შეიძლება: ცალკეულ ქალაქებში უმაღლესი ძალაუფლება ხალხის ხელში იყო და იგი ღებულობდა უმაღლეს ინსტანციის გადაწყვეტილებებს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ხანგრძლივი მშვიდობის წყალობით მოსახლეობა ძალიან გაიზარდა და განვითარება შორს წავიდა. ამის უშუალო შედეგი იყო დიდი სიმდიდრის დაგროვება, რასაც, ამასთანავე, მუდამ თან ახლავს დიდი ვაჭორებისა და სიღარიბის გაჩენა. მრეწველობა ჩვენი დღევანდელი აზრით იქ არ არსებობდა, მიწა-წყალი მალე მოლიანად დაკავებულს აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, შედარებით ღარიბი კლასის ერთმა ნაწილმა არ მოისურვა ცხოვრების ლატაკურ პირობებში ჩაყარდნა, რომლებისკენაც ვარემოებები უნიძებოდა, რადგან ყველა ცალკეული ადამიანი თავს თავისუფალ მოქალაქედ გრძობდა. ამგვარად, ერთადერთ გამოსავლად კოლონიზაცია რჩებოდა: იმათ, ვინც თავის ქვეყანაში ვაჭირებას განიცდიდა, შეეძლოთ მიწა-წყალი უცხო ქვეყანაში ემოთა და, როგორც თავისუფალ მოქალაქეებს, თავი მიწითომოქმედებით შეენახათ. ამგვარად, კოლონიზაცია საშუალება იყო მოქალაქეებს შორის თანასწორობის ერთგვარი შენარჩუნებისა. მაგრამ ასეთი საშუალება მხოლოდ პალატიო ვაჭრებს რადგანაც თავდაპირველი უთანასწორობა, რომელიც შეძლების (ქონების) განსხვავებულობას ემყარება, წამსვე იჩენს თავს. ძველი ვენებები ახალი ძალით იღვიძებდნენ და სიმდიდრე მალე იქნა გამოყენებული ბატონობის მოსაპოვებლად. ასე გაჩნდნენ საბერძნეთის ქალაქებში ტირანები. თუკიდიდე მოგვითხრობს: „საბერძნეთში რომ სიმდიდრე გაიზარდა, ქალაქებში ტირანები გაჩნდნენ და ბერძნებმა უფრო დიდი გულშემატკივანობით მიჰყვეს ხელი უზღავსრობას.“ კიროსის დროს იმდენ საბერძნეთის ისტორია თავის საკუთარ ინტერესს. ამ დროს ჩვენ ვებუდეთ სახელმწიფოებს მათ-მათი განსაკუთრებით ვარკვეულობითურთ. ამჟებ დროს ეკუთვნის ბერძნების თავისებური, სხვათაგან განსხვავებული გონის ჩამოყალიბება. ამ გონთან ერთად ვითარდება რელიგია და სახელმწიფო წყობა. სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი მომენტები უნდა განვიხილოთ ახლა.

თუ თვალს მიაგვევებით ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ვ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს საწყისებს, პირველ ვოვლისა კვლავ იმას შევინშნავთ, რომ მათი ქვეყნის ფიზიკური რაგვარობა ისეთი ერთთანობით არ ხასიათდება და ისეთ ერთგვარ მანას არ შეადგენს, რომელსაც შეეძლებოდა მაცხოვრებლებზე განმსაზღვრელი გავლე-

ნის მოხდენა, არამედ იგი მრავალფეროვანა და მირფესვიანი ზემოქმედება მათ ცხოვრებაზე არ ძალუძს. ამიტომაც ამ ქვეყანაში არა ვაქვს მასობრივი ერთიანობა ოჯახური (საგვარეულო, მთარგმნ. შენ.) ერთიანობის და ეროვნული ერთიანობის სახით დანაწევრებული ბუნების და მისი ძალების პირისპირ ადამიანებშიც, უფრო, თავისთავის იმედითა და თავიანთი მცირე ძალის იმედით გამოდიან. ამგვარად, ბერძნებს ჩვენ ვხვდეთ ერთმანეთში გაყოფილნი და გამოცალკევებულნი, საკუთარი შინაგანი გონის (სულისკეთების) და პირადი სომამაციის მიხედვად დარჩენილებს, ამასთანავე უმარტოვარად შექუხებული-აფორამაქებულიცა და ავზნებულებს, ფრული მხრიდან ზიფათის მომლოდინეთ, საესებით არამდებარე ვითარებაში ვყოფთ და მიმოხნულთ ბუნების პირისპირ, ამ უკანასკნელის შემთხვევითობებზე დამოკიდებულთ და ფრული გარჯვანი ცვლილებისათვის გაფაციცებით ვურის მიმპყრობთ, მაგრამ, შეოროს მხროვ ამ გარჯვანის გონით შევხვითა და ამთვისებართ, მისდამი მამაცურად და თავდაჯერებულად დაპირისპირებულთ. ესა განათლებას და მათო რელიგიის მარტოვ ელემენტებო. თუ თვალს მივაპყრობთ მითოლოგიურ წარმოდებებს, დავინახეთო რომ ამ უკანასკნელებს საფუძვლად უდევს ბუნების საგნები, მაგრამ არა როგორც მასად მოცემული, არამედ როგორც განერთვლებული. ეფესოელი დიანა (ესა ბუნება, ვითარცა ფრულივს საერთო დედა), ხირიელი კიბელე და ასტარტე — ეს და ამგვარი ზოგადი წარმოდგენები აზიური იყო და აზიურად დარჩა, საბერძნეთში ისინი არ გადმოხულან, რადგანაც ბერძნები მხოლოდ ე უ რ ხ უ ჯ ვ რ ო ბ ე გ ბუნების საგნებს ვ უ მ ა ნ ო თ გ რ მ ბ ე ნ მათო ოღონდ მუდმივო თანხლებუბო კითხვის დამითო თუ რაა მათო მნიშვნელობა. როგორც არისტოტელე ფილოსოფიაზე ამბობს, იგი განცეიფრებით იწყებო, იხე ბერძნული ბუნებისმხედველობის საწყისიც განცეიფრებაში ძქვს. ამით ეს კი არ იგულისხმება, რომ ვინა ვანსაკუთრებულს, უჩვეულოს რასმე აწყდებდა და მას ჩვეულებარეს უდარებს (არ იგულისხმება იმითბო, რომ ვანსაცესული შეხედულება ბუნების კანონზომიერი მიმდინარეობის შესახებ და შედარების მომხლებინ რეფლექსია მასზე ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობს); არამედ იგულისხმება ის, რომ ამდებარე-ამოქმედებული ბერძნული გონი, უფრო, ბუნების ბ ე ნ ე ბ რ ო ბ ა ს კვირობს. იგი ჩვენგანდ კი არ მისჩრება ბუნებას, ვითარცა რადაცას მოცემულს, არამედ კვილებს მას როგორც ისეთ რასმე, რაც გონისათვის, პირველმდროითო უცხუა, მაგრამ მის მიმართაც მას გუმანიტ ნაკარნახევი ნღობა აქვს და იმის რწმენა გაჩანა, რომ იგი (ბუნება) რადაცა ისეთის მატარებელა თვისსაივში, რაც მისთვის (გონისათვის) მოუკრულად და რის მიმართაც მას (გონს) პოზიტიური დამოკიდებულება ძალუძს. ეს განცეიფრება და ე ვ მ ა ნ ო თ გ რ მ ბ ე ნ აქ ფუძემდებელი კატეგორიები გახლათ. მაგრამ ვინებო დამოკიდებულების ამ წესზე როდი შეჩერდნენ, არამედ ამ შინაგანს, რომლის შესახებაც მათო გუმანიტი კითხვას სუბადა, გარკვეული წარმოდგენის სახე მისცეს და იგი ცნობიერების საგნად გახადეს. ბუნებრივი მხედველობაში მიიღება და ძალაშია მხოლოდ როგორც გონში განცლილი, რომელიც მისთვის გამამუალებელია, და არა უმუალოვ. ადამიანს ბუნებრივი თეაღნდ უღვას მხოლოდ როგორც აღმძვრელი; მისთვის მნიშვნელობს მხოლოდ ის გონითი, რადაც მან ეს ბუნებრივი გახადა. ასეთო ჩასახვა გონითისა არ უნდა მიეწინით მხოლოდ ჩ ე ე ნ მიერ მიცემულ ასხნად. მისი ამგვარი დასწყისი თვით ბუნებრთა აურაცხველ წარმოდგენებშია მოცემული. ასეთო გუმანიტი საესე, ვურის მიმპყრობი, მნიშვნელობის ამოცნობას მოწყურებული დამოკიდებულება ბ ე ნ ო ს ზოგად სახეშია გამოსატელი. საბერძნეთში პანი ობიექტური მიჯანობა კი არას, არამედ იგი არის განუსაზღვრელობა-გარკვევლობა, რომელიც ამავე დროს სუბიექტურობის მომენტის მოიცველა. პანი ის ფრულია მოიცველი ჟრეოლაა, რომელიც სულდგმულს ტყის ხიჩრებში ეუფლება. ამიტომაც პანს თავანს სცემენ ტყიან არკადიაში (აკი „პანიკური შიში“ საყოველთაოდ მიღებული გამოთქმა ანგარიშიშიუცემელი შიშის აღსანიშნავად). ჟრეოლის აღმძვრელ პანს საღამურის დამკრულადაც გვიხატავენ: პანი მხოლოდ შინაგანი გუმანიტი კი არ აღიქმება, არამედ შევცილია მისი შეიღბარა საღამურზე დაპირაც გაეფორმო ამგვარად უკვე, ერთის მხროვ საქმე გვაქვს ამ გაურკვევლობან, რომელიც ზემოთ ვხსენეთო თუცა მისი მოხმენაც ძალგვიბს, შეოროს მხროვ კი თვით ის, რასაც მოვიხმენთო სუბიექტური წარმოსახუა მომხმენისა და მის მიერ მიცემული ასხნა. ასევე უსმენდნენ ბერძნები წყაროთა დუდუნსაც და კითხულობდნენ, რას ნიშნავს იგი. მაგრამ ეს მნიშვნელობა წყაროს ობიექტური აზრთანობა კი არ იყო, არამედ მომხმენი სუბიექტის სუბიექტური აზრთანობა, რომელმაც შეძლევ თვით ნაადა (ხმავ, წყაროს ასული.მთარგმნ. შენ.) მუხნად აქცია. ნაიალდე ანუ წყაროები მუხნების გარჯვანი საწყისი არიან. მაგრამ მუხნების უკვლავი

1. კვლევის სიტყვათაშიამო აგებულა იმავე ბგერათა სომპლექსის „პან“ გამოყენებაზე ბერძნული „პილიფესის“ აღსანიშნავად.

სავალბულო ის როდია, რასაც წყაროების დედუნში ვისმენთ, არამედ აზრის, ყურის მიმპყრობის გონის პროდუქტებია, რომლებიც მან (გონმა) გარეთეკნ სმენის პროცესში თავისთავში შვა.

ბუნების და ბუნებრივი ცვლილებების განმარტება და ახსნა, მათში საზრისისა და მნიშვნელობის მოითხოვა სუბიექტური გონის საქმიანობა გახლავთ, რასაც ბერძენები  $\mu\alpha\upsilon\tau\epsilon\iota\lambda\omicron\varsigma$  სახელით აღნიშნავდნენ. ეს უკანასკნელი (მანტიკა) ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ როგორც ბუნებისთვის ადამიანის მიმართებისა და კავშირის გარკვეული წესი. მანტიკის სფეროება (ასახსნელი) მასალა და ამხსნელი, რომელიც ამ მასალისაგან აზრთან რასმე გამოიტანს. პლატონი მანტიკაზე ლაპარაკობს სიზმრებსა და ბოღვასთან დაკავშირებით, რომელშიც ადამიანი ადამოფილოსიას ვარდება. იგი ამბობს, რომ ამ ზმანებების და ბოღვის ახსნას განმმარტებელი სჭირდება. როცა ვამბობთ, ბუნება ბერძენს მისი კითხვების პასუხს აძლევდათ, ეს გამოთქმა იმდენადაა ტუქმარტობა, რამდენადღაც ადამიანი თავისი გონიდან პასუხობდა ბუნების კითხვებს. ამით კი ტურეტა წონდა პოეტური ხდება, რადგან ამ ტურეტაში გონი ქმნის საზრისს, რომელსაც ბუნებრივი წარმონაქმნი გამოხატავს. ბერძენები ყველგან მოითხოვენ ბუნებრივის განმარტებას.

„ოდისეოს“ უკანასკნელ ქებაში პომპროსი მოკვითხრობს, რომ, როდესაც ბერძენები დამწუხრებულნი დედან მოკლული აქილეუხის გარშეობს, ზღვაზე სასინელი გრაილი ატლდება. ბერძენები, ისაა, გაფანტვას აძირტენ, შიშით შეპყრობილი, როცა ბრძენი ნესტორი დგება და ამ მოუღენას აუხსნის: თტისი მოდის თავისი ნიშფეხითორთ, რათა შვილი იგლოვოს. ბერძენთა ბანაკში რომ ქორი იფეთქებს, ქურუმი კალხასი მათ ამ მოუღენას უმარტავს: აპოლონი განრისხებულია, რომ მის ქურუშს ქრისხეს სახსრის (გამოსასყიდის) ხანაცვლად ქალიშვილი არ დაუბრუნესო. ორაკულსაც თუგდაპირველად განმარტების სწორედ ასეთი ფორმა პქირად შემოადებულთ. უძველესი ორაკული დოდონაში იყო (დღევანდელი იანინას მახლობლად). ჰეროდოტე მოკვითხრობს, რომ პირველი ქურუმი ქალები იქ ეგვიპტიდან იყვნენ ჩასულინი, მაგრამ ეს ტამარი მინც ძველ ბერძნულადაა მიჩნეული. იქ წინასწარტუქვევლებას წინახა თუფთობის შროაი წარმოადგენდა. ლითონის თასებიც იყო ზედ ჩამოკიდებული. მაგრამ ერთი მეორეს მიხილი თასების ზმა სრულებით გაურკვეველი რამ იყო და ობიექტურ საზრისს მოკლებული: საზრისი, მნიშვნელობა მასში მხოლოდ მის მწვდომ ადამიანს შექონდა. დელფოსელი ქურუმი ქალებიც უცნობიეროდ და უფურქვლად გამოსცემდნენ აღტყენების თრობით ნაკარანხულ გაურკვეველ ბგერებს და მათში გარკვეულ მნიშვნელობას მანტიკისადა დებდა. ტროფონიოსის გაბოქვანულში მიწისქვეშა წყლების გაურკვეველი ჩხრიალი ისმოდა და მოწვევები ილანდებოდა. მაგრამ ამ გაურკვეველს მნიშვნელობა ეძლეოდა მხოლოდ მისი აღძქმელი განმმარტებელი გონის წყალობით. იმის მენიშვნაც გეპარტებს, რომ გონისთვის ბიძგს, უპირველასად, ბუნებაში არსებული მოძრაობანი წარმოადგენდა, მაგრამ ამათთან ერთად — შინაგანი ცვლილებებიც, რომლებიც თვით ადამიანში ხდება, როგორცადაა ზმანება ან დღეფთოსელი ქურუმი ქალის ბოღვა, რომლებსაც მანტიკის განმარტავს როგორც ახრდებულს. „ოდისეოს“ დასაწყისში აქილეუსი რისხეთაში შეპყრობილი აგამემნონის წინააღმდეგ და შზადაა მახვილი იხადოს, მაგრამ იგი წაშვე დაიოკებს თავისი მკლავის მოძრაობას და თავს ეუფლება, როგორც კი უფურტდება თავის დამოკიდებულებას აგამემნონთან. პოეტი ამას განმარტავს შემდეგნაირად: იგი პალას ათენემ (სიბრძნემ, გონიერებამ) შვაკავია. ოდისეემა რომ ფეაკთა შორის თავისი ბადრო სხვებზე შორს სტოკონდა და ერთმა ფეაკმა თავი მოყვარად აჩვენა, პოეტმა მასიც ათენე დაინახა. ამგვარად, მნიშვნელობა ის შინაგანია, ის საზრისია, ის ტუქმარტობა, რომლის შეცნობაც ხდება, და ამართ პოეტები, პირველ რიგში კი პომპროსი, ბერძენთა მასწავლებლები იყვნენ. საერთოდ, მანტიკა პოეზიაა — არა ნებსითი ფანტაზირება, არამედ ისეთი ფანტაზია, რომელსაც ბუნებისუელში გონითი შვაქეს და ამ გზით საზრისით საესე ცოდნად იქცევა. ამგვარად, შვიდლება ითქვას, რომ ბერძნული გონი თავისუფალია ცრუმორწმუნეობისაგან, როდესაც გრანობისთ არბიანად აქცევს, ასე რომ განსაზღვრანი, რომლებიც ამას წარმართავენ, გონისაგან მომდინარეობენ, თუშქვალა, როგორც კიდველ ვითყვით ქვემოთ, ცრუმორწმუნეობა სხვა მხრიდან აღწრებს მათ წარმოდგენებში, როცა მათი შუქედულებისა და მოქმედების მმართველი განსაზღვრანი სხვა წყაროდან წარმოდგებანი, ვიდრე გონითი სტერია.

მაგრამ ბერძნული გონის აღმძერული წყაროები მხოლოდ გარყვანითა და შინაგანით არ უნდა შემოუფარკლოთ, არამედ მათ რიცხვს უნდა მოვაკეთონოთ უცხოური ტრადიციებიც — უკვე არსებული განათლება, უცხო ლტერები და მათი მსახურება. დიდი ხანია საღვთოდ გამხდარა საკითხი: ბერძენთა ხელუფენანი და რელიგია დამოუკიდებლად განვითარდნენ თუ გარედან მიიღეს საამისო სტიმობა? თუ ასეთი კითხვას ცალმხრივი

განსჯა აყენებს, მაშინ იგი გადაუჭრელია. რადგან იმდენადვე ისტორიული გახლავთ ის ვითარება, რომ ბერძენებში ინდოეთიდან, სირიიდან, ეგვიპტიდან წამოსულმა წარმოდგენებმა შეაღწია, რამდენადაც ის, რომ ბერძენული წარმოდგენები თავისებურია და ბერძნულია, ის, სხვა წარმოდგენები კი უცხოა. პეროდოტეც ასევე ამბობს (II,53): „პომპროსმა და ჰესიოდემ შეუქმნეს ბერძნებს მათ ღმერთთა მოღვაძე და ღმერთებს მტკნახელეთა (ეპითეტები) მიანიჭეს“. ეს დიდი გამოთქმა გახლავთ, რომელსაც განსაკუთრებით კრო-იკრმა მიაპყრო საგანგებო ყურადღება<sup>1</sup>. მაგრამ იგივე პეროდოტე, მეორეს მხრე, ამბობს, საბერძნეთთან თავის ღმერთთა სახელები ეგვიპტიდან მიიღო და ბერძნები დიდობაში ორაკულს შეეითხნენ, შექმნაწარბინათ თუ არა ეს სახელებიო. ეს ერთის შეხედვით ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებები გახლავთ, მაგრამ სინამდვილეში მათ შორის წინააღმდეგობა არაა, რადგანაც იმისაგან, რაც მიიღეს, ბერძნებმა გონით შექმნეს. საერთოდ, ბუნებისეული, რომელსაც ადამიანისაგან ა ხ ს ნ ა მიუღია, — ამ ბუნებისეულის შინაგანი და არსებითი მხარე, ლეოთერის დასაწყისი გახლავთ. ისევე, როგორც ხელოვნებაში ბერძნებს ტექნიკური გაწაფებულობა შესაძლოა აკრძალვოთ ეგვიპტელებისაგან მიღებული ჰქონდეთ, მათი რელიგიის საწყისიც შესაძლოა გარედან მომდინარეობდეს, მაგრამ მათ თავიანთი თვითმდგომი გონით ერთიც და მეორეც გარდასახეს და საკუთარი სახე მისცეს.

რელიგიის ასეთ უცხო წარმომავლობის კვალი ყველგან შევვიძლია ვიპოვოთ (კროიციკო თავის „სიმბოლიკაში“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამას). მართალია, ძველის სატრფიალო თავგადასავალი ერთეულ, ვარჯჯან, შემთხვევით რადმე წარმოგიდგება, მაგრამ მაინც შესაძლოა იმის მითითება, რომ ამ თავგადასავალს უცხო წარმოშობის თეოგონიური წარმოდგენები უდევს საფუძვლად. პერკულესი ელენთა მითალოგიაში არის ის გონითად ადამიანური საწყისი, რომელიც საკუთარი მოქმედების ძალით, თორმეტი დღისთვის ჩაღვინა გზით ოლიმპს მიიპოვებს, მაგრამ უცხო იდეა, რომელიც ამას საფუძვლად უდევს, ეს არის შშის მოძრაობა თორმეტი მოდიკოში. მისტერიები მხოლოდ ასეთ ძველი საწყისები იყო (ბერძენთა რელიგიისა) და უეჭველია, რომ ისინი არ შეიცვდნენ რაიმე ისეთ სიბრძნეს, რომელიც ბერძენთა ცნობიერებაში უკვე არსებულს აღემატებოდა. ყველა ათენელი ზიარებული იყო მისტერიებს, მხოლოდ სოკრატემ არ დაუშვა თავისი ინიციაცია მათში, რადგანაც კარგად იცოდა, რომ მეცნიერება და ხელოვნება მისტერიებიდან არ მოიღის და საიდუმლოში არასდროს სიბრძნე არ ძვეს. ჭეშმარიტი მეცნიერება, პირიქით, ცნობიერების გამწვანე ყველზეა საბუთარი.

თუ ახლა იმის შეჯამებას მოვიწოდებთ, თუ რა არის ბ ე რ ძ ე ნ ი, მისი ძირითადი განსაზღვრულობა ეს იქნება, რომ გონის თავისუფლება პირობადებულია და არსებობს კავშირშია ბუნების-მიერ აღძვრასთან. ბერძნული თავისუფლება სხვის მიერ აღძრულია და თავისუფალი იგი იმით არის, რომ ამ აღძვრის იგი თავისთავიდან ამოსვლით ცვლის და შემოქმედებას ქვეა. ასეთი განსაზღვრულობა საშუალო გახლავთ ერთის მხრე ადამიანის უყოთარადაც ამ უკანასკნელს აზნურ პრინციპში უხედავო, სადაც გონით და ღვათბრთი ცნობილია მხოლოდ როგორც ბუნებით წესით არსებული და მეორეს მხრე უსასრულო სუბიექტურობას, როგორც ამ სუბიექტურობისათვის თავისთავის წმინდა უეჭველობას, შორის, — იმ აზრს შორის, რომ „მე“ ყოველთვის იმის ნიადაგია, რაც კი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. ბერძენი გონი, ვითარცა საშუალო (ტერმინი)<sup>2</sup>, ბუნებიდან ამოღის და გარდასახავს მას თავისთავის (გონის) დადგენილობად თავისთავიდან (გონიდან) გამომდინარე. ამიტომაც გონითობა ამ ჯერ კიდევ არ არის აბსოლუტურად თავისუფალი და არაა ჯერ სრულყოფილი და თ ა ვ ი ს თ ა ვ ი დ ა ნ გამომდინარე, იგი არაა ჯერ თავისთავის მიერვე აღძვრა. ბერძნული გონი გუშანიდან და განცვიფრებიდან ამოღის და აქედან წინსვლას განაგრძობს მნიშვნელობის დადგენისა. თითო სუბიექტშიც ამ ერთიანობის წარმოქმნა ხდება. ადამიანში ბუნებით მხარე გული, მიდრეკილება, ენებები, ტექსტურაქმნა. ეს ბუნებით მხარე ყალიბდება თავისუფალ ინდივიდუალობად, ამასთან, ყალიბდება იმეგარად, რომ ხასიათი არაა დაკავშირებული და არა აქვს დამოკიდებულება ზოგად ზნეობრივ ძალებთან, ვითარცა მოვალეობებთან, არამედ ზნეობრივი საწყისი არის როგორც თავისებური სახის ყოფიერება და როგორც ნებას საზრისისა და განკრძობიებული სუბიექტურობისა. სწორედ ეს ხდის ბერძნულ ხასიათს მშვენიერ ინდივიდუალობად, რომელსაც გონი წარმოშობს, გარდაქმნის რა ადამი-

<sup>1</sup> ფრედრიხ კროიციკო (F.Creuzer) „ძველ ხალხთა სიმბოლიკა და მითოლოგია. განსაკუთრებით ბერძენისა“ 4 ტომად, 1810—12.  
<sup>2</sup> მხედრობაში მისაღებად, რომ Millt „შუასაკ“ ნიშნავს და „საშუალო ტერმინსაც“ სილოგისში. ჯველს ამ სიტყვის ორვე სხეულები მნიშვნელობა აქვს მხედრობაში (მთარგმნ. შენ.).

ანის ბუნებით მხარეს თავის გამოხატულებად. გონის ქედებას აქ ვერ კიდევ არ მოეპოვება გარემოებულენის (გამოთქმის) მასალა და ორჯანო თვით თავისთვის (გონის) სახით არამედ ამისათვის მას სჭირდება ბუნებისმიერი აღმერა და ბუნებისეული მასალა. იგი არაა თავისუფალი, თავისთვის განმსაზღვრელი გონითობა, არამედ გონითობად ჩამოყალიბებულ-სახშიცემული ბუნებითობაა, გონითი ინდივიდუალობა. ბერძნული გონი პლასტიკოსი ხელოვანია, რომელიც ქვას ხელოვნების ნაწარმოებად აყალიბებს. ამ ჩამოყალიბება-სახშიცემის პროცესში ქვა მარტოაღენ ქვად კი ადარ რჩება და ფორმა მას მხოლოდ გარჯანად კი არ ემატება ზედ, არამედ იგი, თვით თავისი ბუნების საწინააღმდეგოდაც კი, გონითის გამომხატველად იქცევა და ა ხ ე ვ გარდაიქმნება. და, პირუკუ, ხელოვანი თავისი გონითი კონცეფციებისათვის საჭიროებს ქვას, ფერებს, გრძობად ფორმებს, რათა თავის იდეას გამოხატულება მისცეს. ასეთი ელემენტის გარეშე იგი თვითონ ვერ გაიცნობიერებს თავის იდეას, ისევე როგორც ვერ გაუსაგნობრივებს მას სხვებს, რადგანაც იგი მის აზროვნებაში ვერ გაუსაგნდება.

ვევატური გონიც, ასევე, მასალაში მომუშავე ხელოსანი იყო, მაგრამ იქ ბუნებითი საწყისი ვერ კიდევ არ იყო გონითის დაქვემდებარებული. იქ საქმე მათ შრომასა და ჭიდილზე გაჩერდა. ბუნებითი იქ ვერ კიდევ თავისთვის განაგრძობდა ვოფნას, ნაწარმოების მხოლოდ ერთი მხარე იყო, როგორც სვიქსის სხეულში. ბერძნულ მშენიერებაში გრძობადი მხოლოდ ნიშანიდაა, გამოხატულებადაა, საფარველია, რომელშიც გონი ცხადდება.

იხვე უნდა დავსძინოთ, რომ, ბერძნული გონი რომ ამ გარდამსახველ-სახისმიცემად გვევლინება, მან თავის ქმნილებებში იცის თავისთავი, როგორც თავისუფალი. რადგან იგი მათი შემოქმედაა, ისინი კი — ე.წ. ადამიანური ქმნილებანი, ადამიანის ქმნილებანი. მაგრამ ეს ქმნილებანი მხოლოდ ეს კი არ არიან, არამედ მარადი ჭეშმარიტება და ძალნი არიან გონისა, თავისთავად და თავისთვის მყოფნი, და იმდენადვე ადამიანის მიერ შექმნილნი არიან, რამდენადაც შეუქმნელნი. გონს პატივისცემა და მოწინება აქვს ამ ჭეშმარიტებისა და ამ ხატებისა — ამ ოლიმპოელი ძევისისა და ამ ციხის თავზე მდგარი ათენესი, ისევე როგორც სახელმწიფოს ამ კანონებისა და ამ ზნეობისა. მაგრამ ადამიანია ის დედის სხეული, რომელმაც ისინი (ეს ხატები) მუცლად იღო, იგია ის ძუძუ, რომელმაც ისინი გამოკვება, და ის გონითი საწყისი, რომელმაც ისინი დიდად და წმინდად გამოზარდა. ამგვარად, იგი სხარულით ფეოქეს მათი შემხედვარე და არა მარტო თავისთავადაა თავისუფალი, არამედ თავისუფალია თავისი თავისუფლების ცნობიერებითაც. ამგვარად, ადამიანურისადმი კუთვნილი პატივი დეთაბერიისადმი კუთვნილ პატივში ჩანქმულა. კაცნი პატოს სცემენ დეთაბერიეს თავისთავად-და-თავისთვის-მყოფეს, მაგრამ, ამასთანავე, ისინი პატოს სცემენ მას როგორც თ ა ვ ი ს ნაქმარს, თ ა ვ ი ს წარმონაშობს და თ ა ვ ი ს აქარსობას. ასე იძენს დეთაბერიი პატოს ადამიანურისადმი კუთვნილი პატივის მეშვეობით და ადამიანური — დეთაბერიისადმი კუთვნილი პატივის მეშვეობით.

ამგვარად განსაზღვრული, მშენიერი ინდივიდუალობა გახლეით ის, რაც ბერძნული ხასიათის ცენტრს ქნის. ახლა ეს დავერჩა, რომ უფრო დაწერილებით განვიხილოთ ცალ-ცალკე სხვები, რომელშიც ეს ცნება ხორციელდება. ყველა ეს სხვი ხელოვნების თავისებური ნაწარმოებია. ჩვენ შვევილია ისინი განვიხილოთ როგორც სამნაირი წარმონაქმნი: როგორც სუბიექტური ხელოვნებისეული ნაწარმოები, ანუ როგორც თვით ადამიანის სახისქმნა-ჩამოყალიბება; როგორც ობიექტური ხელოვნებისეული ნაწარმოები, ანუ როგორც დებრთა სამყაროს შექმნა; და, დასასრულ, როგორც პოლიტიკური ხელოვნებისეული ნაწარმოები, როგორც წყობის და, მასთან ერთად, ინდივიდების რაგვარობა.

# ნაკვეთი მეორე

## მშენებრივ ინდივიდუალობის სახელქმნანი

### თავი პირველი

#### ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ხ ე ლ ო ე ნ ე ბ ი ს ქ მ ნ ი ლ ე ბ ა

ადამიანი თავის მოთხოვნილებითურთ გარეგან ბუნებას პრაქტიკული წესით ეყიდება. ამასთან, იკმაყოფილებს რა ამ მოთხოვნილებებს ამ უკანასკნელის საშუალებით და ამით მას ცვეთს (ზარეჯეს), იგი თავის საქმეს გაშუალებულიად ქრევა. ბუნებისსული საგნები მძლეურნი არიან და მას წინააღმდეგობას უწევენ. მათ დასამდევედ ადამიანს თავისთავსა და მათ შორის სხვა ბუნებისსული საგნები შემოაჭყეს, ამით ბუნებას ბუნების წინააღმდეგვე აბრუნებს და თავისი მიზნისათვის იარაღებს იგონებს. ადამიანის ეს გამოიონებები გონის ეკუთვნიან და ამგვარი იარაღი მტკ პატრიოსიკემას იმსახურებს, ვიდრე ბუნებისსული საგანი. იმასაც ვხედავთ, რომ ბერძნებმაც კარგად იცოდნენ ამგვარი საგნების დაფასება, რამდენადაც ჰომეროსთან კარგად ვხედავთ ადამიანთა სიზარულს ასეთი საგნების გამო. აგამემნონის სკიპტრას რომ ახსენებს, ამას პოეტი მისი წარმოშეულობის ვრცელ ისტორიას ურთავს. იგი სიამოვნებით ახსენებს კარს, რომელიც ანჯამებში ბრუნავს, საჭურველსა და ხელსაწყოებს.

მაგრამ, მეორეს მხრე, ადამიანი ბუნებას იყენებს სამკაულის შესაქმნელადაც, რომელსაც ის საზრისო აქვს, რომ მხოლოდ ნიშანი იყოს სიძლიერისა და იმისა, რადაც ადამიანს თავისთავი უშუქნია. ასეთი ინტერესიც სამკაულთა მიმართ ჰომეროსისსულ ბერძნებში უკვე მაგრად განვითარებული ჩანს. ბარბაროსებიც და ზნეაწიითარებული ბაღბებიც ირთებოდნენ. ოღონდ ბარბაროსები იმით ეკმაყოფილებოდნენ, თვის რომ ილაშქრებენ, ანუ იმას აღწევენ, რომ მათი სხეული გარეგნულად მოსაწონი იყოს. მაგრამ სამკაულის დანიშნულება მხოლოდ ისაა, რომ სხვა რამის სამკაული იყოს — ადამიანის სხეულისა, რომელშიც ადამიანი უშუალოდ აღმოჩნდა ჩასახლებული და რომელიც, — ისევე, როგორც ვოველვე ბუნებითი საერთოდ, — მან უნდა გარდაქმნას. ამიტომაც უპირველესი განითი ინტერესი ეს ვახლეით რომ სხეული ნების სრულყოფილ ორგანოდ იქნეს ჩამოყალიბებული, ხოლო ამგვარი მოხერხებულობა შეიძლება სხვა მიზანთა მისაღწევ საშუალებადაც გვევლინებოდეს და თავისთავად მისაღწევად. ბერძნებში ჩვენ ვხედავთ ინდივიდთა ამ უსასრულო მისწრაფებას თავისთავის ჩვენებისაგან და ამგვარად ტკობისაგან. მათი შვიდობიანი მდგომარეობის ბაზისი გრძობადი ტკობა როდი ვახდა, ისევე როგორც არ ვახდარა ასეთ ბაზისად ცრუმორწმუნეობის სიჩვენება და არაღამოყიდებლობა, რომელიც ამ მდგომარეობას ახლავს. ბერძნები ისე მძლეურად არიან ავზნებულნი, იმდენად მძლეურად არიან თვითნათი ინდივიდუალობაზე შემსჭალებნი, რომ ვერ უთავანებდნენ მარტყად და ლიტონად ბუნებას, როგორადაც იგი თვით გვეძლევა თავისი ძლიერებითა და მოწყალებით. შვიდობიანი მდგომარეობა, რომელიც ვაზღური ცხოვრების დამთავრებას მოჰყავს და ბუნების სუფიების წყალობით თან უსაერთოხება და მოკალეობა მოიტანს, მათ თავისი თვითობის გრძობის აყოლისაგან უნებებდა და საკუთარი თავის პატრიოსიკემას უღეულებდა. მაგრამ ისინი, თავისი მხრე, იმდენად თვითმდგომი ინივიდუალობანი არიან, რომ ცრუმორწმუნეობას არ დაემაგვრებოდნენ, მეორეს მხრე, არც შედმეტად ამოაშოფავრენი და ამპარტყანანი არიან ამის გამო. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ის, რაც არსებითაა, მათს თვალში ჯერ გამოშეუფრებულ და გამოჩინილ უნდა იქნეს, ვიდრე იგი მათ ამოაშოფავრეობის საგნად ექცეოდეს. ხალისიანი თვითობის გრძობა გრძობადი ბუნებითი მხარის პარისპირ და იმის მოთხოვნილება, რომ არა მარტო დატკბენენ ყუდელებით, არამედ თვით ეჭენონ სხეებს, ამით გამოჩინილ ინივიდუალოდ ჩათვისთავად და თავისთავით დატკბენ — აი ბერძნთა მთავარი საქმე და საზრუნავი. საერში თავისუფლად მონაყრად და მოგალობე ჩიტებით აქაც ადამიანი თავისუფლად ავლენს იმას, რაც მის აუშფერველად ადამიანურ ბუნებაში ძეცს, რათა ამგვარი გარეგამოყენებით თავისთავი დაიმტკიცოს და აღიარება მოიპოვოს. ეს ვახლეით სუბიექტური საწყისი ბერძნული ხელეუნებისა, რომელშიც ადამიანი თავის სხეულებზე მხარეს მისი მშენებრივ მოძრაობითა და მძლეური სი-

ჩაკეთ ხელოვნების ქნობლებად ავალბებს. ბერძნებმა ჯერ თვით თავისთავი აქციეს შვენიერ ფიგურებად, ხანამ ასეთი ფიგურების მარმაროლოში გამოკეთას და ნახატებში გამოსახვას დაიწყებდნენ. უწყინარი შეკვიბობა თამაშთა სახით, სადაც ყოველი კაცი თვალსაჩინოს ხდის, თუ რა არის იგი, უძველესი გახლავთ. ჰომეროსი დიდებულად ავაციწერს აქილევსის მიერ პატროკლეს პატროსაცემად გამართულ ასპარეზობას, მაგრამ მიულ მის შემოქმედებში ვერ ვნახათ ღმერთთა ქანდაკებების ხსენებას, თუმც კი იგი იცნობს და ასხენებს სიმწველია ფარჯეს ღირანამი და აპოლონის საუნჯეობაცუცს დედოფოსნი. მომეროსისეული ასპარეზობა მდგომარეობს ჭიდაობასა და მუშტიკოეში, რბენაში, ეტლთა რბოლაში, ბადროს ტყორცანაში, შუბის სროლასა და შვიელოსნობაში. ამ ვარჯიშებთან დაკუშირებულია ცეკვა-სიმღერა, რომელიც გულდა მზიარულების გამოვლენასა და ტეობას ემსხურება. ეს ორი ხელოვნებაც აყვავდა და მშვენიერებას მიაღწია. აქილევსის ფარჯეს სხვა რამდენთან ერთად ჰეფესტოსმა ისიც გამოსახა, თუ როგორ რაკვეთ ფეხმარდი და გაწერთილი ქაღწულნი და ჭაბუკნი იმ სისწრაფით, როგორსაც კი მეცუცის საჭურთელი მისწვდა. ბრბო დამტკბარი შესტკერის, მათ ვარშემო შემოკრებილი, ღვთიური მჟანგე თავისი საკრევის ხმას უწყობს მათ, ფერხულის ცენტრში კი ორი მთავარი მოცეკვე ბრუნავს.

ეს თამაშნი და ხელოვნებანი მათი თანხლები ტეობითა და პატივითურთ თავდაპირველად მხოლოდ პირად საქმეს წარმოადგენდნენ და მათი მოწყობა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდებოდა. მაგრამ შემდეგში მათ ეროვნული ჩვეულების სახე მიეცა და მოხდა მათი ფიქსაცია გარკვეულ ადგილას და გარკვეულ დროს. გარდა ოლიმპიური ასპარეზობისა ელისის წმიდა მიწა-წყალზე ეწყობოდა აგრეთვე ისთმისის, პითიასა და ნემეის ასპარეზობები სხვაგან, აგრეთვე სხვა ადგილთა ასპარეზობები.

თუ ახლა ყურადღებას ამ თამაშთა შინაგან მხარეს მივაპყრობთ, პირველ ყოვლისა ამას შევაძწნეთ, რომ თამაში უპირისპირდება სერიოზულობას, სხვაზე დამოკიდებულობასა და გასაჭირს. ამგვარი ჭიდაობა, რბენა და ბრძოლა სერიოზული რამ არ ვახლდათ, მას არ იწყებდა გასაჭირი, რომელიც თავდაცვის საჭიროებას ბადებდა, ან ბრძოლის მოთხოვნილება. სამშუბო სერიოზული რამ იმდენად გახლავთ, რამდენადაც მას მიმართება აქვს მოთხოვნილებასთან. ან მე უნდა დავიღუპო, ან ბუნება. თუ ერთი მდგომარის, ამისთვის მეორე უნდა დაიძლიოს. მაგრამ თუ თამაშს ამ სერიოზულობას შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ იგი მასზე უფრო დიდი სერიოზულობა ყოფილა, რადგანაც ამგვარ ასპარეზობებში ბუნება გონში შეჭრილა მის სახისმქმნელ-ჩამომავალიბებლად, მის აღნაგობას შერწყმია და, თუმცა ამ შეკვიბებებში სუბიექტი უმადლეს აზრისეულ სერიოზულობამდე არ მისულა, ყოველ შემთხვევაში, თავისი სხეულებრივი მხარის ასეთ ამოქმედებში აღმნიანი თავის თავისუფლებას მაინც ავლენს, სახელდობრ, იმას, რომ მას თავისი სხეული თავისი გონის იარაღად გარდაუქნია.

თავისი ერთ-ერთი ორგანოს — ხმის — სახით ადამიანს თვითონ მოეპოვება უშუალოდ ისეთი ელემენტი, რომელიც დასაშვებს ხდის და მოითხოვს უფრო ვრცელ შინაარსს, ვიდრე მხოლოდ ისაა, რაც გრძობადად აქ-და-აქმყობა. ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორაა სიმღერა დაკავშირებული ცეკვასთან და მას ემსახურება. მაგრამ სიმღერა დამოუკიდებლობასაც იძენს და თანხლებისათვის საკრავებს საჭიროებს. ამასთან ერთად, იგი არც უშინაარსო მღერად რჩება, ფრინველის მოდელაციებით, რომლებსაც, მართალია, ძალუბთ ჩვენს გრძობებს შეესტყვონ, მაგრამ ობიექტური შინაარსი არ გააჩნიათ. სიმღერა მოითხოვს ისეთ შინაარსს, რომელიც წარმოადგენსა და გონიდან შობილა და რომელიც თავისთავს ხელოვნების ქნობლებად ავალბებს.

## თავი მეორე

### ობიექტური ხელოვნების ქმნილება

თუ ვეკითხვით, როგორია სიმღერის შინაარსი, უნდა ითქვას, რომ მისი არსებით და აბსოლუტური შინაარსი რელიგიური შინაარსია. ჩვენ უკვე ვნახეთ, რაა ბერძნული გონის ცნება. ბერძნული რელიგია სხვა არა არის რა თუ არ იხ, რომ ეს ცნება, ვითარცა საკუთრად არსებითი, საგნად გაუხდიათ. ამ

ცნების მიხედვით, ღვთაებრივი საწყისები ბუნების ძალას თავისთავში შეიცავს მხოლოდ როგორც ელექტრონებს, რომელიც გონით ძალად გარდაისახება. ამ ბუნებით ელემენტებიდან, როგორც დასაწყისიდან, გონითი ძალის წარმოდგენაში მხოლოდ მისი შორეული გამოძახილია რჩება, როგორც ანალოგია, რადგანაც ბერძნები ღმერთს თაყუანს სცემდნენ როგორც გონის რასმე. ამიტომ ბერძნულ ღმერთს, ინდურისაგან განსხვავებით, უკრ გავიგებთ ისეთნაირად, თითქოს მისი შინაარსი რომელიმე ბუნებისუფალი ძალა იყოს, რომლის მიმართაც ადამიანური აღნაგობა მხოლოდ გარეგანი ფორმაა, არამედ აქ შინაარსად თვით გონითაა. ხოლო ბუნებრივი მხოლოდ ამოსავალი წერტილია. მაგრამ, მეორეს მხრივ, ესეც უნდა ვთქვათ, რომ ბერძენთა ღმერთი უკრ კიდევ არაა აბსოლუტური თავისუფალი გონი, არამედ იგი არის გონი მის კერძო რაგვარობაში, ადამიანურ განსაზღვრებაში, იგი არის უკრ კიდევ როგორც განსაზღვრული ინდივიდუალობა, გარეგან პირობებზე დამოკიდებული. ობიექტურად მშვენიერი ინდივიდუალობანი ბერძენთა ღმერთები არიან. ღვთის გონი აქ იმგვარია, რომ იგი უკრ კიდევ არ არის (ჯგზისტენტიალური „არის“. მათგან. შენ.), როგორც თავისთვის-ყოფივი გონი, არამედ მხოლოდ აქარსობა. იგი უკრ კიდევ გრძობადად უხადდება, მაგრამ იმგვარად, რომ გრძობადი საწყისი მისი სუბსტანცია კი არაა, არამედ მხოლოდ ის ელემენტია (სტიქიაა), რომელშიც ეს მანიფესტაცია ხდება. ეს ცნება ჩვენთვის წარმმართელო უნდა იყოს, როდესაც ბერძნული მითოლოგიის განხილვას შეუდგებით და მას მით უფრო ერთგულად უნდა მივყევთ, რომ — ნაწილობრივ შეცნობების წყალობით, რომელმაც ამ სფეროში უდიდესი ცოდნა დააგროვა, ნაწილობრივ კი დაძმულ-გამანაღლებელი აბსტრაქტული განსჯისუნარიის წყალობით — ეს მითოლოგია, ისევე როგორც უსაყველად ბერძნული ისტორია, უდიდესი გავრცობისა და არე-დარევის ასპარეზად ქცეულა.

ბერძნული გონის ცნებაში ჩვენ მის ორ ელემენტს — ბუნებასა და გონს—მორის ის მამართება დავინახეთ, რომ ბუნება აქ მხოლოდ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. ბუნების ამგვარი ჩამოქვეითება ბერძნულ მითოლოგიაში გამოთქმული გახლავთ, როგორც იმ შემობრუნების წერტილი, რომელიც მთელში მოხდა, — როგორც ღმერთთა ომი ანუ ტიტანთა დამხობა ძველის მოდგმის მიერ. ამაში წარმოდგენილია გადასვლა აზრთა აღმოსავლური წყობიდან დასავლურისაკენ, რადგან ტიტანები არიან ბუნებითი საწყისი, ბუნებისუფალი არსებობა, რომელთაც ბატონობა ეთმობოდა. მართალია, შემდგომში მათ თავიანთ სცემენ, მაგრამ არა როგორც მმართველებს, რამდენადაც ისინი დედამიწის კიდისკენ არიან გაძვებულინი. ტიტანები ბუნების ძალნი არიან: ურანოსი, გეა, ოკეანოსი, სელენე, ჰელიოსი და ა.შ. კრონოსი აბსტრაქტული დროის ბატონობა გახლავთ, რომელიც შვილებს ნთქამს. აშუშული წარმოშობი ძალა დაოკებულია და ასპარეზზე გამოდის ძველი, როგორც ახალ ღმერთთა მეთაური, რომელთაც გონითი მნიშვნელობა აქვთ და თვითონაც გონი არიან. შეურლებელია ამ გადასვლის უფრო მკაფიოდ და უფრო ნათურად გამოთქმა, ვიდრე იგი ბერძნულ მითოლოგიაშია გამოთქმული. ღმერთთა ახალი საყარო იმის მომანწყებელია, რომ ამ უკანასკნელთა სპეციფიკური ბუნება გონითი ხასიათისაა.

მეორე ვარაუდებია ის გახლავთ, რომ ახალ ღმერთებს თავისთავში შემონახული აქვთ ბუნებითი მომენტები და ამით — გარკვეული დამოკიდებულებაც ბუნების ძალებთან, როგორც წელან უკვე ვთქვიით ძველს თავისი ელვა და ღრუბლები აქვს, პერა ბუნებითის წარმოქმნელია, ქმნალი სიტოცხლის მობოვლია. მაგრამ, ამის გარდა, ძველი პოლიტიკური დემოთიცაა, ზნეობრივი საწყისისა და სტუმბოლოებრივარეობის დამცველი. ოკეანოსი, როგორც ასეთი, მარტოდენ ბუნებისუფალი ძალაა. პოსიდონს კი, თურმე, უკრ კიდევ მენარჩუნებული აქვს თავისთავში სტიქიის დაუოკებლობა, ამასთანავე, იგი მინც ზნეობრივი ფიგურაცაა: მას გაღუანი აუგია და ცხენი გაუნენია. ჰელიოსი არის შვე, როგორც ბუნებისუფალი ელემენტი. მაგრამ ეს სინათლე, გონითი სინათლის ანალოგიით, თვითცნობიერებად გარდასახულა და ჰელიოსისაგან აპალონი გაჩნდა. სახელი ΔΑΦΝΙΟΣ (დაფიოსი, სამართლიანი) სინათლესთან კავშირზე მიგვანიშნებს. აპალონი მწყემსად იდგა ადმეტს, მაგრამ თავისუფლად მობაღაზე ხარუბი ჰელიოსისადმი იყო შჭირული. ჰელიოსის სხივები, ისრებად წარმოდგენილი, კლავს პითონს. სინათლის, როგორც მის საფუძვლად მდებარე ბუნებისუფალი ძალის, იდეას ამ ღვთაების წარმოდგენას ვერაინ ველარ დააცილებს, მით უმეტეს, რომ ამ ღვთაების სხვა პრედიკატები ადვილად უკავშირდება ამ იდეას, ხოლო მიუაღერისა და სხვათა მიერ მოცემული ახსნა, რომელიც ამ იდეის ამგვარ საფუძველს უარყოფს, ბევრად უფრო ნებისმიერი და ხელოვნურია. აპალონი ხომ წინასწარმეტყველი და მოცოდნა, ყოველივეს

<sup>1</sup> ის ქველას „დექიციბერ რელაგიის ფილოსოფიაზე“. II კვ. II გვ. 102 და მომდ.  
20 -143-



განმანათლებელი შუკია. იგი მკურნალი და ძალისმომცემია, ისევე როგორც დამღუპველი, რადგან იგი კაცთ კლავს. იგი გამოსივლიველი (მლხინებელი) და განმწმენდელიცაა: ამას იგი იქნს, მაგალითად, ექმნილების ჩაწინააღმდეგოდ, რომლებიც ძველი მიწისკეშვა ღვთებანი არიან, შაკრო სამართლის მომდევარნი. თითონ იგი წინდაა, ცოლი არ ჰყავს, არამედ მხოლოდ და, და ვახვეული არაა, ძვესეთო, მრავალ სახადელ თვადანსაგად. გარდა ამისა, იგი მეცნიერი (მცოდნე) და გამოთქმელია, მომღერალი და მუხუბის წინამძღვარი, ისევე როგორც მუხუბის და ხელმძღვანელობის ცურ მნათობა პარმონიულ ფერხულს. ნათადებიც, ასევე, მუხუბად ქველან. ღმერთების ღვდას კიბელეს, რომელსაც უერ კიდევ ევესოში სცემდნენ თავყანს როგორც არტემისს, ძლიეს თუ ვიცნობთ იმ არტემისში, რომელსაც ბერძნები (მდრ სქოლიო თავში „სპარტა“) თავყანს სცემენ როგორც ქალწულ მონადირეს. თუკი გვეტყვიან, რომ ბუნებოში ამგვარი გაბაქტევა გონითად იმ აღდგომისკისი შეღვდაა, რომელსაც ჩვენ ვახვებთ ან რომელიც თვით ბერძნულმა მოახლენის, ამას უნდა ეუბასუხოთ, რომ სწორად ეს გაბაქტევაა ის, რამიც ბერძნული გონი მდგომარეობს. ბერძნული ეპიგრაფები შეიცავს ასეთ შეუქმნეველ გადასელებს ბუნებითიდან გონითზე. მხოლოდ აბსტრაქტული განსჯაა, ბუნებითისა და გონითის ამ ერთიანობას რომ ვერ სწევდა.

შემდეგ ის უნდა აღინიშნოს, რომ ღმერთები გაგებულ უნდა იქნენ როგორც ინდივიდუალობანი, და არა როგორც აბსტრაქციები (ვთქვათ კოდნა, ერთი, დრო, ზეცა, აუცილებლობა). ღმერთთა შინაარსი ასეთი აბსტრაქციებით როდ წარმოადგენენ. ღმერთები არ არიან აღდგომისები, არ არიან აბსტრაქტული, მრავალგვარი ატრიბუტებით აღჭურვილი არსებანი, როგორცაა ჰორაციუსის „necessitas tralibus“ („კრინიბრჭყალეა აუცალეალობა“. შთარწმ)! არ არიან ისინი არც სიმბოლოები, რადგან სიმბოლო მხოლოდ ნომანაა, მხოლოდ მნიშვნელობაა რაღაცა სხვისა. ბერძენთა ღმერთები თვითონ, თავისთავით გამოხატვენ იმას, რაც ისინი არიან. მარადიან განსვენება და მოაზრე სინათლე, რასაც აპოლონის თავი შეტყვევებს, სიმბოლო კი არაა, არამედ გამოხატულება, რომელშიც გონი ელინდება და თავისთავს გიჩვენებს როგორც აქდა-აქ-მყოფს, ღმერთები სუბიექტები, კონკრეტული ინდივიდუალობები არიან. (აღდგომიულ არსებას ზომ თვისებები არა აქვს, იგი თვითონაა თვისება და მეტი არაფერი). გარდა ამისა, ღმერთები ცალ-ცალკე სასიათებო არიან, რამდენადაც თითოეულ მათგანში რომელიმე ერთი განსახლებულიაა გაბატონებული, როგორც მისთვის ნომანდობლევი. მაგრამ ამაო ცდა იქნებოდა, ამ სასიათა ერთ სისტემა გაერთიანება რომ მოეცნებოდა. მართალია, ძვესი ბატონობს დანარჩენ ღმერთებზე, მაგრამ ეს არაა ბატონობა ნაღველი ძალით, ახე რომ ღმერთები თავისუფლად არიან მიშეუბლნი მათს ნებაზე თავიანთი კრბო თავისებურებოთო. ვინაიდან ფრეილვე ზნეობრივი და გონითი შინაარსი ბერძნებში ღმერთებს მიეკუთვნებოდა, გარდაუვალი იყო, რომ ერთიანობა, რომელსაც ღმერთების ზემოთ დააყენებდნენ, აბსტრაქციად დარჩენილიყო. მარტლაც, იგი იყო სახისა და შინაარსის არმქინე ფაქტები, აუცილებლობა, რომლის სამწუხარობასაც ის ელო საუესელად, რომ იგი მოკლებული იყო გონის, იმ დროს როცა ღმერთები ადამიანებს შვეობრულად ეკიდებოდნენ, რადგანაც გონითი ბუნებისანი იყვნენ. ის უმაღლესი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთიანობა იცოდნენ, ვითარცა ღმერთი, ვითარცა ერთიანი გონი, ბერძნებისთვის უერ კიდევ ცნობილი არ იყო.

ბერძენი ღმერთებისათვის დამახასიათებელ შემთხვევითობასა და კრძობობასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, თუ სად უნდა ვეძებოთ ამ შემთხვევითობის გარეგანი წყარო. ერთის მხრე, მისი წყაროა იმ ადგილის თავისებურება, სადაც ბერძენთა ცხოვრება დაიწყო, — ამ არე-შიდამოს გავოთილობა მრავალ განსხვავებულ მხარედ, რაც წამსვე წარმოშობს ადგილობრულ წარმოდგენათა სიმრავლეს. ადგილობრული ღმერთები თავდაპირველად ცალ-ცალკე დგანან და ბერად უფრო იდი ასპარეზი აქვთ ვიდრე შემდეგ ურერაბო, როცა სხვა (ზოგადბერძნულ) ღმერთთა წრეში შეიღან და, ამგვარად, შეზღუდვას განიცდიან. ამ ღმერთთა რავგარობა თავდაპირველად განსაზღვრულია იმ ადგილისათვის დამახასიათებელი თავისებური ცნობიერებით და იმ არე-შიდამოს თავისებური ვითარებით, სადაც ისინი იშენენ. არსებობს უმარავი პერკულესები და უმარავი ძვესები. მათ თავ-თავის ადგილობრული ისტორია აქვთ, შგავსად ინდიეთის ლეთაებებსა, რომელიც სხვადასხვა ადგილას ამდენადვე სხვადასხვა, და სხვადასხვა ისტორიის მქონე, ტაძრები მოეპოვებთ. ასევე განსჯეთ კათოლიკეთა წინდებებსა და უკანასკნელთა შესახებ არსებული ლტენების საქვე, ოღონდ იმ განსხვავებით რომ ამ შუორ შემთხვევაში სხვადასხვა ადგილობრული ვითარებები კი არაა ამოსავალი, არამედ, პირიქით, ამოსავალია, ვთქვათ, ღვთისმშობელი, შემდეგ კი ზდება მის შესახებ მონათხრობის განაწილება და

<sup>1</sup> Carmina (ქებანი), I, 35, 18.

გადასხვაფერება სხვადასხვა ადგილისდა მიხედვით. ბერძნები თავიანთი ღმერთების შესახებ უადრესად მზიარულსა და მიმზიდველ ამბებს მოგვითხრობენ, რომელთაც არაერთი საზღვრები არ დაედებათ, რადგანაც ბერძენთა ცოცხალ გონში სულ ახალ-ახალი ფანტაზია ფეთქს.

ბერძენ ღმერთთა კრებო მახასიათებლების სხვა წყაროა ბუნების რელიგია (Naturreligion), რომლის წარმომადგენლებიც ბერძნულმა მითებმა მიღწეადაც შემოგვინახა, რამდენადაც გადასხვაფერა და მათ ახალ-ახალი სიცოცხლე მისცა. თავდაპირველი მითების შენარჩუნების ფუნქტი ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს ბერძენთა წარმოდგენების ისტორიის იმ განთქმული თავისაყენ, რომელსაც მისტერიები ჰქვიათ, ზემოთ რომ გაკვირით უკვე შევხებთ ბერძენთა ეს მისტერიები ისეთი რამ გახლავთ, რაც ყველა დროის ცნობისმოყვარეობას იზიდავდა და იზიდავს, როგორც უცნობი მოვლენა, და ისეთი რამ, რასაც წინასწარვე მიღებული აზრი სიბრძნის ავტორიტეტით მოსჯდა. ამის გამო პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რაც ეს ძველი და დასაწყისისეული მოვლენა სწორად თავისი ამ თავდაპირველობის გამო სხვა ყოველფერ უკეთეს და ადამატიბული კი არ არის, არამედ, პირველ, შედარებით მდარე რამაა, რომ ყველაზე წმინდა ჭეშმარიტებანი ამ მისტერიებში არ გამოთქმულან და რომ, წინააღმდეგ გეოცენტრული აზრისა, იქ არ გამოჩენილა მოძღვრება ერთი ღმერთის შესახებ ბერძენთა მრავალმართიანობისდა საწინააღმდეგოდ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისტერიები ძველ ღმერთ-სახურებას წარმომადგენენ და მათში რაიმე ღრმა ფილოსოფიებთა ცებნა იმდენადვე არაისტორიული სახეე იქნებოდა, რამდენადაც უცნურთი, რადგანაც მათი შინაარსი არ სივლიდა უხეშ წარმოდგენებს ბუნებაში მიმდინარე საყოველთაო ურთიერთგადაქცევისა და ბუნების საყოველთაო ცოცხლობის შესახებ. თუ დავაჯამებთ ყოველფერ ისტორიულს, რასაც ამ სფეროში ვხედავთ, უსათოდ გამოირკვევა, რომ მისტერიები მოძღვრებათა სისტემას კი არ წარმოადგენენ, არამედ მხოლოდ გრძობად აღაბობს და განსაზივრებებს, რომლებიც მხოლოდ ბუნების უსოფლავის ოპერაციების სიმბოლოთა ხმარებაში მდგომარეობდა, როგორც, მაგალითად, დედამიწისა და ზეცისორი მოვლენების ურთიერთმიმართების წარმოდგენებაში სიმბოლოების საშუალებით. ცერერასა და პროზერპინეს წარმოდგენებს, ბახუსს და მის სელას უმთავრეს საფუძვლად ედო ბუნების მხოლოდ უსოფლავეს მხარე, ხოლო ყოველფერ დანარჩენი სხვა არა იყო რა თუ არ ბნელ-ბნელი მონათხრობები ამ უკანასკნელთა შესაბამისი განსახიერებებითურთ, რომელთა მთავარი ენტერესის საგანიც იყო სასიცოცხლო ძალე და მისი სახეცვლილებები. იგივე პროკროუსი, რასაც ბუნება ემორჩილება, გონამცე უნდა ვაიაროს. იგიც ორზის უნდა იშვას, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მან თვით თავისთავში თავისთავი უნდა უარყოს. ამგვარად, ის, რაც მისტერიებში იყო წარმოდგენილი, თუც კი სუსტად, მაგრამ მაინც მოგვაგონებდა იმას, რაც გონის ბუნებაა. ბერძენების თვალში მისტერიებს შიშის ჟრუნტელის ადამკრელი რაღაცა ახლდათ. რადგან ადამიანს თანდაყოლილი აქვს ეს მოშიშარობა, როდესაც ზედვეს, რომ ფორმამი, თერმე, რაღაცა შინაარსი ძვეს, რომელსაც ეს ფორმა, ვითარცა გრძობადი, იგი გამოიქვამს, რის გამოც იგი (ეს ფორმა) შეზარავიცა და მიმზიდველიც, თავისი გამჭაღავი საზრისით, ეგ გუჟანს გვიღვიძებს, მაგრამ ამასთანავე გვიღვიძებს ძრწოლასაც თავისი ამ დამფრთხალი ფორმის წყალობით. ესქელეს აბრალბდნენ, რომ თავისი ტრაველიებით მან მისტერიებს წმინდა ხასიათი წართვა და შეზღალა ისინი. მისტერიათა განუსაზღვრელი წარმოდგენები და სიმბოლოები, რომლებშიც მნიშვნელობის მატარებელი საწყისი მხოლოდ გუჟანით იგროვება, ნათელი და წმინდა სახეებისათვის უცხო (პეტროოგენული) რამ არის; პირველნი მეროთ დედუკებით ემუქრებიან, რის გამოც ზელოვნების ღმერთები მისტერიათა ღმერთებისაგან გამოყოფილნი რჩებიან და ეს ორი სფერო რეინც ერთობრისაგან მკაცრად უნდა გავიმიჯნოთ.

ღმერთთა უმჯობესობა ბერძნებს უცხოთოდან ჰყავთ მოვანილი, როგორც ამას ვარკვევით ვეამცნობს პეროლოტი იმ შემთხვევაში, როცა ეს წყარო ევებიტეშია სათიბელი. მაგრამ ეს უცხო მითები ბერძნებმა გარდაქმნეს და მათ გონითადა მთაბებრეს, ხოლო ნასესხები თოვონების ის ნაწილი, რომელიც ელინთა წარმოდგენებში გადმოვიდა, ამ უკანასკნელთა ზელოში ისეთ ამაზად გადამუშავდა, რომელიც ხშირად არც თუ ღირე კდემის გამოზატკველი იყო მასში მოქმედი ღმერთების მიმართ. ასევე, ის ცხველებიც, რომლებიც ევებიტეში თავყანისციების საგანი იყვნენ, ბერძნებმა მარტოოდენ გარჯან ნიშანთა დონედვე ჩამოაქციეთო, რომელიც (ეს ნიშნები) ამა თუ იმ გონით ღმერთს გვერდით ახლავდა. ბერძენ ღმერთებს ამ მარტო თავთავისი კრებო ხასიათი აქვთ არამედ ისინი ადამიანისდაგვარად წარმოდგენებიან და ამ ანთროპომორფიზმს მათ ზოგნი ნაკლად უთვლიან. ამის საწინააღმდეგოდ აქვე ვეამრთებს თქმა, რომ ის, რაც ჭეშმარიტია ბერძენ ღმერთებში, არის ადამიანი, ვითარცა გონით საწყისი, და ამით ისინი მალდა დგანან როგორც ბუნების

დმერთობზე, ისე იმ აბსტრაქციზზე, რასაც ერთად უმაღლესი არსება წარმოადგენს. მეორეს მხრზე, ბერძენთა დმერთობს უპირატესობადაც უთვლიან იმას, რომ ისინი ადამიანთა სახით არიან წარმოდგენილი, იმ დროს როცა ქრისტიანობის დმერთა თათქოს ეს თვისება აკლია. შილერი ამბობს:

როს დმერთები ჯერ უფრო ადამიანური იყვენ, მაშინ კაცთ მეტი დეთაებრიობა შესწევდათ<sup>1</sup>.

მაგრამ არ უნდა გვეჩინოს, რომ ბერძენი დმერთები ქრისტიანულ დმერთებზე უფრო ადამიანური არიან. ქრისტე ბერად უფრო ა დ ა მ ი ა ნ ი ა. იგი ცოცხლობს, კვდება, ჯვარზე იწება, რაც შეუდარებლად უფრო ადამიანურია, ვიდრე ბერძენთა მშვენიერებაში წარმოდგენილი ადამიანი. რაც შეეხება ბერძენულსა და ქრისტიანულ რელიგიას ორვეს ერთად, მათზე უნდა ითქვას, რომ თუკი დმერთი გვევლინება, მაშინ მისი ბუნებრიობა (ბუნებითი მხარე) მხოლოდ გონის ბუნებითობა (ბუნებითი მხარე) შეიძლება იყოს, რაც გრძობობადი წარმოდგენისათვის, არსებობის, მხოლოდ ადამიანია და სხვა ვერაფერი უნება, რადგან არც ერთ სხვა ფორმას არ ძალუძს, გამოდიოდეს როგორც გონითი ფორმა. მართალია, დმერთი გვევლინება შვეიცია, მთა-შიც, ხუბშიც, ყოველივე ცოცხალშიც, მაგრამ ეს ბუნებაში ვლენა როდი არის გონის ფორმა. პირუკუ, ასეთ შემთხვევაში დმერთი მარტოოდენ სუბიექტის შინაგანშია აღქმადი. თუკი გარდაუვალია, რომ დმერთი თავისი შესაბამისი გამოხატულების სახით ელინდებოდეს, ასეთ გამოხატულებას მხოლოდ ადამიანში ფორმა შეიძლება წარმოადგენდეს, რადგან გონითი საწყისი (მხოლოდ) მისგან აღუქმება. მაგრამ თუ კითხვა დაისმის: გარდაუვალია, რომ დმერთი ელინდებოდეს? მაშინ ამ კითხვას დადებითად უნდა ეუპასუხოთ, რადგან არა არის რა არსებითი, რაც არ ელინდება. ამგვარად, ბერძენული რელიგიის ჭეშმარიტი ზადი ქრისტიანულთან შედარებით ისაა, რომ მასში დმერთის უმაღლეს რაგვარობას (Weise), უფრო მეტიც — დეთურს მივლიან ამ უკანასკნელის ენება (Erscheinung) შეადგენს, მაშინ როცა ქრისტიანულ რელიგიაში ვლენაში მიღებულია როგორც დეთურის ერთ-ერთი მომენტი. ქრისტიანულ რელიგიაში მოვლენითი დმერთი მეკვდა, აქ იგი მიღებულია როგორც თავისთავის მომხსნელი (გამაუქმებელი). ქრისტე მამის მარჯვენით მჯდომად წარმოდგენილია მხოლოდ როგორც მომკვდარი. ბერძენების თვალში, პირიქით, მათი დმერთი მოვლენაშია გამუდმივებული — მხოლოდ მარმარილოში, ლითონში, ხეში ან წარმოდგენაში, ფანტაზიისეული ხატის სახით. მაგრამ რატომ არ მოველიან მათ დმერთი ზორისხმულად? იმიტომ, რომ ადამიანი მათში ფასობს, პატრიოსსა და ღირსების მატარებელია მხოლოდ როგორც მშვენიერი მოვლენის თავისუფლებამდე (მშვენიერ მოვლენაში განსახიერებულ თავისუფლებამდე) შრომით მოყვანილი და გაკეთებული. ამრიგად, დეთაებრიობის ფორმა და სახე კრძო სუბიექტის მიერ წარმოქმნილ რადმე რჩება. ეს გონის ერთი ელემენტი გახლავთ — ის, რომ იგი თავისთავე წარმოქმნის, თავისთავეს იმად ქ მ ი ს, რაც იგი არის. მაგრამ მისი მეორე ელემენტი ისაა, რომ იგი იმთავითვე (პირველადღვე) თავისუფალია, თავისუფლება მისი ბუნებაა და მისი ცნება. რაკი ბერძენები ჯერ ვერ ახერხებდნენ თავისთავის აზროვნებით წედობას, ისინი არ იცნობდნენ არც გონს მისს ზოგადობაში, არ იცნობდნენ ჯერ ადამიანის ცნებას და ადამიანურ და დეთაებრივი ბუნების თავისთავედ-მყოფ ერთიანობას ქრისტიანული იდეის მიხედვით. მხოლოდ თავისთავისთვის უეჭველ (in sich gewisse), შინაგან გონს ძალუძს იმის ატანა, რომ მოვლენითი მხარე თავისუფლად მიუშვას მის ნებაზე, და მხოლოდ მას შესწევს დარწმუნებულობა, რომ რომელიცაა ამას — თუცა გარკვეულსა და კრძობს, — დეთაებრივი ბუნება მიადნოს. მას აღარ სჭირდება, რომ გონითს ბუნებითის ფორმა მისცეს, რათა ამით დეთაებრივი მოიხელთოს და ერთიანობა გარკვეანად ჭერტადი გახადოს, არამედ, თავისუფალი აზრი რომ გარჯანს იაზრებს, მას შეუძლია ეს უკანასკნელი ისეთად დტოვოს, როგორც იგი არის. ეს იმიტომ, რომ იგი იაზრებს სასრულისა და უსასრულოს ამ ერთიანობას და იცის ეს ერთიანობა არა როგორც შემთხვევითი შეერთება, არამედ როგორც აბსოლუტური, როგორც თვით მარადიული იდეა. ეინადან ბერძენული გონი ჯერ კიდევ არ მისწვდომია სუბიექტურობას მთელს მის სიღრმეში, მასში არც ჭეშმარიტ შერიგებას აქვს ადგილი და ადამიანური გონი ჯერ კიდევ არ არის აბსოლუტურად უფლებამოსილი. ეს ზოგადი თენდაც იმამი ჩანს, რომ ადამიანები თვითნთ გადწყვეტილებებს თავისით არ იღებენ, არამედ მათ თვითნთ ორაკულებისაგან მოვლიან. ადამიანური სუბიექტურობა, ისევე როგორც დეთიური, ჯერ კიდევ არ იღებს აბსოლუტურ გადწყვეტილებას თავისთავედან ამოსვლით, როგორც უსასრული.

<sup>1</sup> „სახეობის დმერთები“ | კრიტიკა | 191

## თავი მესამე

### პოლიტიკური ხელოყენების ქმნილება

სახელმწიფო აერთიანებს ორსავე ზემოთ განხილულ მხარეს — ხელოვნების სუბიექტურსა და ობიექტურ ქმნილებას. სახელმწიფოში გონი არა მარტო საგნად არის, ვითარცა დღეთაბრძოლი, იგი არა მარტო სუბიექტურადაა ჩამოყალიბებული მშვენიერ ინდივიდუალობად, არამედ იგი ცხოველი საზოგადო გონია, რომელიც ამავე დროს ერთეული ინდივიდების თვითცნობიერი გონია.

ამგვარ სახელმწიფოს და ამგვარ გონს მხოლოდ დემოკრატიული წყობა შეესაბამებოდა. აღმოსავლეთში ჩვენ ენახეთ ბრწყინვალედ ჩამოყალიბებული დესპოტიზმი, როგორც ქვეყნის ამ ნაწილისათვის შესაფერისი ფორმა. ასევე მსოფლიო-ისტორიულ განსაზღვრულობას წარმოადგენს დემოკრატიული ფორმა, რომელიც საბერძნეთში არსებობს. სახელდობრ, საბერძნეთში არსებობს ინდივიდის თავისუფლება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ იმ აბსტრაქტულობამდე არ მისულა, რომ სუბიექტი დამოკიდებული იყოს პირდაპირ სუბსტანციალურზე, სახელმწიფოზე როგორც ასეთზე, არამედ აქ (საბერძნეთში) ინდივიდუალური ნება თავისუფალია მთელს თავის ცოცხლობაში, და თავისი კერძო მასსიათებლებისა და მიზეზით იგი სუბსტანციურის ამოქმედებად არ რეალობიზაცია. რომში, პირიქით, ჩვენ დაინახავთ მკაცრ ბატონობას ინდივიდებზე, ისევე როგორც გერმანულ იმპერიაში დაეინახავთ მონარქიას, რომელშიც ინდივიდი მონაწილეა არა მხოლოდ მონარქისა, არამედ მთელი მონარქიული ორგანიზაციისა.

დემოკრატიული სახელმწიფო არაა პატრიარქალური, იგი არაა დამყარებული ჯერ კიდევ გაუნათლებელ-ჩამოყალიბებულ ნდობაზე, არამედ მას ესაჭიროება კანონები, ისევე როგორც სამართლებრივი (უფლებრივი) და ზნეობრივი საფუძვლების ცნობიერება. ამასთან, საჭიროა ისიც, რომ ეს კანონი ცნობიერდებოდეს როგორც დადებითი (პოზიტიური) რამ. შევეთა ეპოქაში ელადისათვის ჯერ კიდევ უცნობი იყო პოლიტიკური ცხოვრება, მაშასადამე, ამ დროს კანონმდებლობის ჯერ მხოლოდ მცირედი ნიშნები თუ არსებობდა. მაგრამ ტროადის ომსა და ეპროსის ეპოქას შორის მდებარე პერიოდში უკვე მისი (კანონმდებლობის) მოთხოვნილება გაჩნდა. პირველი კანონმდებლნი ცნობილნი არიან შვიდი ბრძენის სახელით. მაგრამ არ უნდა ვივულისხმოთ, რომ ესენი იყვნენ სოფისტები და სიბრძნის მოძღვარნი, რომლებიც ცნობიერად უშლიდნენ ადამიანს თვალწინ ჭეშმარიტსა და მართებულს, არამედ ესენი უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ მთავრობის აღმამიანებად, თუქცა მათი აზროვნება არ იყო მისულა საკუთარი მეცნიერებამდე. ესენი პრაქტიკოსი პოლიტიკოსი ადამიანები იყვნენ. ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ ორი მათგანის, — თალეს მილეტელის და ბიას პრეენელის მიერ იონიური ქალაქებისათვის მიცემული კეთილი რჩევა. ათენელებმა სოლონს მიანიდეს მათთვის კანონების შექმნა, ვინაიდან არსებული კანონები მათ ვეღარ აკმაყოფილებდა. სოლონმა, მართლაც, ათენელებს სახელმწიფო წყობა (კონსტიტუცია) მისცა, რომლითაც ყველას თანასწორი უფლებები მიენიჭა, მაგრამ ამას დემოკრატია მაინც საუკეთესო აბსტრაქტული არ გაუხდია.

ეს ორი შემოგანხილული პრინციპია ახლა (ქრისტიანობაში) ის, რაც გონის თავისთავად-მყოფობას მოუდის. ამ შინაგან ადგილს, ერთის მხრივ, ის მოწოდება აქვს, რომ რელიგიური ცხურების მოქალაქე ჩამოაყალიბოს, იგი ღვთიური გონის (სულის) შესატყვისი გახადოს. მეორეს მხრე ეს ადგილი ამოხადა წერტილია (ადამიანის) სამყაროული (აბსოლუტური) მიმართებისათვის და ამოცხვია ქრისტიანული ისტორიისათვის. კეთილშესაზრებო მოქცევა (Bekehrung) ვერ დარჩება გულის სიღრმეში, არამედ იგი გარდუვალად უნდა ჩამოყალიბდეს ნამდვილ აქ-და-აჟმყო სამყაროდ, რომელიც შემოსხნებული აბსოლუტური გონისდა კვლავ იქნება მოგვარებული. გულის სიღრმის კეთილშესაზრება ჯერ კიდევ არ გულისხმობს იმას, რომ სუბიექტური ნება თავის გარე მიმართებაში ამ კეთილშესაზრებისაღმ (Frömmigkeit) დაქვემდებარებული იქნება: პირიქით, გველანაირი ვნებები მით უფრო ბოზოქრად იჭრებიან სინამდვილეში, რაკი ეს სინამდვილე ინტელაგიბილური სამყაროს სიმადლიდანა განსაზღვრული, როგორც უუფლებო და არად ღირებული. ამიტომ ამოცანა ისაა, რომ გონის იდეა უშუალოდ გონით აქ-და-აჟმოცემულობის სფეროში შემოედეს და ეს უკანასკნელი თავისი სახისდა მიხედვით ჩამოაყალიბოს. ამანე კიდევ ერთი ზოგადი შენიშვნა გვაძრავს. ოდითგანვე ცდილობენ გონებისა და რელიგიის, ისევე როგორც რელიგიისა და სამყაროს დაპირისპირებულობის მტკიცებას. მაგრამ თუ საკითხს უფრო ჩაუკვირდებით, ეს დაპირისპირება კი არაა, არამედ მხოლოდ განსხვავება. ვერცა საერთოდ გონის არსებობა—როგორც ღვთიურისა, ისე ადამიანურისა. რელიგიისა და სამყაროს (სოფლის) განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ რელიგია, როგორც ასეთი, სულს და გულში მყოფი ვინებაა, იგი ტაძარია წარმოდგენილი ჭეშმარიტებისა და თავისუფლებისა ღვთის მიერ (ღმერთში). სახელმწიფო კი ამავე გონების მიხედვით აკებული ტაძარია ადამიანური თავისუფლებისა სინამდვილის ისეთი ცოდნისა და მონღებების წყალობით, რომლის თვით შინაარსსავე შეიძლება ღვთიური ქროლის. ამგვარადა, რომ თავისუფლება, სახელმწიფოში განსახიერებული, დასტურდება და მტკიცდება რელიგიის მიერ, რამდენადაც ზნეობრივი უფლება (სამართალი), რომელიც სახელმწიფოში არსებობს, მხოლოდ შესრულება იმისა, რაც რელიგიის მიერულ პრინციპს შეადგენს. ისტორიის საქმე მხოლოდ ისაა, რომ რელიგია ადამიანური გონების სახით გამოეღინდეს, რომ რელიგიური პრინციპი, რომელიც ადამიანის გულში ცოცხლობს, ამქვეყნიური (სამყაროული) თავისუფლების სახითაც წარმოდგეს. ასე მოხსნება გარკვეულ პრინციპს ნიშნავს და აქ-არსობს შორის. მაგრამ ამის რეალზაციისათვის უკვე სხვა ხალხი, ან სხვა ხალხები, არიან მოწოდებულნი, სახელდობრ, გერმანი ხალხები. ძველი რომის ჩარჩოში ქრისტიანობა ვერ პოუბს თავის ნამდვილ ნიშნავს და ამ ნიშნავისგან ნამდვილ სასუფუცელს ვერ აღმოაკნებს.

## თაეი მესამე

### ბ ი ზ ა ნ ტ ი ი ს ი მ კ ე რ ი ა

კონსტანტინე დიდი მეფობაში ქრისტიანულმა რელიგიამ იმპერიის ტახტი დაიკავა. ამ იმპერატორს ქრისტიანი იმპერატორთა მთელი წყება მოჰყვა. ამ რიგს მხოლოდ ელიანე არღვევს, მაგრამ მანაც ბევრი ვერაფერი ქმნა დატყვეული ძველი რელიგიის აღსადგენად. რომაული იმპერია მთელს განათლებულ ელემენტს მოიცავდა, დასავლეთი ოკეანიდან ტიგროსამდე, შიდა აფრიკიდან ღმრთაძემდე (პანონია, დაკია). მალე ამ უზარმაზარ იმპერიაში ქრისტიანულმა რელიგიამ ფართო გავრცელება პოვა. უკვე დიდი ხანი იყო, რომ აღარ არსებობდა იმპერატორის აბსოლუტური რეზიდენცია: მრავალ იმპერატორს კონსტანტინემდე თვის საჯდომად მიღანო ან სხვა ადგილები ჰქონიათ კონსტანტინემ კი მეორე რეზიდენცია შეიქმნა ძველ ბიზანტიონში, რომელსაც ამიერიდან კონსტანტინოპოლი ეწოდა. აქ მოსახლეობა იმთავითვე ქრისტიანებისგან შედგებოდა და კონსტანტინემ ვეღვაფერი იღონა, რათა მისი ახალი რეზიდენცია ბრწყინვალეობით ძველს არ ჩამორჩენილიყო. იმპერია ჯერ ისევ ინარჩუნებდა თვის მთლიანობას, ვიდრე თოდოსიოს დიდმა არ დაეკანონა მისი გაფოფა, რომელსაც მანამდე ჰქონდა უკვე დროაღდრო ადგილი, და იგი თვისი ორ ძეს არ გაუყო. თოდოსიოსის მეფობა იმ ძველი ბრწყინვალეობის უკანასკნელი გამოკრთობა იყო, რომელიც რომაულ სამყაროს ესოდენ დიდებულად აშუქებდა. მის მეფობაში წარმართული ტაძრები დახურეს, მსხვერპლის შეწირვა და ცერემონიები აღკვეთეს და თვით წარმართული რელიგიაც კი აკრძალეს. მაგრამ შემდეგ ეს უკანასკნელი თანდათანობით თვითონაც გაქრა. იმ ეპოქაში წარმართობის მსიხტვენი განციფრებთა და შემოფოთებთ ლაპარაკობენ იმ უზარმაზარ კონტრასტზე, რაც ძველსა და ახალ დროს შორის არსებობს. "წყენი ტაძრები სამარხებად ქცეულა. წმიდა ადგილები, რომლებსაც ადრე ღმერთთა წმიდა ქანდაკებები ამკობდნენ, ახლა წმიდა ძვლებით (მარტეილთა ნაწილებით) მოუფენიათ. ისინი, ვისაც დანაშაულის გამო სამარცხეონი სიკვდილი ჰხედიათ, ვისი სხეულებიც ნაკვეში ტრილობებით იყო დაფარული, თავები კი დამარილებულ იქნა, ახლა თავანსაცვმი გამზადრან". ფოფლეგის, რაც ადრე აბუჩად ასადგებთ იყო, ახლა ამაღლებულია, და ფოფლეგ, რაც ადრე ფსიზობდა, ახლა მტკერეშია ამოვანგეფული. ამ კონტრასტზე უკანასკნელი დიდის გულმსტკეფობით ლაპარაკობენ.

რომის იმპერია თოდოსიოსის ორმა ძემ გაიყო. უფროსს, არკადიოსს აღმოსავლეთი ნაწილი ერგო: ძველი საბერძნეთი თრაკიითურთ, მცირე აზია, სირია, ეფიპატე, უმცროსმა, პონოროსუმა დასავლეთი მიდილი: იტალია, აფრიკა, ესპანეთი, გალია, ბრიტანეთი. უმუალოდ თოდოსიოსის სიკვდილის შემდეგ არუეულობა დაიწყო და რომის პროვინციებს უცხო ხალხები შემოესივნენ. ჯერ კიდევ იმპერატორ გალენის დროს ვესტგოთებმა, რომელთაც ჰუნები აწიწროებდნენ, დუნაის გამოდგა დასახლება მოთხოვეს. მათ მიიღეს, რასაც ითხოვდნენ, მაგრამ სამაგიეროდ იესხრეს იმპერიის განაპირა პროვინციების დაცვა. მაგრამ ცუდი მოჭერობის გამო აჯანყდნენ. ვალენსი დამარცხდა და ბრძოლაში დაიღუპა. შემდგომ იმპერატორები ფოფლენიარად ფეგრებოდნენ ვესტგოთთა მიერების. ვითთა გულადმა მთავარმა აღარინხმა იტალიას შეუტია. იგი შეაჩერა პონოროსის სარდალმა და მინისტრმა სტილიხონმა, რომელმაც 403 წ. მას პოლენციასთან ბრძოლა გაუძარია. მანვე დაამარცხა შემდეგ ალანთა, სვეთთა და სხეთა წინამძღლო რადგავისუსი. აღარინხმა გალიასა და ესპანეთში ილაშქრა, ხოლო სტილიხონის დამხობის შემდეგ კვლავ იტალიას მიამართა. 410 წელს რომი ადებულ და დარბეულ იქნა. შემდეგ ეეროპას მოადგა ატილა ჰუნების სამხელი ძალითურთ. ესეც წმინდა აღმოსავლური მოვლენა გახლავთ წყაღიდიობასეთი მოგარდნიობა და ვეღვაფრის წაშლეკეი. მაგრამ ასეთი ტალღა მალე გადადის ხოლმე, ასე რომ მის კვლავ მხოლოდ ნანგრევები რჩება, თვითონ ეს ხალხები კი აღარ ჩანან ხოლმე. ატილა გალიაში შეიჭრა. იქ მას 451 წელს შლონთან, მდ.მარანზე აციუსის მეთაურობით მედგარი ბრძოლა გაუძარათეს. ბრძოლის ბედი გადაუწვევტელი დარჩა. შემდეგ ატილამ იტალიისკენ ილაშქრა და 453 წელს მოკვდა. მაგრამ მალე რომი აიღეს ვანდალებმა გენზერების წინამძღლობით და დაარბიეს იგი. ბოლოს დასავლელი იმპერატორობის პატეი ფარსად იქცა. ამ ცარიელ ტიტულს ბოლო მუდოე ქერულთა ბელადმა ოდოაკრმა.

აღმოსავლეთმა იმპერიამ კიდევ დიდხანს გაძლო, დასავლეთისაში კი შემოსილი ბარბაროსი ურდობისაგან ახალი ქრისტიანი ხალხი შექმნა. თუდაბორეულად ქრისტიანულ რელიგიას ხსენდწიფოსაგან თაეი

შორს ეჭვრა. განვითარება, რასაც იგი გადიოდა, შეეებოდა მის დოგმასა და შინაგან ორგანიზაციას, დისციპლინას და ა.შ.. მაგრამ ამჟამად ეს რელიგია უკვე გაბატონებული გახლდათ: იგი პოლიტიკურ ძალად და პოლიტიკურ მოტივად იყო ქცეული. ამ დროს ჩვენ ქრისტიანულ რელიგიას ორი ფორმით ვხვდეთ: ერთ მხარეს ბარბაროსი ერები დიანან, რომლებსაც განათლება თავიდან დასაწყები აქვთ — მეცნიერება, სამართლებრივი მდგომარეობა, სახელმწიფო წყობა, ყოველფეხ პირველი ელემენტები შეესაბინა და შესაქმნელია. მეორე მხარეს არიან განათლებული ერები, რომელნიც ჰერეტიკული სწავლებანი არიან ბერძნულ მეცნიერებასა და აღმოსავლურ დახვეწილ ცივილიზაციას (Bildung). ამ ხალხებში სამოქალაქო კანონმდებლობა ამ დროისთვის უკვე დასრულებული იყო იმ სახით რაც მას უდიდესმა რომაელებმა, სამართლისწიერებმა მისცეს მისი უსრულესი დამუშავებით ასე რომ ამ კანონთა კრებული, რომელიც იმპერატორმა აუსტინიანემ შეადგინა, დღესაც მსოფლიოს განცივიერებას იწვევს. ამ მეორე შემთხვევაში ქრისტიანული რელიგია უკვე ისეთი შვა განათლების წიაღში შემოდის, რომელიც მისგან არ აღმოცენებულა. პირველ შემთხვევაში, პირველ განათლება-ჩამოყალიბების პროცესს ახლავდა იწყება და ქრისტიანობას ეყარება.

ეს ორი იმპერია უაღრესად საყურადღებო კონტრასტს ქმნის, რომელიც იმის აუცილებლობის დიადი მაგალითი ჩანს, რომ ეს თუ ის ხალხი თვითონ ქმნიდნენ თავის იმ განათლებას, რომელიც ქრისტიანული რელიგიის სულიცხოვეთებაზე აკებული. მოსალოდნელი იყო, თითქოს, რომ განათლებული აღმოსავლეთი რომის იმპერია ქრისტიანობის გონს მიუღს მის ჭეშმარიტებასა და სიწმინდესი სწავლობდა. მაგრამ ამ იმპერიის ისტორია ათასწლოვანი რევია გამუდმებული დანაშაულებისა, სისუსტისა, სულმდაბლობისა და უხასიათობისა, რაც უაღრესად შემზარავსა და ამის გამო არასაინტერესო ხანახანობას წარმოადგენს. ამაში ჩანს, რომ ქრისტიანული რელიგია შესაძლოა აბსტრაქტული იყოს და რომ, როგორც ასეთი, იგი სუსტია სწორედ იმისგან, რომ ესოდენ წმიდა და გონითა თავისთავად. შესაძლებელია იგი სრულებით მომორბეულიც იყოს ამ სოფელს, როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, მეუღლებანობაში, რომელიც ეგვიპტეში იშვა. გავრცელებული წარმოდგენაა და გავრცელებული გამოთქმაა, რომელსაც ხმარობენ ხოლმე, როცა საუბარი ადამიანთა გულებზე რელიგიის გულწრფელ შეტება: ქრისტიანული სიყვარული რომ საყოველთაო იყოს, მაშინ ადამიანთა პირადი ცხოვრებაც და პოლიტიკური ცხოვრებაც სრულყოფილი იქნებოდა, ხოლო საზოგადოების მდგომარეობა — საუკეთესო სამართლისმესაბამისი და ზნეობრივი. ეს შესაძლოა დეუსონიერი სურვილი იყოს, მაგრამ ჭეშმარიტებას ეს დებულება არ შეიცავს. რელიგია შინაგანი რამ გახლავთ რაც მხოლოდ სინდისს ეკუთვნის; ამ შინაგანს უპირისპირდება ყველა ენება და გულსაოცრება. ამიტომ იმისთვის, რომ გული, ნება, ინტელიგენცია (ჭკუა-ორგანება) ჭეშმარიტებას მიექცენ, აუცილებელია, რომ ისინი ამ ჭეშმარიტებით განიმსჯელონ და მის მიერ სახისქმნა-ჩამოყალიბება განიცადონ (durchgebildet werden), მართებულნი ზნედ და ჩვეულებად უნდა იქცეს, ნამდვილი საქმიანობა გონებისმესაბამისის (გონიერის), გონებითოს, გონებისმიერის) დონეზე უნდა ამაღლდეს, სახელმწიფო გონებისმიერი ორგანიზაცია უნდა ჰქონდეს, რადგან იგიღა აქცევს ინდივიდთა ნებას ნამდვილად სამართლისმესაბამებ ნებაზე. ბნელში რომ შუქი ინათებს, იგი ფერს კი ქმნის, მაგრამ გონით სულწაღმურ სურათს — ვერა. ბიზანტიური იმპერია დაიდა მაგალითთა იმისა, როგორაა შესაძლებელი, რომ განათლებულ ხალხში ქრისტიანული რელიგია აბსტრაქტულ რადმე დარჩეს, თუკი მისი პრინციპის მიხედვით არ განხორციელდა სახელმწიფოს მიელი ორგანიზაციისა და კანონების რეკონსტრუქცია. ბიზანტიაში ქრისტიანობა ცხოვრების მიერ ქაფად მოვლებული ადამიანებისა და აღვირახსნილი ბრბოს ზღმოს აღმოჩნდა. ერთის მხრე ბრბოს ველურობამ და მეორეს მხრე კარისკაცულმა სულმდაბლობამ რელიგია თავისი ლეგიტიმაციისათვის გამოიყენა, იგი უკანასკნელ სისაძაღლამდე დაამდაბლა და შედარა. რელიგიის სფეროში ორი ინტერესი იყო უმთავრესი: ერთი, მოძღვრების ცნებათა განსაზღვრა, მეორე — სასულიერო თანამდებობების დაცევა. პირველი ამათგანი საეკლესიო კრებათა და მორწმუნეთა კრებულების (თემების) მეთაურთა ზღმოს იყო. მაგრამ ენაიანად ქრისტიანული რელიგიის პრინციპთა თვისუფლება, სუბიექტიური აზრი (Einsicht), სადაფო საკითხები ბრბოს საკითხავიც ხდებოდა. ჩნდებოდა გააფთხებული სამოქალაქო ომები, ყველან მკვლელობა, ზანძარი, ცეცხლის წაყოლება და მარცვა-გლეჯვა იყო გამეფებული ქრისტიანული დოგმების გამო. მაგალითად, განთქმული დავა *Trinitarion*-ის (სამების წიფის) დოგმასთან დაკავშირებით თებობა და სიტყვებს „წმიდა, წმიდა, წმიდა არს უფალი ღმერთი სამართა“, რასაც ერთი მარტია ზედ უმატებდა ქრისტეს სადიდებლად სიტყვებს „კაცარცული ჩვენთვის“, მეორეს კი ამ სიტყვების მიმატება არ ჰსურდა, და ეს სისხლისმღვრულ ბრძოლებს იწვევდა. იმის თაობაზე კამათში, ქრისტე *მესოციც* არის თუ *მესოციციც*,

ანუ იმვე არსებისაა, რაც ღმერთი, თუ მსგავსი არსებისაა (ერთარსებაა ღვთისა თუ მისი მსგავსი არსები-საა), ერთმა ასომ 1-მ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. განსაკუთრებით განთქმულია ბრძოლა ხატთა თაყვანისცემის თაობაზე, რომლის დროსაც ხშირად მომხდარა, რომ იმპერატორს ხატთა თაყვანის-ცემისათვის დაუჭერია მხარი, პატრიარქი კი მის წინააღმდეგ გამოსულა, ან პირუკუ. ამ საკითხების გამო სისხლის დღვრები დიოდა. გრიგოლ ნაბინამელი გვიამბობს: „ეს ქალაქი (კონსტანტინოპოლი) ხელოს-ნებითა და მონებითაა სავსე, რომელნიც სულ ღრმა თეოლოგიები არიან და თავიანთ სახელოსნოებსა და ქუჩებში ქადაგებენ. თუ გინდათ, რომ ვინმე ერთი ევრცხლი დავიხურალო, იგი დაგამოძღვრავთ იმაზე, თუ რით განსხვავდება მამა მისაგან; თუ ერთი ზევსა პურის ფასს იკითხავთ, მოგვებენ, რომ ძე მამაზე უმცირ-ესია, ხოლო თუ კითხვას დაუსვამთ, პური გამოცხვა თუ არა, ვიპასუხებენ, რომ ძე არაა საგან იქმნა“. გონის (სული წმიდის) იდეას, რომელსაც დოგმა შეიცავს, სრულებით უკონოდ ეყურობოდნენ. ბევრი სამო-ქალაქო ომი გამოუწვევია კონსტანტინოპოლელი, ანტიოქიელი და ალექსანდრიელი პატრიარქების დანიშ-ვნას, ისევე როგორც ამ პატრიარქთა ერთმანეთში მოშურნეობასა და პატრიარქთა შიშობას. ამ რელიგიურ კამათებს ზედ ერთოდა ინტერესი გლადიატორებისა და მათი ბრძოლებისადმი და ლურჯთა და მწვანეთა პარტიებისადმი, რაც აგრეთვე უადრესად სისხლისმღვრელი ბრძოლების მიზეზი ხდებოდა. ესეც უადრესი უპატიობის ნიშანი გახლდათ, რადგან მოწმობდა, რომ ადამიანებს მნიშვნელოვნისა და მაღლის აღქმის უნარი დაკარგვიათ და რომ რელიგიურ წებებში დაბანდებული გახლება ადვილად უთავსდება სიერის სიყვარულსა და უიღბრესად მარტოე სასტიკ თამაშობებს.

ბოლოსდაბოლოს ქრისტიანული რელიგიის მთავარი პუნქტები საეკლესიო კრებებმა დაადგინეს. ბიზანტიის იმპერიის ქრისტიანები ცრუმორწმუნეობის ზმანებაში ჩაფლულნი დარჩნენ, პატრიარქებისა და სამღვდელთა ბრმა მორჩილებაში გაყვნილნი. ზემოხსენებულმა ხატთმობრძობამ გამშაგებული შუბ-ლა-შემოხლა და მღვდლთაგან გამოიწვია. გულადი მეფე ლეო ისეირიელი განსაკუთრებით გააგებული ემბრძოდა ხატებს და 754 წლის კრებამ ხატთა თაყვანისცემა ეშმაკის მოგონილად აღიარა. მიუხედავად ამისა, იმპერატორის ირინე 787 წელს ნიკეის კრებას იგი ისევ შემოაღებინა, ხოლო იმპერატორმა თე-ოდორემ 842 წელს გადაჭრით საბოლოოდ დააკანონა იგი და სასტიკად გაუსწორდა ხატთმობრძოლებს. იკონოკლასტ პატრიარქს 200 ჯოხი დაკრეს. ეპისკოპოსები შიშით კანკალებდნენ, ბერები ხარობდნენ და ამგვარი მართლმადიდებლობის მოსაგონარად ყოველწლიური საეკლესიო დღესასწაულიც იქნა შემოღე-ბული. წინააღმდეგ ამისა, დასავლეთმა ჯერ კიდევ 794 წელს უარყო ხატთა თაყვანისცემა ფრანკურტის კრებაზე და თუმცა ხატები არ გაუუქმებია, მაინც სასტიკად დაგმო ბერქმთა ცრუმორწმუნეობა. გვიან შუა საუკუნეებშიდა მოხდა ხატთა თაყვანისცემის აღდგენა უხმაურო და თანდათან პროგრესის გზით ამ მიმა-როულებით.

ბიზანტიის იმპერია ისე იყო შიგნიდან დაგლეჯილ-დწეწილი სხვადასხვა ენებათა მიერ და მას ისე აწებოდნენ გარედან ბარბაროსები, რომლებსაც იმპერატორები ბევრს ვერაფერს უპირისპირებდნენ, რომ მისი ბედი გამუდმებით ბეჭეზე კვიდა. იგი ხისუსტის საზოზღარ სანახაობას წარმოადგენს, სადაც უადრე-კი, უფრო მეტიც — აბსურდული ენებები წარმოშობას არ აცლიან არაფერს დიდას აზრის, საქმის ან ინდივიდუალობის სახით. მხედარიმთავრთა ამბოხებები, იმპერატორთა დამხობა ამ უკანსკნული დამერ ან კარისკაცთა ინტრიგების შედეგად, იმპერატორთა მკვლელობა ან მონაწილთა საკუთრივ მუღღღებისა და ძებნის მიერ, ყველა აუზროცობასა და სამარცხვინო აღვირახსნილობას აყოლილი დედაკაცები — აი ის სცენები, რასაც ბიზანტიის ისტორია გვიჩვენებს, სანამ, ბოლოსდაბოლოს, აღმოსავლეთ იმპერიას ეს დამ-პალი შენობა ძალაზე მოსულმა თურქებმა არ დაანგრიეს მეთხთომეტე საუკუნის შუა წლებში (1453).



ბერმანული სამყარო

გერმანული გონი ახალი სამყაროს გონი გახლავთ, რომლის (ამ სამყაროს) მიზანიცაა ჭეშმარიტების, როგორც თავისუფლების, უსასრულო თვითგანსაზღვრა — თავისუფლებისა, რომელსაც თითო თავისი აბსოლუტური ფორმა აქვს თავის შინაარსად. გერმან ზალხთა დანიშნულებაა (განსაზღვრულობა)¹ ის, რომ ქრისტიანული პრინციპის მატარებელი იყოს. — გონითა თავისუფლების საფუძველი (Grundsatz—პრინციპი) — დაგების (შერიგების)² პრინციპი — ამ ზალხთა უკრ კიდევ უბრყვილო გაუნათლებელ-ჩამოყვალბებულ სულეში შფიდა და (ამით) მათ დაველათ, მსოფლიო გონის სასახურში მდგომთ, არა მარტო ის, რომ თავიანთ რელიგიურ სუბსტანციად ჭეშმარიტი თავისუფლების ცნება ჰქონოდათ, არამედ ისიც, რომ თავისუფალი შერქმედება გაწეით ამ სამყაროში, სუბიექტური თვითცნობიერებიდან გამომდინარე.

თუ ახლა მოინდობთ გერმანული სამყაროს დაყოფას პერიოდებად, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მას ვერ მოვახდენთ მათი ორმხრივი მიმართების მითითებით მათ წინამაგულ და მათს შემდგომ მსოფლიო-ისტორიულ ზალხებთან, როგორც ამას ბერძნებისა და რომაელებისთვის ეშვებოდიოთ ისტორია გვიჩვენებს, რომ ამ ზალხისათვის განვითარების მსვლელობა სულ სხვაგვარი იყო. ბერძნები და რომაელები თავის შიგნით მომწოდებულნი იყვნენ უკვე, როდესაც პირა გარეთკენ ქნეს. გერმანელებმა, პირიქით იმით დაიწყეს, რომ თავიანთი საცხოვრებელიდან გადმოედინნენ, რათა ქვეყანას მოსდებოდნენ, და განათლებულ ზალხთა უკვე თავის შინგით მოშაძალი და გამოფიტული სახელმწიფოები თავისთვის დაქვემდებარებინათ ამის შემდეგ დაიწყო მათი განვითარება, რომელიც, პატრუქითი, უცხო რელიგიამ, უცხო სახელმწიფოთა ნაგებობამ და კანონმდებლობამ დააგზო. ისინი თავისთავში ჩამოყალიბდნენ უცხო სუთვისებისა და დაქლევის გზით და მათ ისტორია, უფრო, თავისთავში ჩამოყალიბდნენ უცხო სუთვისების დამყარება. მართალია, დასავლეთმა სამყარომაც თავის გარეთ გაიწია ვეჯაროსნული ლაშქრობების და ამერიკის აღმოჩენა-დაპყრობის სახით, მაგრამ ამით იგი რომელსამე თავის წინამაგულ მსოფლიო-ისტორიულ ზალხთან შეუბამი არ მოსულა, მას არ ვანუდენია რაიმე პრინციპი, რომელიც მანამდე გაბატონებული იყო მსოფლიოში. აქ გარეთკენ მიმართება მხოლოდ ახლავს ისტორიას, მაგრამ მას არ შეაქვს რაიმე არსებითი ცვლილება ვითარებათა ბუნებაში. პირიქით ამ გარეთ ვასვლასაც შინაგანი ვეჯლეუციის დანი აზის.

ამგვარად, გარეთკენ მიმართება გერმანებს სულ სხვა აქეთ ვიდრე ბერძნებსა და რომაელებს. რადგან ქრისტიანული სამყარო აღსრულების სამყარო ვახლავთ. პრინციპი აღსრულებულია და მით აღსრულებულია დღეთა საზომიც. ქრისტიანობაში იდეა ვეჯარ დაინახავს დაუკმაყოფილებლად რასმე. მართალია, ეკლესია, ერთის მხრე, ინდოფიდებისათვის არის მოშაძლება საუკუნოსთვის, როგორც მათი მოშაძლისათვის, რამდენადაც ერთეული სუბიექტები, როგორც ასეთები, მაინც კიდევ თავიანთ განკერძოებულობაში არიან. მაგრამ, მეორეს მხრე, იგი (ეკლესია) თავისში შვიტეხს სულსა დეთოსას (დეთოს გონს), როგორც აქ-და-აქმყოფს, იგი მოუტევებს ცოდილს და არის აქ-და-აქმყოფი სასუფეველი ცათა. ამგვარად, ქრისტიანულ სამყაროს აღარ მოეპოვება აბსოლუტური გარეთი (Außen), არამედ მხოლოდ რელატიური გარეთი აქვს, რომელიც (ეს გარეთი), თავისთავად, უკვე დაძლეულია და რომლის მიმართაც საქმე მხოლოდ იმას ქება, რომ განმოუღწიოდ იქნეს კიდევ, იგი რომ დაძლეულია. აქედან გამომდინარეობს, რომ გარეთკენ მიმართება აღარაა განმსაზღვრელი ახალი მსოფლიოს გამოქვბისათვის. მამასადამე, დაყოფის რადაც სხვა პრინციპი გვაქვს საქმებარი.

¹ ვასაკლერენელები, რომ ქრისტიანული გერმანული განსაზღვრასაც<sup>2</sup> ნიშნავს და „დანიშნულებასაც“ და ქველს ორეც ეს წიშენვლობა აქვს შევეჯლეობამ შეტანაქვლავ. ის, რაც ამას თმ ზალხის განსაზღვრულობა, მისი ადვილა არისა წყნაში, ამეც დროს მისი დანიშნულებასა, ანუ ის, რისთვისაც იგი არსებობს. (მაარეჟ.შ.წ.)

² შერიგება (ბე ქართულია ადგება) ეკლესიისთვის, ერთის მხრე, დღეთოსის შერიგებას ადამიანებთან იმის შვეჯად, რომ ვანკაცელებს ღვთის სიტყვამ (ქრისტეშვი) თავისი კაცებრივი ბუნებით ვეჯარ დაიბნობს და თავისი და ვნებით გამოისავდა კაცთა ცოდვებ (პარველ ვოლფსა — პარველი ცოდვა) ღვთის წინაშე. მეორეს მხრე — ადამიანთა შერიგებას დღეთოსთან, რადგანაც ღვთის სიტყვამ იმებს კაცებრივი ბუნების მიღება და კაცებრივი ნებისა დაღმინა ადამიანთა სიჯარულს ვამო. VIII საუკუნამდე ქრისტიანობაში აქცერტირებული იყო პირელი ამ შარიუგანს, VIII ს-დან — მეორე. (მაარეჟ.შ.წ.)

გერმანულმა სამყარომ რომელი განათლება და რელიგია შეითვისა როგორც შხა. მართალია, არსებობს გერმანული (deutsch) და ჩრდილოური (ნორდული) რელიგია, მაგრამ მას არანაირად არ ჰქონდა მტკიცედ გადგმული ფესვი გონში. ამიტომაც ტიტუსუს გერმანები მოხსენებული ჰყავს როგორც *securi adversus deos* (ცულგრილინი ღმერთთა მიმართ). გერმანთა მიერ მიღებული ქრისტიანული რელიგია შხა დოგმატურ სისტემად იყო ჩამოყალიბებული საეკლესიო კრებათა და ეკლესიის მამათა ფერ, რომელნიც ბუქონულ-რომაულ სამყაროს მთელს განათლებას, განსაკუთრებით კი ფილოსოფიას მოვლდნენ, ისევე როგორც ეკლესია წარმოადგენდა სავსებით ჩამოყალიბებულ იერარქიას. გერმანთა საკუთარ სახალხო ენასაც ეკლესიამ სავსებით ჩამოყალიბებული ლათინური ენა დაუპირისპირა. ხელოვნებასა და ფილოსოფიაში იგივე უცხოობა სუფევდა. რაც ალექსანდრიული და ფორმალურ-არისტოტელური ფილოსოფიისაგან გადარჩა ბოციუსის ნაწერებში ან სადმე სხვაგან, ის ამიერიდან საკუნეებით დამკვიდრდა დასავლეთში. საერო ბატონობის ფორმამაც იგივე მიმართება იყო. გომთმა და სხვა მთავრებმა რომელიც პატრიარქების წოდება მოიპოვეს, ხოლო შემდგომ კელე აღდგენილ იქნა რომის იმპერია. ამგვარად, გერმანული სამყარო გარეწუნლად მხოლოდ რომაულის გაგრძელებად ჩანს. მაგრამ ნამდვილად მასში სავსებით ახალი გონი ცოცხლდება, რომლიდანაც გარდაუვალად უნდა აღდგარიყო ამიერიდან განახლებული მსოფლიო, სახელდებოა — თავისუფალი გონი, რომელიც მხოლოდ თავისთვის ემყარება, სუბიექტურობის აბსოლუტური თავებობა. ამ შინაგანობას (შიდაწიადს. *Innigkeit*) პირისპირ უდგას შინაარსი, როგორც აბსოლუტური სხვადაყოფნა. განსხვავება და დაპირისპირება, რომელიც ამ პრინციპიდან ვითარდება, ეკლესიისა და სახელმწიფოს დაპირისპირება გახლავთ. ერთის მხრეც ვითარდება და ვალიდება ეკლესია, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტების აქარსება. რადგან ეკლესია ამ ჭეშმარიტების ცნობილობაში და ამავე დროს იმის განხორციელებაში, რომ სუბიექტი ამ ჭეშმარიტებასთან შესატყვისობაში იყოს. მეორე მხარეც დგას საერო (მსოფლიო) ცნობიერება, რომელიც თავისი მიზნებითურთ სასრულობის სამყაროში რჩება — ესაა სახელმწიფო, რომელიც ამოღის გულითადობიდან (*Gemüt*), ერთგულებიდან, სუბიექტურობიდან საერთოდ. ყერთის ისტორია არის თითოეული ამ პრინციპთაგანის განვითარების ჩვენება ეკლესიასა და სახელმწიფოში, შემდეგ — მათი დაპირისპირების განვითარების ჩვენება, მაგრამ არა დაპირისპირების ერთმანეთისადმი, არამედ დაპირისპირების თავ-თავის შეგნით რადგან თითოეული მათგან თავის შიგნით ტოტალიტაბა (მთლიანობაა), დასასრულ — ამ დაპირისპირებულთა შერიგების ჩვენება.

თქმულის შესაბამისად, ამ სამყაროს სამი პერიოდი უნდა აღეწერათ.

პირველი იწყება გერმანთა გამოსვლით რომის იმპერიის ასპარეზზე, ამ ბაღთა პირველი განვითარებით, რომლებიც — უკვე ქრისტიანი ბაღები, — ამიერიდან დასავლეთის დამატკონებას იწყებენ. მათი სანაბობა იმ დროს, როცა ისინი ჯერ კიდევ ევლურნი და უბრველონი არიან, ჩვენთვის დიდი ინტერესს არ წარმოადგენს. შემდეგ კი უკვე გამოდის ქრისტიანული სამყარო როგორც ქრისტიანობა, როგორც ერთი მასა, რომელშიც სასულიერო და საერო ელემენტი მხოლოდ ორი სხვადასხვა მხარეა. ეს ეპოქა კარლოს დიდადმე მოდის.

მეორე პერიოდი ამ ორსავე მხარეც ავითარებს მათს თანმიმდევრულ თავისთავადობამდე და ურთიერთდაპირისპირებამდე: ეკლესია ვითარდება თეოკრატიად, სახელმწიფო კი — ფეოდალურ მონარქიად. კარლოს დიდადმე კავშირი შეკრა წმიდა საყდართან (კათედრასთან. იგულისხმება პაპის ტახტი. მთარგმნ.შენ.), ლანგობარდებისა და რომაელ კთოლმობილთა პარტიების წინააღმდეგ. ასე წარმოიშვა სასულიერო და საერო ხელისუფლების კავშირი და, რაკი მათი ურთიერთშერიგება მოხდა, ამიერიდან ქვეყნად შეუცაო სასუფეველი უნდა მოხულიყო. მაგრამ სწორედ ამ დროსაა, გომთმა უცაო სასუფეველის ნაცვლად რომ იმის მოწოდება უხდებით, რომ ქრისტიანული პრინციპის შინაგანობა შეტყობინდეს გარეუცენა მიმართული და თავისთვის გარეთაა გასული. ქრისტიანული თავისუფლება გაუკუღმართებულა და თავის საწინააღმდეგოდ ქცეულა როგორც რელიგიური, ისე საერო მხრეც იგი ერთის მხრეც უსასტიკესი დამონების, მეორეც მხრეც უადრესად უზნეო აღვირაზხნილობის, უხეშ ენებათა მიყოლის მსხვერპლი გამხდარა. ამ პერიოდისათვის განსაკუთრებით ორი თვალსაზრისის ესაჭიროება უწინააღმდეგა: ერთია სახელმწიფოთა წარმოშობისა, რომლებშიც მორჩილებაზე დაფუძნებულ სწორადნიცაობა უხდავთ, ასე რომ ვოყვლიე (რაც კი მათს აღნაგობასა ქმნის.მთარგმნ.შენ.) მყარ პარტიკულარულ უფლებად ქცეულა, რომელსაც საყოველთაობის ცნობიერება არ ახლავს. ეს მორჩილებამდე დამყარებული სუბორდინაცია ფეო-

დალიზმის სახით იჩენს თავს. მეორე თვალსაზრისით სახელმწიფოს და ეკლესიის დაპირისპირებისა. ეს დაპირისპირება მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ეკლესია, რომელსაც მხოლოდ წმიდის განგებლობა ეკუთვნის, სრულ მსოფლიოებაში ჩაფლული და თვით მსოფლიო (საერო) ცხოვრებაც ამის გამო მით უფრო ზიზღის აღძვერული ჩანს, რომ მასში მონაწილე ყველა ვნება ეკლესიისმიერი გამართლების მოპოვებას ცდილობს.

მეორე პერიოდის ბოლო და ამავე დროს მესამე პერიოდის დასაწყისით კარლოს მეფეთის ხანა, XVI საუკუნის პირველ ნახევარში. ამ დროს საერო მოსახლეობაში იმის ცნობიერება იღვიძება, რომ მასაც უფლება აქვს თავისი სიტყვა თქვას ზნობაზე, სამართალზე, პატიოსნებაზე და ადამიანის საქმიანობაზე. ჩნდება ცნობიერება საკუთარი თავის გამართლებისა ქრისტიანული თავისუფლების აღდგენის წყალობით. ქრისტიანულ პრინციპს ამ დროს გავლილი აქვს სამიწელი წყურთა, რომელიც მას განათლებამ მოუტანა, და რეფორმაციის მიერ და ენიჭება მას მისი ჭეშმარიტობა და ნამდვილობა. გერმანული სამყაროს ეს მესამე პერიოდი გრძელდება რეფორმაციიდან ჩვენს დრომდე. თავისუფალი გონის პრინციპი აქ მსოფლიოს დროშადა და ამ პრინციპიდან ამოსულით ხდება გონების ზოგად ფუძემდებულებათა განვითარება. ფორმალური აზროვნება, განსვლა უკვე ჩამოყალიბებული იყო მანამდე, მაგრამ თავისი ჭეშმარიტი შემუშავებული შინაარსი აზროვნება ამ რეფორმაციისგანა და მიიღო, თავისუფალი გონის კვლევა აღმდგარი და გაიცანსებული კონკრეტული ცნობიერების წყალობით. აქედანდა დაიწყო აზრმა გამსლა-ჩამოყალიბება. მისგან ამოსული დაიწყო ფუძემდებულებების დადგენა, რომელზედაც უნდა აგებულყო სახელმწიფოს წყობა. ამიერიდან სახელმწიფო ცხოვრება ცნობიერად და გონების შესატყვისად უნდა იქნეს მიჩნეობილი. ზნე-ჩვეულება და ტრადიცია ვეღარ მნიშვნელობს, სხვადასხვა უფლებებს თავისთავის გამართლებაც მოეთხოვებათ, როგორც გონიერად საფუძველზე დამყარებულს. ასედა იძიებს გონის თავისუფლება რეალურობის.

ეს პერიოდები შევიძლება ვავსახავთ როგორც მამის, ძისა და სული წმიდის ("წმიდა გონის") პერიოდს. მამის სასუფეველია სუბსტანციალური, განუყოფელი მასა, ცარიელ ცვალებადობაში ჩართული, მსგავსად სატურნის ბატონობისა, რომელიც თავის შვილებს ნიჭამს. ძის სასუფეველია დღითს მოელევა (Erscheinung, გამოშუქება) მხოლოდ სამყაროულ არსებობასთან მიმართებაში, რომელსაც იგი დაჩნათს (scheinen) როგორც მისთვის უცხოის რასმე. სული წმიდის ("გონის") სასუფეველია შერიგება.

ეს ეპოქა მანამდე მსოფლიო ზამეფობსაც შევიძლება შევადაროთ. სახელდობრ რამდენადაც გერმანიის სამეფო ყოვლადობის (ტოტალიტის) სამეფოა, მასში უფრო ადრეულ ეპოქათა განმეორებას ვხედავთ. კარლოს დიდის დრო შევიძლება საპრისთა სამეფოს შევადაროთ. იგი სუბსტანციალური ერთიანობის პერიოდია, როცა ეს ერთიანობა შვიგანს, გულსა და სულს (Gemüt) ემყარება, გონითისა და სამყაროულის სფეროში კი ჯერ უბრყვილია.

ბერნულ სამყაროს და მისს მარტოოდენ იდეალურ ერთიანობას შევსაბამება დრო კარლოს V-მდე, როცა რეალური ერთიანობა აღარ არსებობს, რადგანაც ყველა პარტიკულარობები განმტკიცებულა თავთავის პრივილეგიებისა და კრბო უფლებების სახით როგორც სახელმწიფოების შიგნით სხვადასხვა წოდებანი იზოლირებულნი არიან თავთავის კრბო უფლებამოსილებითურა, ისე სხვადასხვა სახელმწიფოებიც თავის გარეთ მხოლოდ გარეგანი დამოკიდებულებების მქონენი არიან. დამდგარა დიპლომატიური პოლიტიკის დრო, რომელიც, ვრობაში წინასწარობის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს ერთიმეორესთან და ერთიმეორის წინააღმდეგ კამპირს ადებინებს. ეს ის დროა, როცა მსოფლიო თავისთავისთვის ცხადი ხდება (ამერიკის აღმოჩენა). ცნობიერებასაც სიცხადეს აღწევს ზებრძობადის სფეროში და ზებრძობადის შესახებ: სუბსტანციალური რეალუა გრძობადის სიცხადეს აღწევს გრძობადის სტიქიაში (ქრისტიანული ზღონება პაპ ლეოს ეპოქაში) და ამავე დროს თავისთავისთვის ცხადი ხდება უშიანგანესი ჭეშმარიტების სტიქიაში. ეს დრო შევიძლება პერიკლეს დროს შევადაროთ. იწყება გონის თავისთავი ჩაღრმავება (სოკრატელუთური). მაგრამ ამ ეპოქას აკლია თავისი პერიკლე. კარლოს V-ის უზარმაზარი შესაძლებლობები აქვს ზელ გარეგან საშუალებათა სახით და იგი ამასოლუტური ძალის პატრონი ჩანს, მაგრამ მას აკლია პერიკლეს შინაგანი სულისკვეთება და, მასთანადავე, თავისუფალი ბატონობის აბსოლუტური საშუალებაც. ეს არის ეპოქა თავისთავის სიცხადისაქენ მავალი გონისა, რეალურ გათიშულობაში მყოფის. ამ ეპოქაში გერმანული სამყაროს დაპირისპირებანი სააშკარაზე გამოდინან და თავისთავს

არსებითად აელენენ.

მესამე ეპოქა შევსებულია რომაულ სამყაროს შევადართო მასშიც, ისევე როგორც რომში, საყოველთაოს ერთანობა მოცემული, მაგრამ არა როგორც ერთანობა აბსტრაქტული მსოფლიო ბატონობის სახით, არამედ როგორც თვითცნობიერი აზრის ქვეყნობა. ახლა გონიერული მიზანი მნიშვნელობს და ყველა პროვილგია და პარტიკულარული უფლება ქარწყვლდება სახელმწიფოს ზოგადი მიზნის პირისპირა ხალხებს უნდათ უფლება და სამართალი (Recht) თავისთავად-და-თავისთვის აღებული. მარტოოდენ კერძო ტრაქტატებს კი არ ეძლევათ ძალა, არამედ დიპლომატიკის შინაარსს, ამასთანავე, პრინციპებიც (ფუძემდებულებები) შეადგენენ. ასევე, რელიგიაც ვერ ძლებს აზრების გარეშე და, ერთის მხრით, ცნებისკენ მიდის, მეორეს მხრით კი, თვით აზრის მიერ იძულებული, — ინტენსიური რწმენისკენ, ან კიდევ სასწარმკეთოსაკენ აზრის თაობაზე, როცა მას (აზრს) საესებით ზურგს უქცევს და ცრუმორწმუნეობაში ვარდება.

## ნაკვეთი პირველი 1

### ქრისტიანულ-გერმანული სამყაროს ელემენტები

#### თავი პირველი

##### ხალხთა გადასახლებანი

ამ პერიოდზე უკვე ბევრი არაფერი ვაქვს სათქმელი, ვინაიდან იგი დაფიქრებისათვის უხე მასალას ვერ იძლევა. ნუ გავყვებით გერმანებს მათს ტყეებში, ნურც ვეძიებთ ხალხთა გადასახლების მიზეზებს. ის ტყეები მუდამ თავისუფალ ხალხთა მიწა-წყლად იყო მიწნეული. ტატიკუსი რომ თავის სახელგანთქმულ სურათს გვიხატავს გერმანიისას, იგი ამას ერთგვარი სიყვარულით სწადის და თითქოს შორით ელტყის ამ ქვეყანას, რადგან მასში იმ სამყაროს გახრწნილებისა და ზღაღუნურობის კონტრასტს ზედას, რომელსაც თვითონ ეკუთვნის. მაგრამ ეს როდეს ვაძაღვს უფლებას, რომ ველურობის ეს მდგომარეობა მაღალ მდგომარეობად ჩათვალოთ და რუსოსებრ ცდომილებაში გადაეყარდეთ, რომელმაც ამერიკელ ველურთა ვოფა ისეთად მიიჩნია, სადაც ადამიანი ჭეშმარიტი თავისუფლების პატრონია. მართალია, ველურისთვის უცნობია მრავალი უბედურება და ტანჯვა, მაგრამ ვოფელზე ეს უარყოფითი (ნეტატიური) მომენტი გახლავთ თავისუფლება კი ჰყოფითი (აფორმატიული) უნდა იყოს. აფორმატიული (ჰყოფითი) თავისუფლების სიყვარულად უმაღლესი ცნობიერების მიერ მოტანილი სიკეთეებია ჩაითვლება.

ყოველი ინდივიდი გერმანებში არსებობს როგორც თავისუფალი თავისთვის, მაგრამ მიუხედავად ამისა მათში მაინც არის რაღაც გარკვეული ერთობა, თუმცა ეს უკანასკნელი უკრ კიდევ არ წარმოადგენს პოლიტიკურ მდგომარეობას. შედეგ იმისი მოქმენი ვხდებით, რომ გერმანები რომის იმპერიას მოსდებიან. მათ, ერთის მხრით, ნაყოფიერი მიწები იზიდავს, მეორეს მხრით, ახალი საცხოვრისის ძიების მისწრაფება. მიუხედავად მათი ომებისა რომის მიწებთან, ცალკეული მათგანნი ან მათი მთელი ტომებიც კი რომაელთა სამხედრო სამსახურში დგებიან. უკრ კიდევ ცეზარის დროს ფარსალის ველზე გერმანთა ცხენოსანმა ჯარმა იბრძოლა. განათლებულ ხალხებთან ურთიერთობისა და მათთან გაწეული სამხედრო სამსახურის წყალობით გერმანებმა შეითვისეს ამ ხალხებში ხმარებული ეთილსაგნების ცოდნა. ამით რიცხვში სიამოვნებისა და კომფორტისათვის განკუთვნილი საგნებიც შედიოდა, მაგრამ ამასთანავე და ამავე დროს გრძითი განათლების საგნებიც. შემდგომი გადასახლებების დროს ზოგი ხალხი მოვლიანად თავის სამშობლოში დარჩა, ზოგიც — ნაწილი.

ამის მიხედვით გერმან ერთა შორის ისეთები უნდა გაუარჩიოთ რომლებიც ძველ საცხოვრებელ ადგილას დარჩნენ, და ისეთები, რომლებიც რომის იმპერიაში გადავიდნენ და იქ დაქვემდებარებულ ხალხებს შეეროვნენ. ვინაიდან გარეთიკენ ლაშქრობის დროს გერმანები თავისუფალი არჩევანით უერთდებოდნენ ამა თუ

იმ ბელადს, მათში იმ თავისებურ ვითარებას ვხედავთ, რომ ხალხები თითქოს ორდებიან: არსებობენ ოსტ-გოთები (აღმოსავლეთის გოთები) და ევსტგოთები (დასავლეთის გოთები), არსებობენ გოთები ქვეყნის ყვე-ლა მხარეს და გოთები თავიანთ ქვეყანაში; არსებობენ სკანდინავიელები, ნორმანები ნორვეგიაში და იგივე სკანდინავიელები, როგორც რაინდები სხვა ქვეყნებში. რაც უნდა სხვადასხვანაირად წარმართულიყო ამ ხალხთა ბედი, მათ მაინც ერთობლივ მიზნად აქონდათ ყველა შემთხვევაში ის, რომ მიწა-წყალი ემთავრა საკუთრებად და ჩამოყალიბებულიყვნენ სახელმწიფოდ. ეს თანდათანობით ჩამოყალიბება ყველა მათგანს ერთნაირად ეტება. დასავლეთში, ესპანეთსა და პორტუგალიაში პირველად სვეები და ვანდალები დასახდნენ მიწაზე. შეიქმნა დიდი ფესტგოთთა სახელმწიფო, რომელშიც შედიოდნენ ესპანეთი, პორტუგალია და სამხრეთი საფრანგეთის ნაწილი. მეორე იყო ფრანკთა სახელმწიფო. ამ საერთო სახელის ქვეშ გაერთიანებულნი იყვნენ მეორე საუკუნის დამკვიდრებელი ისტორიული ტომები, რომლებიც რაინსა და ვებერს შორის სახლობდნენ. ისინი მოხვლას და შედეგს შორის დამკვიდრდნენ და თავიანთი ბელადის ხლოდევიგის მეთაურობით გალიაში შეი-ჭრნენ ლუარამდე. ხლოდევიგმა რაინის ქვემოწევის ფრანკებიც დაიმორჩილა და ალემანებიც რაინის ზემო წელში. მიჰმა ძეგმა ტურინგები და ბურგუნდები დაიქვემდებარეს. მესამე საუკუნე იყო ოსტგოთთა სახელმ-წიფო იტალიაში, რომელიც თოდირობის მიერ იქნა დაარსებული და განსაკუთრებულ აყვავებას ამ უკა-ნასკნელის ხელში მიადგინა. სწავლული რომაელები კასიოდორუსი და ბოეტიუსი ამ სახელმწიფოში უმაღლესი მოხელეებად იყვნენ. მაგრამ ამ სახელმწიფოდ დიდხანს ვერ გაბოლო, იგი ბიზანტიელებმა დაანგრეს ბელ-იზანიას და ნერსესის წინამძღოლობით. მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში (568) იტალიაში ლანგობარდები შეიჭრნენ და აქ ორი საუკუნე იბატონეს, სანამ ეს ქვეყანაც კარლოსის ფრანკულ სკიპიტრას არ დაექვემდებ-არა. შემდეგ ქვემო იტალიაში ნორმანებიც დაემკვიდრდნენ. უნდა ვახსენოთ ბურგუნდებიც, რომლებიც ფრანკებმა დაპყროვნეს და რომელთა სახელმწიფოც ერთგვარი გამყოფი გალუანიეთისა საფრანგეთისა და გერმანიისა შორის. ბრიტანეთისიც ანგლები და საქსები გვიდნენ და დაიმორჩილეს ეს ქვეყანა. შემდეგ იქ ნორმანებიც მივიდნენ. ამგვარად, ამ ქვეყნებს, მანამდე რომ რომის იმპერიის ნაწილებს წარმოადგენდნენ, წილად ჰხვდათ ბარბაროსთა მიერ დაპყრობა. წამსვე თავი იჩინა დიდმა კონტრასტმა ერთი მხრე ამ ქვეყანათა უკვე გა-ნათლებულ მაცხოვრებლებს და მეორეს მხრე გამარჯვებულებს შორის, მაგრამ ამ კონტრასტის ბოლო იყო ნაზაო ბუნების მქონე ერთა შექმნა. ამგვარ სახელმწიფოთა მთელი კონიოთი (სულიერად) არსებობა თავისივე ში-ში მოიცავს გარეგანს — როგორც შინაგანს, ისე გარეგნულს. გარდნულად ეს განსხვავება წამსვე გვეცემა თვალში ენის წვალბობით, რომელიც ურთავრებულწევს წარმოადგენს ერთი მხრე ადგილობრივ კოლოკაქებთ-ან უკვე შერეული ძველრომაულისა და მეორეს მხრე გერმანულისა. ამ ხალხებს შევიძლია რომანი ხალხ-ები ვუწოდოთ და ამ სახელის ქვეშ იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და საფრანგეთი გავგერთიანოთ ამით უპირისპირებას სამი მეტ-ნაკლებად გერმანულენოვანი ერი, რომლებმაც ამ ეპოქის მანძილზე შეულახვეი შინაგანობის ერთი და იგივე ტონალობა შემოინახეს, სახელდობრ თეთონ გერმანია, სკანდინავია და ინგლი-სი. იგი, მართალია, რომის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, მაგრამ, გერმანიასავე, მასაც რომაული განააღებდა მხოლოდ კიდევ თუ შეუბო, შემდეგ თუ ანგლებისა და საქსების მიერ იგი კვლავ გერმანიზებულ იქნა. საკუთრე გერმანიად წმინდად დაიცვა თავი ყოველივე შერევისგან, მხოლოდ მისი სამხრეთი და დასა-ველი ნაწილი, დუნასა და რაინთან, ადრიანად რომაელების ხელში. რაინსა და ელბას შორის მდებარე ნაწილი საუბრით ხალხური იერისად დარჩა. გერმანიის ამ ნაწილში მრავალი სხვადასხვა ტომი („ხალხი“) ცხოვრობდა. რაიპარსა და ხლოდევიგის მიერ მაინის მიდამოებიდან შემოსახლებულ ფრანკთა გარდა აქ კიდევ ოთხი უმთავრესი ტომი იყო დამკვიდრებული: ალემანები, ბურები, ტურინგები და საქსები. სკანდი-ნავიელებიც თავიანთი სამშობლოში წმინდად შეინახეს თავი, მათ შერევა არ განუცდიათ. მაგრამ შემდეგ ისინი ცნობილი გახდნენ თავიანთი ლაშქრობებით ნორმანთა სახელების ქვეშ. მათ თავისი რაინდული ლაშქრობე-ბით თითქმის მთელი ევროპა მოიცვეს. მათი ერთი ნაწილი რუსეთში მივიდა და იქ რუსული სახელმწიფო დააარსა. ნაწილი ჩრდილოეთ საფრანგეთსა და ბრიტანეთში დამკვიდრდა. სხვა ნაწილმა სამთავროები დააარსა ჩრდილოეთ იტალიაში და სიცილიაზე. ამგვარად, სკანდინავია ერთმა ნაწილმა თავისი ქვეყნის გარეთ სახ-ელმწიფოები შექმნა, მეორე ნაწილმა თავისი რურენება მამა-პაპის კერასთან შეინახა.

მათ გარდა აღმოსავლეთ ევროპაში დიდ სლავ ერსაც ვხედავთ, რომლის საცხოვრისიც დასავლეთით ელბასა და დუნაიმდე ვრცელდება. მათ სამოსახლოში შეჭრილი და დასახლებული არიან მადაიარები (უნ-გრელები). მოლდავიასა, ვალახიასა და ჩრდილოეთ საბერძნეთში არიან ბულგარელები, სერბები და ალ-

ბანელები, აგრეთვე აზიური წარმოშობისანი. ესენი აქ ხალხთა ურთიერშეჯახების შედეგად დაჩნენ როგორც ბარბაროსთა ცალკეული ნაშხერეები. მართალია, ამ ხალხებმა სამეფოები შექმნეს და მამაცურად დაიცივეს თავი სხვადასხვა ერთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგჯერ აენგარდადაც კი ვოფილან, როგორც საშუალო მდგომარეობის ხალხები ქრისტიან ერობასა და არაქრისტიან აზიას შორის ამ უკანასკნელის შემოქმედების დროს. პოლონელებმა აღყაშმორტყმული ვენც კი ისხნეს თურქებისაგან. სლავთა ნაწილი დასაუღრმეს გონებამ მონადირია. მიუხედავად ამისა, მთელი ეს მასა მანაც ადგილი ეკრ პოეზის წევრს წინამდებარე განხილვაში, რადგანაც იგი ჯერჯერობით არ გამოსულა თავისთავად მომენტად სამყაროში გონების ფორმათა მონაცვლეობის რევში. მოხდება თუ არა ეს მომავალში, ჩვენ ამჯერად არ გვცუბა, რადგან ისტორიის საქმე მხოლოდ უკვე მომხდართან აქვს.

გერმან ერს ჰქონდა თავის შიგნით ბუნებითი მთლიანობის (ტოტალობის) განცდა და ამ უკანასკნელს ჩვენ შევვიძლია გ უ ლ ი ნ წ ი ა ლ ი (Gemüt) ვუწოდოთ ეს გულისწინაი გახლავთ გონის თითქოსდა თავისთავში შებურული, განუსაზღვრელი მთლიანობა მისს მიმართებაში ნებისადმი, რითაც აღძრინი ამქვედადვე ზოგადისა და განუსაზღვრელი სახის თვითდაკმაყოფილებას პოეზებს. ხასიათი ნებისა და ინტერესის რაღაც ვარკვეულ ფორმას ჰქვია, მაგრამ გულისწინად ამგვარი ვარკვეული მიზანი არ მოეპოვება, — ვთქვათ, სიმდიდრე, ჰატეი და მისთანანი. იგი სულაც არაა მიმართული რაიმე ობიექტურ მდგომარეობაზე, არამედ ეტება მთელს მდგომარეობას საერთოდ, როგორც საკუთარი თავის განცდას და მისით სიამონებას. ამგვარად, მასში მოცემულია მხოლოდ ნება საერთოდ, ვითარცა ფორმალური ნება, და სუბიექტური თავისუფლება, ვითარცა საკუთარი თავის განცდა (Eigensinn). გულისწინადისათვის ყოველ კერძოს მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც, იგი მთელს თავის არსებას ამგვარ კერძოებში სდებს. მაგრამ ენიშნად იგი არ დაეძებს კერძო მიზნის, როგორც ასეთის, რაგვარობას და რეორტობას, იგი ამ მიზნის დეენაში არც მიდის თავისთავის იზოლაციაში, რაც ძალმომრე და ავი ენებების აყოლაში გამოხატებოდა, არ მიდის ბორტებამდე საერთოდ. იმაში, რასაც გულისწინაი ეწოდეთ, ასეთი ვაყოფა არც არსებობს. იგი, თავის მთლიანობაში, ყოთლოსურნეობის იერის მატარებელია. ხასიათი კი სულ სხვა, ამის საწინააღმდეგო რამ გახლავთ.

ასეთა გერმან ხალხთა აბსტრაქტული და სუბიექტური მხარე, იმ ობიექტური მხარის პირისპირ, რომელიც ქრისტიანობას შოაქვს. გულისწინად არა აქვს რაიმე კერძო შინაარსი. ქრისტიანობას კი, პირუკუ, საქმე სწორედ ხაგან-ამოცანასთან (Sache) აქვს, შინაარსთან როგორც ასეთთან. მაგრამ გულისწინადში ძვეს დაკმაყოფილებისაკენ, სახელდობრ, საესებით ზოგადი წესით დაკმაყოფილებისაკენ მისწრაფება. ეს მისწრაფება კი სწორედ ის გახლავთ, რაც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენებ, ქრისტიანობის პრინციპის შინაარსია. განუსაზღვრელი, ვითარცა სუბსტანცია, ობიექტურად, არის საესებით ზოგადი (საყოველთაო) — დემრთი. მაგრამ ეს, რომ დემრთის მიერ ერთეული ნება მადლით შეიწინარება (Zu Gnaden aufgenommen), ქრისტიანული, კონკრეტული ერთიანობის მეორე მომენტი გახლავთ. აბსოლტური სუბიექტი (საყოველთაო) თავისი მთოცუს ველოდ განსაზღვრულობებს და, ამდენად, განუსაზღვრელია. სუბიექტი კი უპირობოდ განსაზღვრულია. ესენი (ზოგადი და სუბიექტი) იფაყობრთნი არიან. ზემოთ ეს (იფაყობა) მითითებულ იქნა როგორც ქრისტიანობის შინაარსი. ახლა კი მისი მითითება გვამართებს სუბიექტიდან ამოსვლით („სუბიექტური წესით“), ვითარცა გულისწინადისა. სუბიექტმა (ამიერიდან) ობიექტური ფორმაც უნდა მიიღოს, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, საგნად უნდა გაიშალოს. მთოზონილება გახლავთ, რომ გულისწინადის განუსაზღვრელი განცდისათვის აბსოლტური ობიექტადაც იყოს, რათა აღძრინამ ამ ობიექტთან თავისი ერთიანობის ცნობიერებასაც მადლწიოს. ამისათვის საჭიროა სუბიექტის განწმენდა თავის შიგნით, რათა იგი ნამდვილ, კონკრეტულ სუბიექტად ჩამოყალიბდეს, — რათა მას, ვითარცა მსოფლიურ (სამყაროულ, საერო) სუბიექტს, ზოგადი ინტერესები ექნეს, რათა მან ზოგადი მიზნების მიხედვით იმუქნოდოს, კანონის ცოდნა ჰქონდეს და მასში ჰპოუდეს კმაყოფილებას.

ამგვარადა, ეს ორი პრინციპი რომ ერთმორუგს შეესატყვისება და გერმან ხალხებს, როგორც ზემოთ ითქვა, იმის უნარი რომ შეასწავთ, გონის ამ უფრო მაღალი პრინციპის მატარებელი იყონ.

შემდგომ ამოცანად ის ვთქვამ, რომ ეს გერმანული პრინციპი მის უმუშაოდ არსებობაში განეიხილოთ, ანუ თვალი გერმან ერთა პირველ ისტორიულ მდგომარეობებს მივაჭყოთ. (მათ) გულისწინადი თავისი პირველი ისტორიული გამოუღენისა საესებით აბსტრაქტულია, მას განეითარება და კერძო შინაარსი არ მოეპოვება,

რადგანაც სუბსტანციური მიზნები არ შემოდის გულის წიაღში, როგორც ასეთში. სადაც მდგომარეობის მთელ ფორმას მხოლოდ ეს გულისწიანი შეადგენს, იქ იგი გვეკლინება როგორც ხასიათს მოკლებული და დახშული (ჩლუნგა) რამ. გულისწიანი, საესებით აბსტრაქტულად აღებული, მხოლოდ და მხოლოდ სიჩლუნგაა. ამგვარად, გერმანთა პირველყოფილ მდგომარეობაშიც ჩვენ მხოლოდ ბარბაროსულ სირლუნგებს ეხედვითა აღრევსა და განსაზღვრელობას თავის შვინი. გერმანთა რ ე ჲ ი გ ა ხ ე ცოტა რამ ვიცით. დრუიდები ვალაში მომძღვრებულნი იყვნენ, მაგრამ ისინი რომაელებმა ვაწყვიტეს. არსებობდა თავისებური ჩრდილოური (ნორდული) მითოლოგია. მაგრამ რამდენად ნაკლებ იყო დრუიდების რელიგია გერმანთა სულსა და გულში ფეხვადგმული, ეს ილიანაც ჩანს (რაც ზემოთ უკვე აღინიშნა), რომ გერმანები ადვილად მოიქცნენ ქრისტიანობაზე. მათალია, საქსებმა კარლოს დიდს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ეს ბრძოლა მიმართული იყო არა იმდენად რელიგიის, რამდენადაც საერთოდ მათი დაქვემდებარების წინააღმდეგ. მათი რელიგია სიღრმით არ გამოირჩეოდა, ისევე როგორც მათი სამართლებრივი წარმოდგენები. შეკვლეობა მათში არ განიხილება და არ ისჯება როგორც დანაშაული. იგი მხოლოდ ფულად სახსრის გამოღებით ისჯება. ეს მას მთვცველებს, რომ შიდაწილის იმ გაუყოფლობის ვითარებაში, რომელშიც გერმანები იმყოფებოდნენ, მათი განცდა სიღრმეს მოკლებული იყოფოდა, აგრეთვე სამართლებრივ (უფლებრივ) ცნებებს. კაცისკვლაში იგი მხოლოდ კრებულის (Gemeinde თემის) დაზარალებას ხედვდა და მტერს არაფერს. არაბებში მიღებული სისხლის აღება ემყარება იმ წარმოდგენას, რომ შელახულია ოჯახის დარსება. გერმანებში კრებული არ იყო ინდივიდის ბატონი: მათში თავისუფლების ელემენტი უპირველესია, რაც იგულისხმება მათს გაერთიანებაში საზოგადოებრივი ურთიერთდამოკიდებულების მქონე წარმონაქმნად. ძველი გერმანები განთქმულნი იყვნენ თავისუფლებისმოყვარეობით და რომაელებმა სწორად შეატყვევეს მათ იმათათვე ეს თვისება. სულ უახლოეს დრომდე თავისუფლება გერმანიაში დროშად იყო ზოლდე და თვით ფრიდრიხ II-ის მიერ შეკრული მეფე-მთავარი კუმიში თავისუფლებისმოყვარეობაზე იყო დამყარებული. თავისუფლების ეს ელემენტი (სტიქია) რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებზედ ყალიბდება, იგი სხვას ვერფარებს სექსის თუ არ ხალხურ თემებს (Velksgeinden); ეს უკანასკნელნი მთელს წარმოადგენენ, ხოლო მათი ყოველი წევრი, როგორც ასეთი, თავისუფალი კაცია. იმიტომ იყო შესაძლებელი კაცისკვლისთვის მხოლოდ ფულადი სახსრის გამოღებით დაქვეითებულება, რომ თავისუფალი კაცი თავისუფალ კაცად თვითვლიდა და ასეთად რჩებოდა, რაც არ უნდა ჰქონოდა ჩადენილი. ინდივიდის ეს ასსულტური მნიშვნელობა შეადგენს იმ უმთავრეს განსაზღვრეულობას, რომელიც გერმანებში ჯერ კიდევ ტატიტუსმა დაინახა. კერძო სამართლის საქმეებს თემი (ადგილობრივი საზოგადოება, Gemeinde) არჩევდა, ან მისი წინამდებობი მის წევრთა მონაწილეობით. ამ ხჯაში მათთვის სახელმძღვანელო მიზანი იყო პიროვნებისა და საკუთარების ხელშეუხებლობა. საზოგადო საქმეებისათვის, როგორც იყო ომი და მისთანები, საჭირო იყო ერთობლივი მსჯელობა და გადაწყვეტილება. მეორე მნიშვნელოვანი მომენტის ის გახლავთ რომ გერმანები იქმნებოდა ზოლდე ერთგარი ცენტრები მთავრობისა და სარდლებისადმი (ჯარის ბელადებისადმი) ინდივიდთა თავისუფალი დაქვემდებარების და ნებაყოფლობით დაამხანაგების შედეგად. ამგვარ შემთხვევებში კავშირს აღამიანთა შორის წარმოადგენდა ე რ თ გ უ ლ ე ბ ა. ერთგულება, ამგვარად, მეორე დროშა გერმანთათვის, რომლებსთვისაც თავისუფლება პირველი დროშა იყო. ინდივიდები თავისუფალი ნებით უკავშირდებიან ერთმანეთს ერთ სუბიექტს და ამ თავითი მიმართებას დაფიქვულად მიიჩნევენ. ამგვარ რასმე ვერც ბერძნებში ვიპოვით და ვერც რომაელებში. ავამეზონის კავშირი თავის მეფეებთან არ იყო სამსახური, არამედ ეს იყო ასოციაცია მხოლოდ ერთი კერძო მიზნის მისაღწევად, ჰქვემოდა. გერმანული ამხანაგობები კი მხოლოდ ერთი გარკვეული საქმისათვის შეკრულ კავშირს არ წარმოადგენდნენ. ეს იყო კავშირი მრავალი გონითი თვითობისა, სუბიექტურის, შინაგანი პიროვნებისა. კაცის გულში, შიდაწილში, მთელი მისი კონკრეტული სუბიექტურობა ამ მიმართებაშია ჩაბმული. იგი არ განეყენება (მოცემული საქმის) შინაარსს, პირიქით ამ უკანასკნელს, ამასთანავე, პირობად იხდის იმდენად, რამდენადაც თავისთვის ამ (მთავრის) პიროვნებისა და საქმისაგან დამოკიდებულად აღიარებს. ყოველივე ეს ამგვარ მიმართებას ერთგულებასა და მორჩილების ნაზავად ხდის.

ამ ორი მიმართების — ერთის მხრივ ინდივიდის თემში თავისუფლების და, მეორეს მხრივ ამხანაგობის დამოკიდებულების — გაერთიანება მნიშვნელოვანი გახლავთ სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, სადაც უფლება-მოკლეობები თვითნებობისადმი მინდობილი საქმე კი აღარაა, არამედ დაფიქსირებულია სამართლებრივ მიმართებათა სახით, სახელმძღვანელო დაფიქსირებულია იმგვარად, რომ სახელმწიფო მთელის სული და

გულია, იგი მთელზე ბატონობს, მისგან (სახელმწიფოსაგან) გამომდინარეობს განსაზღვრული მიზნები და გამართლება როგორც საქმეებისა, ისე ცალკეული ხელოსუფლებებისა (ძალაუფლებებისა), და ზოგადის-მიერი განსაზღვრა ყველა ამათში ფუძემდებელი რჩება. მაგრამ გერმანთა სახელმწიფოებს ის საქციელია აქვთ, რომ, პირველ, საზოგადოებრივ ურთიერთობებს ზოგად განსაზღვრათა და კანონთა ხასიათი კი არ ეძლევა, არამედ ის ურთიერთობები სულ კერძო უფლებებდა და კერძო მოვალეობებდაა დაშლილი. მართალია, მათში არის საერთო რაგებობა, მაგრამ არაფერია საყოველთაო: კანონები მარტოდონენ კერძოა და უფლებამოსილებანი მარტოდონენ პრივილეგიათა. ამგვარად, სახელმწიფო კერძო უფლებებისაგანა ატე-ბული. გვიანდა იბადება, ბრძოლითა და ტყივლით განსჯისშესაბამისი სახელმწიფო ცხოვრება.

ზემოთ ვთქვით, რომ გერმან ერთა მიწოდება იყო, ქრისტიანული პრინციპის მატარებელი ყოფილ-იყვნენ და განებორცილებინათ იდეა, როგორც აბსოლუტურად განებისშესაბამისი (vernünftig) მიზანი. თავდაპირველად (მათი ხასით) გაეკუმს მხოლოდ ბუნდოვანი ნება, რომლის უკანდა ტექშიარტი და უსასრულო დგას. ტექშიარტი არის მხოლოდ როგორც დავალება (ამოცანა), რადგანაც გულის სიღრმე უკარ კიდევ არ დაწმენდილა. მხოლოდ გრძელ პროცესსდა ძალუმს, რომ განახორციელოს ეს კონკრეტულ გონად დაწმენდა. რელიგია ენებების მიერ ნაკარანხვე ძაღმომრეობის დაოკებას მოითხოუს და სანაცვლოდ ამ ენებების მხრი-დან გამწარებულ სიძულვილს იძიეს. ენებათაღლევის ამ მიდრეკილებას ძაღმომრეობისკენ კიდევ უფრო ამძაფრებს ცული საქმეებით დატვირთული სიღნის და ეს მათს ისეთ ბოპოქობას იწვევს, როგორამდისაც ალბათ არც მოვიდოდნენ, ამგვარი წინააღმდეგობა რომ არ შეპხვედროდათ. ჩვენ მოწმენი ვხედებით უს-აზიზღრუსი აღვირახსნილობისა და სისასტიკისა იმ ეპოქის ყველა სამეფო გვარში. ფრანკთა (გონარქიის) დამარსებელი ზლოდიგი უსაზინლეს დანაშაულობებს სჩადის. მეროივნება მთელს შემდგომ რიგს უღ-მოებელი სისასტიკე ახასიათებს. იგივე სანახაბა მუორდება ტოუინგულ და სხვა სამეფო სახლებში. მართა-ლია, ქრისტიანული პრინციპი არსებობს ადამიანთა გულსინაღმი როგორც დავალება (ამოცანა), მაგრამ ეს გულისწიადი ჯერ კიდევ უშუალოა და ჩამოუყალიბებელი ნება, რომელიც, თავისთავად, ტექშიარტია, ვერ ცნობს თეთონ თავისთავს და თავის ტექშიარტ მიზანს ეთიშება კერძო, სასრული მიზნების დღენში. მაგრამ სწორედ საკუთარ თავთან ამ ბრძოლაში და საკუთარი ნების საწინააღმდეგოდაა, იგი რომ იმას წარმოშობს, რაც ტექშიარტად მნებუს; იგი ებრძვის იმას, რაც ტექშიარტად მნებუს, და ამით ანობოციელებს კიდევ მას, იბიტიტი რომ იგი, თავისთავად, შერიცხული (დაგებული) ნებაა. სულს (გონი) დეთოსა ცოცხლის კრებულ-ში. იგი მისი შინაგანი მამომრეებელი გონია. მაგრამ გონის რეალოზაცია სამყაროში (სოფელში) უნდა მოხდეს, და უნდა მოხდეს ისეთ მასალაში, რომელიც ჯერ მისი შესატყვისი არ არის. ეს მასალა თეთონ სუბიექტური ნება, რომელიც, ამგვარად, თეთი თავისთავმევე წინააღმდეგობას შეიცავს. რელიგიასთან მიმ-ართების მხრე ამ ეპოქაში ხშირად ვხვდეთ ასეთ შემობრუნებას, კაცი რომ მთელ სიცოცხლეს ამ სინამდ-ვილეში ჩართული, ბრძოლას და წყეტამი გაატარებს, რათა თავისი ხასიათის მთელი ძალთა და ენებით ამქვენიური მიზნები მოიგვაროს, მთელი სიცოცხლის მანძილზე ამქვენიურს ეტანება, მაგრამ უცებ გა-ნავადებს ყველაფერს, რათა რელიგიურ მარტობას მიაშუროს. მაგრამ ეს საქმე სოფელში (სამყაროში) ვერ მთავრდება: იგი დასრულებისკენ ისწრაფვის და საბოლოოდ აღმორწმუნდა ხოლმე, რომ გონი თავისი ბრძო-ლის დასასრულსა და თავის დაშობინებას სწორედ იმაში მოიხსნება, რასაც იგი თავისი წინააღმდეგობის საგნად აქცევდა, — რომ ამსოფელიური აქტივობა სასულიერო (გონითი) საქმე ყოფილა.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ინდივიდები და ხალხები დიდ ბენდინებრად რაცხენ იმას, რაც მათ უბედურებაა, და, პირველ, იმას, რაც მათი ვენდინებრებაა, ისე ებრძვიან, როგორც უდიდეს უბედურებას (La verite, en la repoussant, on l'embrace)!. ვერობა ტექშიარტებასთან მიდის. ხელს ჰკრავს ეს მას, და მდის იბდენდა, რამდენადაც მას ხელს ჰკრავს. სწორედ ამ მოძრაობაშია, ვანგება რომ მმართველობის ამ სიტყვის საკუთრივი აზრითა და უბედურების, ტანჯვის, პარტიკულარული (კერძო) მიზნებისა და ხალხთა გაუცნობიერებელი ნების მეშვეობით თავის აბსოლუტურ მიზანსა და თავის პატრეს ზორცს ანახამს.

დასაუღლეში რომ, ამგვარად, მსოფლიო ისტორიის ეს გრძელი პროცესი იწყება, რომელიც აუცილ-ბელია იმისათვის, რომ კონკრეტულ გონად დაწმენდა მოხდეს, აღმოსაღლეში, პირველ, აბსტრაქტულ გონად დაწმენდა ხდება და ეს პროცესი უფრო ჩქარა მიმდინარეობს, ვიდრე პირველი. ამ მეორე დაწმენდას

1 ტექშიარტებას რომ ხელს ეკრავი, ამით მას ვიწყნარებთ (ფრანგ.)



ზანდერძლი პროცესი არ სჭირდება, ჩვენ მისი უეცარი და სწრაფი განხორციელების მოწმენი ვართ VII საუკუნის პირველ ნახევარში მაჰმადიანობის სახით

## თავი მეორე

### მ ა ჰ მ ა დ ი ა ნ ო ბ ა

ერთის მხრე რომ ვერაპული სამყაროს ახლებურად ჩამოყალიბება ხდება, იქ რომ ხალხები მიწაზე მკვიდრდებიან, რათა თავისუფალი სინამდვილის ყოველმხრე გამოვლილი განვითარებული სამყარო წარმოშვან, და თავის საქმეს იმით იწყებენ, რომ ყველა ურთიერთობებს პარტიკულარული (ერძო) წესით ადგენენ, არუ იმას, რაც თავისი ბუნებით ზოგადი და წესი უნდა იყოს, ბუნდოვანი და ბმული ცნობიერებით შემთხვევით დამოკიდებულებათა გროვად ხდინან, ხოლო იმას, რაც მარტეი პრინციბი და კანონი უნდა იყოს, კვეშირთა რთულ ხლართად აქცევენ - ერთ სიტყვით, ერთის მხრე რომ დასავლეთი შემთხვევითობაში, ხვანეებსა და კრობობაში ებება და მათში ვარჯევას იწყებს, მაშინ ქვეყნის მოპირდაპირე მხარეს გარდუყავალად ჩნდება ერთ მთელად ინტერკაცია, რასაც ადგილი აქვს აღმოსავლეთის რეკოლუციის სახით, რომელმაც ყოველგვ პარტიკულარობა და დამოკიდებულობა დააშინებია, სული (გულისსიღრმე) სავსებით გაანათლა და გაწმინდა: მან მხოლოდ აბსტრაქტული ერთი აღიარა აბსოლუტურ საგნად, ხოლო წმინდა სუბიექტური ცნობიერება, იმ ერთის ცოდნა — სინამდვილის ერთადერთი მიზნად. მიმართებათა არმქონე მან არსებობის მიმართებად აქცია.

ზემოთ უკვე გავყენით აღმოსავლური პრინციბის ბუნებას და ენახეთ რომ ის, რაც ამ პრინციპისთვის უმაღლესია, მხოლოდ ნეგატიური რამ არის, ხოლო აფირმატიული (პოყოფით) აქ მხოლოდ კვლავ ბუნებითობაში ჩაყარდნას და გონის დამონებას ნიშნავს. მხოლოდ ებრაელებში შვენიშნეთ რომ მარტეი ერთიანობის პრინციბი აზრამდე ამაღლებულიყო, რადგან მხოლოდ მათში არსებობდა აზრისთვის-ყოფი ერთის თავყანება. (მაჰმადიანობაში) ეს ერთიანობა კვლავ მალამი დარჩა, რაკი მისი აბსტრაქტულ გონად დაქმნდა მოხდა, მაგრამ იგი (ეს ერთიანობა) განთავისუფლდა პარტიკულარობისაგან (კერძობისაგან), რომელიც იეპოვას თავყანებას ახასიათებდა. იეპოვა მხოლოდ ამ ერთი ხალხის ღმერთი იყო, ღმერთი აბრაჰამისი, ისაკისი და იაკობისი: მას მხოლოდ ებრაელებთან ჰქონდა აღთქმა დადებული, იგი მხოლოდ ამ ხალხს გამოეცხდა. მაჰმადიანობაში მიმართების ეს პარტიკულარობა (კერძობა) მოხსნილია. ამ გონითს საყოველთაობაში, ამ უხლდელსა და განუსაზღვრელ სიწმინდეში სუბიექტს სხვა მიზანი აღარა აქვს რა გარდა ამ საყოველთაობის და სიწმინდის განამდვილებისა. აღაპს აღარა აქვს ებრაელთა ღმერთის აფირმატიული (პოყოფით) მიზანი. ერთის (აღაპის) თავყანება მაჰმადიანობისთვის ერთადერთი და საბოლოო მიზანია და სუბიექტურობას თავისი ქმედების შინაარსად მხოლოდ ეს თავყანება აქვს, ისევე როგორც განზნახვა, რომ იმ ერთს მთელი ქვეყანა დასუქებდებაროს. იმ ერთს კი განსაზღვრულობა გონისა აქვს, მაგრამ ეინადან სუბიექტურობა (სუბიექტური საწყისი) აქ თავის საგანში გახსნილ-ვათქვეყნილია, იმ ერთიდანაც იკარგება ყოველგვ კონკრეტული განსაზღვრულობა და ვერც ეს სუბიექტურობა ხდება თავისთვის გონითად (სულიერად) თავისუფალი, ვერც მისი საგანია თეთონ კონკრეტული. მაგრამ მაჰმადიანობა არაა არც ინდური, არც ბერ-მონაზვნური ჩაძირვა აბსოლუტში, არამედ მასში სუბიექტურობა (სუბიექტური საწყისი) ცოცხალია და უსასრულო, იგი ისეთი ქმედებაა, რომელიც, სამყაროულობაში (ამქვეყნიურობაში) რომ იჭრება, ამ უკანასკნელს მხოლოდ უარყოფს და მხოლოდ იმ მხრე არის ქველით და გამამუალებელი, რომ ერთის წმინდა თავყანებას მოითხოვს. მაჰმადიანობის საგანი წმინდად ინტელექტუალურია, იგი ვერ იგუებს აღაპის ბატს ან წარმოდგენას. მაჰმადი წინასწარმეტყველა, მაგრამ კაცია, იგი არაა ამაღლებული ადამიანურ სისუსტეებზე. მაჰმადიანობის ძირითადი შტრისების რაიხეში შედის ის აზრი, რომ სინამდვილეში ვერაფერი იქნება მღვრადი, არამედ ყოველგვ მოქმედებს, ცოცხალია და უსასრულოდ ვრცელ სამყაროში იშლება, ასე რომ იმ ერთის თავყანისცემაში ის ერთადერთი კეობარია, რომელმაც ყოველივე ეს უნდა შეკრას. ამ სურეცსა და ძლიერებაში გამქრალია ყოველივე ზღუდე, ყოველივე ერთეული და კასტური სხვაობა. ფასი აღარა აქვს არც გვარტობისა, არც პოლიტიკურ უფლებას, რომელსაც დაბადება ან ქონება გვანიჭებს, არამედ ადამიანი ფასობს მხოლოდ როგორც

მორწმუნე. მაჰმადიანობაში მარტვი მცნებებია: იმ ერთის მიმართ ლოცვა, მისი რწმენა, მარხვა, განკურნობის სხეულებრივი გრძობის განგდება, მოწყალების გაცემა ანუ საკუთარი პარტიკულარული ქონების დათობა. მაგრამ უმაღლესი დამასხურებაა სარწმუნოებისათვის სიკვდილი. ვინც ბრძოლაში დაიდუღება, იმისთვის სამოთხე უზრუნველყოფილია.

როგორც ამ ვითარების გამო ადამიანები ეკლესიას არიან დაცილებულნი, ისე მოშორებულნი არიან ყოველფე წმიდისგან, რაკი სამღვდლოება საერთოდ გამაშუალებელია ერთის მხრე ადამიანებსა და მეორეს მხრე ქრისტესა და ღმერთს შორის. ერისკაციც ვერ მიჰპირათეს ამ უკანასკნელს უშუალოდ თავის ლოცვაში, არამედ ამისათვის შემდგომელი (ჰომავი) პიროვნებები, მიცალალებული, განსრულებული - წ მ ი ნ დ ა ნ ე ბ ი ს სჭირდება. ასე წარმოიქმნა წმინდანთა თაყვანისცემა და მასთან ერთად - ის უხვიორ მასა ზღაპრებისა და ტყუილებისა, რომელიც წმინდანებსა და მათს ამბებს ეჭება. აღმოსავლეთში ადრინდარე გამეფებული იყო ხატთა თაყვანისცემა და მან თავი დაიმტკიცა ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგაც. ხატი - გამოსასრულება, - მტვად ეკუთვნის წარმოდგენას (ვიდრე პოსტია), მაგრამ უხეში დასავლური ხატურა კიდევ უფრო უშუალო რასზე მოითხოვდა ჭერტისათვის და ასე ვანდა რელიქვიების თაყვანისცემა. შუა საუკუნეებში ნამდვილი მკვდართა აღდგომის ხანა აღდგა. ყველა კეთილსახურ ქრისტიანს ჰხურდა, რომ ამგვარი მიწიერი წმიდა ნაშთის პატრონი ყოფილიყო. თაყვანების უპირველესი საგანი წმინდანთა შორის იყო დედა ღვთისა მარიამი. იგი, მართალია, წმინდა სიყვარულის, ღვთის მშვენიერი ხატებაა, მაგრამ მასზე კიდევ უფრო მაღალია გონი და აზროვნება, ხატის თაყვანების ფონზე კი იკარგებოდა ღვთისადმი ლოცვა გონს შვიანთ და თვით ქრისტე განზე რჩებოდა. ამგვარად, ის, რაც გამაშუალებელია ღმერთსა და ადამიანებს შორის, გარჯან რადმე იყო გატეხული და მიწნული. ამით კი უკუღმართდებოდა თავისუფლების პრინციპი და აბსოლუტური არათვისუფლება კანონი ხდებოდა. შემდგომი განსაზღვრულობები და ვითარებები მხოლოდ ამ პრინციპის შედეგებია. მოძღვრების ცოდნა, შეშენება ისეთ რადემა ჩათვლილი, რისი უნარიც გონს არ გააჩნია, ყოველფე ეს მხოლოდ ერთი წმინდის ხელშია, რომელიც მოწოდებულია, რომ ჭეშმარიტი და არა ჭეშმარიტი განსაზღვროს. რადგან ადამიანი მეტისმეტად მდარე რადემა მიწნული, რომელსაც ღმერთთან პირდაპირი მიმართების დამყარება არ ძალუძს, და როდესაც იგი ღმერთს მიჰპირათეს, მაშინ, როგორც უკვე თქვა ზემოთ, მას ამისთვის შუამავალი პიროვნება - წმინდანი - სჭირდება. ადამიანს, როგორც ასეთს, ღვთის მშვენიერებისა და მასთან მიხზლობის უნარმოკლებულად რომ მიიჩნევენ, ეს ღვთაებრივისა და ადამიანურის თავისთავად-ყოფით ერთიანობის უარყოფას ნიშნავს. ადამიანი რომ თავისთავად ამგვარად დაცილებულს ხედვს სიკეთისაგან, მისი სწრაფვა და ძალისხმევა უკვე გულის შემობრუნებისკენ არ დაღარა მიმართული, რაც იმ წანამდგარს გულისხმობს, რომ ადამიანში ღვთაებრივისა და კაცების ერთიანობა არსებობს, არამედ ადამიანს თვალწინ უყენებენ შემზარავი ფერებით და ხატულ ჯოჯოხეთის სატანჯულებს, რათა იგი თავის გადარჩენას ეცადოს, მაგრამ არა გამოსწორებოდა, არამედ გარჯანი რამით, სახელდობრ, შ ე წ ყ ა ე ბ ი ს - მ ო შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი თ (Gnadenmitte). მაგრამ ეს საშუალებები ერისკაცისთვის უცნობია, იგი მას სხვამ - ს ო მ დ ე ვ ა რ ე ბ ა უნდა მისცეს, ერისკაცმა მის წინაშე თავისი ქმედების მთელი პარტიკულარობა უნდა გადმოშალოს და მისგან უნდა გათავის, თუ როგორ უნდა მოიქცეს. ასე დაიკავა ეკლესიამ ს ი ნ დ ი ს ი ს ადგილი. იგი ინდივიდებს ბავშვებსავე ხელმძღვანელობდა და ეუბნე-

ბოდა, კაცო დამსახურებულ სატანჯველს თავისი თავის გამოსწორებით კი არ გადაურჩება, არამედ გარეგანი მოქმედებით, opera operata-ით („სწილილი საქმებით“, მთარგმნ. შენ.) ანუ ისეთი მოქმედებით, რომლებსაც იგი თავისი კეთილი ნების ძალით კი არ სწადის, არამედ ეკლესიის მსახურთა ბრძანებით: მების მოსმენით, ცოდვათა გამოსყიდვით, თვითგვემით (Büßungen), ლოცვათა წარმოქმნით, პილიგრიმოზით, ანუ სულ ისეთი მოქმედებით, რომლებშიც გონი არ არის და რომლებიც ამ უკანასკნელს აჩლუნგებენ, მით უფრო, რომ არა თუ მართოდან გარეგნულად სრულდებათ თვითონ, არამედ შეიძლება მათი შესრულება სხვასაც გადაეცისროს. ისიც კია შესაძლებლად მიჩნეული, რომ იმ აურაცხელი კეთილი საქმეებიდან, რაც წმინდანებს მიეწერებათ, ზოგიერთი შეიწყვიდით და ამით იმ მადლს ეწვიოთ, რაც ამ საინო მოქმედებებს მიაქვს. ასე მოხდა ყოველივე მისი გადადვლარბანა, რაც კეთილი და ზნეობრივია ქრისტიანულ რელიგიამში. აღამიანს მხოლოდ გარეგან მოთხოვნებს უყენებენ და ეს მოთხოვნები მხოლოდ გარეგანი წესით იმაყოფილებდა. ამგვარად, აბსოლუტური არათვისუფლების პრინციპი თვით თავისუფლების პრინციპში შეიტანება.

ამ გაუკუღმართებასთან დაკავშირებულია სასულიერო (გონით) და საერო (სამყაროული) პრინციპის აბსოლუტური გათიშვა საერთოდ. ღვთაებრივი სასუფეველი ორია - ერთი ინტელექტუალური, გულ-გონებას (Gemüt) და შემეცნებაში მოქმედელი, მეორე კი - ზნეობრივი (ზნევისუელი), რომლის მასალა და ნიადაგია სამყაროული (აშოფლიური) არსებობა. მხოლოდ მეცნიერებას ძალეუბა, რომ ღვთის სასუფეველი და ზნეობრივი სამყარო ერთ იდგად შეიცნოს და დაინახოს, რომ ღროს ამ ერთანობის განსახორციელებლად უზუშვი. მაგრამ კეთილშინაურებას, როგორც ასეთს, საქმე აშოფლიურთან აქვს. მართალია, ამ სუეროში იგი გამოდის მოწყალების (გულდმოზირების) სახით, მაგრამ ეს უკანასკნელი არც სამართლებრივად ზნეობრივი და ზნეობრივია, არც თავისუფლებაა. კეთილშინაურება ისტორიის გარეშე დგას და მას ისტორია არ გაანინა, რადგან ისტორია თავისი სუბიექტურ თავისუფლებაში თავისთავისათვის აქ-და-აწყოფო გონის სამეფოა, ვითარცა სახელმწიფოში განსახიერებელი ზნეობრივი სამყარო. შუა საუკუნეებში ღვთიურის ეს განამდვილება უკრ არ არსებობს, დაბირისპირება აქ მორიგებელია. ზნეობრივი სუერო აქ არარაულად არის მიჩნეული, - სახელმწიფოთი კი სუერო თავის ს ა მ ტვიშართლად უნიშვნელოვანეს პუნქტში: ერთი ზნეობრიობაა სიყვარული, ქორწინებით ურთიერთობის განცედა. უქორწინობა ზუნებას კი არ შეინაღდლებდა, არამედ ზნეობას. თუცა ქორწინება გულსადა წმიდა ქედებებს (საკრამენტებს) მიაკუთვნა, მაგრამ მან იგი მინც დაამდაბლა, რაკი უქორწინობა უფრო წმიდა რადმე მიიჩნია. მეორე ზნეობრიობაა მოქმედება, შრომა თავის სარჩენად. კაცის ღირსება იმაშია, რომ იგი თავის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფაში მხოლოდ თავის გარეგან, ქვეყანუ და განსჯაზეა დამოკიდებული. ამის საწინააღმდეგოდ, უფრო მაღლა იქნა დაყენებული უპოგარება (Armut, სიღარიბე), ინტერულება და უქობა, რითაც არაზნეობრივი კვლე წმიდად იქნა აღიარებული. ზნეობრიობის შესამე მომენტო ისაა, რომ მორჩილება მიმართულ იქნეს ზნეობრივს და გონიერულობაზე, რაც იმ კანონებისადმი მორჩილება, რომლებსაც მე სწორ კანონებად ვცნობ, და არა ბრმა დაქვემდებარება, საკუთარ ქვეყნში ცოდნისა და ცნობიერების გამოღვივების გარეშე. მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელი მორჩილება მიჩნეული ვეცლზე უცუთეს მორჩილებად, რითაც ხდებოდა ეკლესიის მიერ დაქსრუბელი არათავისუფლებისმიერი მორჩილების აღიარება; არათავისუფლებისმიერი მორჩილება, მორჩენუთათვის ეკლესიის მიერ თვითნებურად დაქსრუბელი, უფრო მაღლა დგებოდა, ვიდრე ტვიშართი თავისუფლებისმიერი მორჩილება.

ამგვარად, ეს სამი აღთქმა - უქორწინობისა, უპოგარებისა და მორჩილებისა - სწორედ იმის საწინააღმდეგოა, რაც უნდა ვოფილიყო, და მათში ყოველგვარი ზნეობრიობა დამდაბლებულია. ამით ეკლესია აღარ ხდებოდა გონითი (Geistig) ძალა, არამედ იგი მხოლოდ სასულიერო (Geistlich) ძალად იქცეოდა და მხოლოდური ინტერესებს მასთან გონისმოკლებული, ნებასმოკლებული და სიღრმესმოკლებული მიმართებადა რჩებოდა. ამის შედეგად ვეღვან ვხედავთ მანიკერებას, უსინდისობას, უსირცხვილობას, რდევას, რომელთა სრულ სურათს დროის მთელი ისტორია გვაძლევს.

ამგვარად, შუა საუკუნეთა ეკლესია მრავალმხრე წინააღმდეგობად მოჩანს. სახელმძღვანელო სუბიექტური გონი თუცა კი წამებას აბსოლუტური არათვის (აბსოლუტურის შესახებ მოწმობს), მინც, ამავე დროს, იგი სასრული და მორჩილებ გონია, ვითარცა აზროვნების უნარი (Intelligenz) და ნება. მისი სასრულობა იმით იწყება, რომ იგი ამ განსხვავებულობაში გამოდის (გვევლინება) და სწორედ აქ იწყება წინააღმდეგობა-გაუცხოებაც; რადგან ინტელიგენცია და ნება არ არიან გამსჭვალულნი ტვიშარ-

იტებით, ეს უკანასკნელი მათთვის მხოლოდ მოცემული რამ არის. აბსოლუტური შინაარსის ეს გარეგანობა ცნობიერებისთვის იმგვარად იჩენს თავს, რომ იგი მოიცემა როგორც გარეგანი გრძნობადი ნივთი, როგორც მდებარე (ბანალური) გარეგანი არსებული, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ ნივთს მაინც აბსოლუტურის მნიშვნელობის ქონა აქვს. გონს ხომ აქ სწორედ ეს აბსოლუტურობა მოეფიხება. წინააღმდეგობის მეორე ფორმა იქნება თვით ეკლესიაში, როგორც ასეთში, არსებული მიმართებას. ჭეშმარიტი გონი ადამიანში არსებობს, ება მ ი ს ი გონია, და ინდივიდი კულტში (კულტის აღსრულებაში) მოიაზრებს თავისთვის იმის უეჭველობას, რომ ეს გონი აბსოლუტურის იგივეობრივია, იმ დროს როცა ეკლესია მხოლოდ ამ კულტის მასწავლებლისა და მომწესრიგებლის როლს იღებს თავისთავზე. მაგრამ აქ (შუა საუკუნეებში), პირუკუ - სასულიერო წოდებას, ინლითა ბრამინების მსგავსად, ხელთ აქვს ჭეშმარიტება. თუმცა მის იგი დაბადებით არა აქვს მიმადლებული, მაგრამ მოპოებული აქვს შემეცნებით, მოძღვრებების შეთავსებით, გარეგნით, ოღონდ იმგვარად, რომ ყოველივე ეს მაინც უკმაოა, (სამღვდელმშობლის მიერ ჭეშმარიტის) ფლობის ნამდვილი კონსტიტუირება გარდნული წესით, მფლობელის გონსმოკლებული ტიტულის მინიჭებითა ხდება. ეს გარდნული წესია მღვდელად კურთხევა, ასე რომ ეს წიდი-ყოფა (კონსერვაცია) ინდივიდს, არსებითად, გრძნობადი წესით მოუღის, განურჩევლად იმისა, თუ როგორია მისი მდლასმავარი - იგი შესაძლებელია ურწმუნო იყოს, უმართლოც და უმეცარიც გველა თვალსაზრისით. წინააღმდეგობის შესახებ სახეა თვითონ ეკლესია, რამდენადაც მას, როგორც გარეგან არსებულს (ყოფიერს), უზარმაზარი შექლება დაუგროვდა, რაც სიცრუეს წარმოადგენს, რადგანაც ეკლესია, არსებითად თუ მიუვლდებით, სიმდიდრეს ზიზღით ეკიდება ან ჰმარაზებს, რომ ეკიდებოდეს.

ასევე წინააღმდეგობებში გახლეჩილი გახლავთ შუა საუკუნეთა სახელმწიფოც. ზემოთ ვილაპარაკეთ საიმპერატორო ძალაუფლებაზე, რომელიც, თითქოს, ეკლესიის გუჯრით უნდა მდგარიყო და მისი მარჯვენა ხელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ აღიარებულ ძალას ის წინააღმდეგობა აქვს თავისთავში, რომ იმპერატორობა ცარიელი პატრია, იგი სერიოზულობას მოკლებულია თვით იმპერატორის თვალში და იმათ თვალში, ვისაც იმპერატორის შემეგობით თავისი პატივმრავალი მიზნების რეალიზაცია ჰქონს, რადგანაც ენება-თაღელვა და ძალა ყოველივე ამისგან დაბრუნებულად არსებობენ და სრულყოფითად არ ექვემდებარებიან ამ წარმოდგენას, რომელიც მარტოოდენ ზოგადად რჩება. მ ე ო რ ე ც, ის საკერძო, რომელიც ადამიანს ამ სახელმწიფოზე აბამს და რომელსაც ზემოთ ერთგულება ეწოდებოდა, სათარეშო ასპარეზია ადამიანთა გულისწინაღის თვითნებობისა, რომელსაც არაერთი იბიექტური მოვალეობები არ უცენია. ამით კი ერთგულება უადრეს არაერთგულად იქცევა. შუა საუკუნეთა გერმანული პატიოსნება ანაზღად იყო უცელები, მაგრამ თუ მას უფრო ახლოდან განვიხილავთ ისტორიის მანძილზე, მაშინ მას *punica fides* (პუნიკური ერთგულება) ან *fraeca fides* (ბერძნული ერთგულება) უნდა ეწოდებოდა, რადგანაც მეფე-მთავრები და ვასალები ერთგულნი და პატიოსანნი არიან მხოლოდ თავიანთი თემოთნობის, საკუთარი ზიარისა და ენებების მიმართ, მაგრამ ორგულნი არიან იმპერიისა და იმპერატორის მიმართ ერთგულება, როგორც ასეთი, მათი სუბიექტური თვითნებობის გამართლებას შეიცავს, სახელმწიფო კი ორგანიზებული არაა ვერც როგორც ზნეობრივი მივლი. მ ე ს მ ე წინააღმდეგობა ინდივიდთა წინააღმდეგობა თავის შიგნით - წინააღმდეგობა ერთის მხრე კეთილსამზურებისა, უშეწინებურს და უშინაგანესი რელიგიური მოწინააღმდეგობისა (*Andacht*), მეორეს მხრე კი ჭკუა-გონების და ნების სრული ბარბაროსობისა. ამ დროს ადამიანებში უკვე არსებობს ზოგადი ჭეშმარიტების ცოდნა და, ამასთანავე, მიუხედავად ამისა, არსებობს უეჭველად წარმოდგენა სასულიეროსა და საეროს სახეზე: არსებობს ენებათა უსაბარელი ბოძოქრობა და ამავე დროს - ქრისტიანული სიწმიდე, რომელსაც ყოველთვის ამქვეყნიურზე ხელი აუღია. ასე წინააღმდეგობრივია და სიცრუითა სავსე გახლავთ შუა საუკუნეების ხანა და დიდი უკუმონობაა ჩვენი დროის მხრიდან, მისი დიდად მოწინააღმდეგობა და საუკუნოვან მინჯვას რომ მოვად გვექცევა. გულუბრყვილო ბარბაროსობა, ზნეთა ველურობა და ბავშვური ფანტაზიები ადამიანთათვის არ არის, არამედ მხოლოდ შესაბარლისა; მაგრამ სულის უმადლესი სიწმიდე, რომელიც უსაზიზღრესი ევლურობითა შებღალული, უკვე ცოდნაში შემოყვანილი ჭეშმარიტება, რომელიც სიცრუესა და თემოთნობის თავის იარაღად გაუხდია, შეადრესდა გარბებისაწინააღმდეგო, ევლური, ბიძგური მოქმედებები, რომლებიც რელიგიური მოტივებით საბუთდება და მხარდაჭერას პოულობს - ეს კი ერთ-ერთი გველაზე უარესი სისამაგლე გახლავთ რაც კი ოდესმე ქვეყნად ნახულა და რისი გაგებაც - და, ადენად, გამართლებაც - მარტოოდენ ფილოსოფიას ძალეშ. რადგან ყოველივე ეს ის აუცილებელი დაპირისპირება გახლავთ რომელიც გარდაუ-



კვლად უნდა შეიჭრას სიწმიდის ცნობიერებაში, როცა ცნობიერება ჯერ კიდევ პირველქმნილი და უშუალოა, და რაც უფრო ღრმად კუმპარიტება, რომელთანაც გონი მიმართებაში დგას მხოლოდ როგორც თავისთავად-შეოფი (რადგანაც მას ჯერ კიდევ არ შეუცნია თვითონ თავისი ამ სიღრმეში ყოფნა), მით უფრო გაუცხოებულია იგი თავისთავისადმი ამ თავის სიღრმეში ყოფნისას. მაგრამ მხოლოდ ამ თავის გაუცხოებაზე გამოძველ ქვეა იგი თავის კუმპარიტ შერიგებაში.

ამგვარად, ჩვენ შევხვდეთ ეკლესიას როგორც გონის რ ე ა ქ ე ი ა მის წინაშე არსებული საერო სამყაროს მიმართ; მაგრამ ეს რეაქცია, თავისთავად, იმგვარია, რომ იმას, რის წინააღმდეგაც იგი მიმართულია, იგი მხოლოდ იქვემდებარებას, მაგრამ ვერ გარდაქმნის. გონით საწყისი რომ თავისი საკუთარი შინაარსის გაუკლმარებობის წყალობით ძალაუფლებას მოიპოვებს, ამ დროს საერო ძალაუფლებაც კონსოლიდაციას განიცდის და ფ ე ო დ ა ლ უ რ ს ი ო ს ტ ე მ ა დ ყალობდება. ეინაიდან აღმაძიებელი მათს ურთიერთსაც ინფორმაციას მათ-მათი ინდეფინაუალური ძალის ანაბრად დაუტოვებია, ყოველ წერტილში, რომელსაც კი ისინი ლამობენ, რომ ამ ქვეყნად თავიანთ ადგილი შეინარჩუნონ და ფეხზე დადგნენ, ე ნ ე რ გ ი ა ზ ე დ ა მ ო კ ო დ ე ბ უ ლ ი ხდება; მაგრამ თუ ინდეფინს კანონები კი არ იცავს, არამედ მხოლოდ მისი საკუთარი ძალისხმევა, ამას საყოველთაო მოძრაობა, გამოცოცხლება, აფორმაქება-აქტიუობა მოჰყვება. რაკი ადამიანები ეკლესიას წყალობით დარწმუნებულნი არიან, რომ მარადი ნეტარება განტარებული აქვთ, რისთვისაც გონით (სულიერად) მორჩილებას გარდა არაფერს სჭირდებათ, ამით კიდევ უფრო ლაღდება მათი მისწრაფება ქვეყნიური საამოუნებისკენ, მით უფრო, რომ ეს სულის ცხინებას არავითარ ხიფათს არ უქადის. რადგან ყველა თვითნებობისთვის, ყველა მტრუბელობისა და მანკიერებისათვის, რასაც კი კაცე ჩაიდნეს, ეკლესიას მოუპოვება მ ო ტ ე ვ ე ბ ა, თუკი მას ამას სთხოვენ.

მეორეთმეტადან მეტამეტე საკუნემდე გაჩნდა ერთი მისწრაფება, რომელმაც მრავალნაირად გამოავლინა თავი: თემებმა (ადგილობრებმა საზოგადოებებმა, Gemeinden) დაიწყეს უზარმაზარი ტაძრების შენება - საკრებულო ტაძრებისა (Dom), რომლებსაც მთელი კრებული უნდა დაეტიათ. ზუროთმობდებრება ფრველთვის ის პირველი ხელგუნებაა, რომელიც გარკვეულ სახეს აძლევს (რელიგიის) არაარგანულ მომენტს - დეობის სადგომის შექმნას. ამის შემდეგაც ცდილობს ხელგუნება, რომ თვით დებრით, მისი ობიექტური მხარე კრებულს წარმოუდგინოს. იტალიის, ესპანეთისა და ფლანდრიის სანაპირო ქალაქები იცუხეობებულ სახლგო ვაჭრობას ქვედგნენ, რომელიც, თავის მხარე, ხელგუნების დიდ გამოკლესიას ნიჭყდა. მეცნიერებებმაც მოცოცხლება დაიწყეს. დაარსდა ასევე სამედიცინო სკოლებიც. ყველა ამათ შექმნას საფუძვლად უდევს ერთი საერთო პირობა - ქ ა ლ ა ქ ო ა წარმოქმნა და მათი მ ნ ო მ ე ვ ე ლ ო ბ ო ს ზრდა. ამ თემას ახალ დროს დიდი ჟურადლება ეთმობა. ქალაქთა ამგვარი გაჩენისა და ზრდის დიდი მოთხოვნილება არსებობდა: ისევე, როგორც ეკლესია, ქალაქების განვითარებაც რეაქცია იყო ფეოდალური ძალმომრებობის წინააღმდეგე. სახელდებრ ქალაქები ის პირველი კანონიერი ძალაა, რომელიც ამ ძალმომრებობას წინააღმდეგობას უწევს. ზემოთ უკვე ვახსენეთ ის გარემოება, რომ ძლიერი სხვებს აიძულებდნენ, მათი მფარველბა ეტებნათ. ასეთი დამფარავი წერტილები იყო ციხე-სმაძარგებნი, ეკლესიები და მონასტრები, რომლებსაც გარემებოც იკრებებოდნენ და ცაივს მამიებულები, ამიერიდან რომ მექალაქებში - ციხის პატრონობა და მონასტრობა წინაშე ამ მფარველობის საშახურავლებულები - ხლებოდნენ. ასე წინაომევა მრავალ ადგილას ადამიანთა მგარი თანაცხურებდა. ძველი, რომაული ზანიდან იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთსა და გერმანიაში რაინის გაფოლებით ჯერ კიდევ ბერი ქალაქი და სასახლე იყო შემორჩენილი, რომლებსაც თვდაპირველად მუნაცაპალური უფლებები ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ დაკარგეს ეს უფლებები და ფოტებების მმრძნებლობის ქვეშ მოექცნენ. ქალაქებიც ისევე იქცნენ ყმებად, როგორც სოფლის მაცხოვრებლები.

მაგრამ მფარველობის პრინციპიდან ამოზარდა თავისუფალი საკუთრების პრინციპი, ანუ, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, არათავისუფლებამ თავისუფლება წარმოშვა. დინასტებსა და კეთილშობილ ბატონებს, საკუთრე რომ ითქვას, არც გააჩნდათ თავისუფალი საკუთრება. მათ ხელთ იყო ყოველგვარი ძალაუფლება მათ ქვემეგრდობთა მიმართ, მაგრამ ამავე დროს ისინი უფრო დიდთა ვასალები იყვნენ და ამ უკანასკნელთა წინაშე მოვალეობები ეცისათო თმცადა ამ მოვალეობების მხოლოდ მაშინ ასრულებდნენ, როცა მათ საამისოდ იძულებულს ვახდიდნენ. ძველმა გერმანებმა მხოლოდ თავისუფალი საკუთრება იცოდნენ, მაგრამ ეს პრინციპი შემდეგ სრულ არათავისუფლებად შეიცვალა. ახლად ეხედეთ თავისუფლების გრძნობის გამოცოცხლების მცირეოდენ ჩანასახებს: ინდეფინებმა, რომლებიც მათი დასამუშებელი მიწის სახლთვის გამო

დაახლოებული იყვნენ, ერთგარი კავშირები, კონფედერაციები და კონიურაციები (შეფუცულობები) შეკრეს. ისინი თანხმდებოდნენ, თავისთავისთვის გაეკეთებინათ ის, რასაც მანამდე მარტო ბატონისთვის აკეთებდნენ, და თავისთავისთვის ყოფილიყვნენ ის, რაც მანამდე მხოლოდ ბატონისთვის იყვნენ. პირველი ერთობლივი საქმე ის იყო ხოლმე, რომ შენდებოდა სამი კი, რომელზედაც ზარს კიდებდნენ. ზარის ზმაზე ყველანი უნდა შეკრებილიყვნენ. ამგვარად, კუმპოდა, კომშნულესა ერთგარი მილიციის შექმნა წარმოადგენდა. შემდგომი განვითარება ისაა, რომ მამასხლისა, ნაფუცა (Geschworen), კონსვარიატი, კონსვარიატი შემდგომი მმართველობა იქმნებოდა და ყალიბდებოდა საერთო საღარო, იკრიბებოდა გამოსადეგები, ბაგი და ა.შ. ავლდნენ თხროლებს და ამწებდნენ ვალენტებს, როგორც საერთო თავდასაცე საშუალებებს. ცალკეულ კაცს ვერაძლეა დამოუკიდებელი სიმაგრის შექმნა. ასეთი ერთობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ორგანულია მიწათმოქმედებისგან განსხვავებული საჭიანობისათვის - ხელოსნობისათვის. გარდუვალი იყო, რომ ხელოსნებს მალე უპირატესობა აღმოაჩინდათ მიწათმოქმედთა წინაშე, რადგანაც ამ უკანასკნელებს საშუაოზე ძალად მიუერეკობდნენ, პირველი კი საკუთარი ნებით შრომა, შუვაითობა და მოსაპყრებელი შემოსავლისადმი ინტერესი ანახისაუბდათ. ადრე ხელოსნებს თვით თავიანთი შრომის გაყიდვის უფლებაც კი ბატონისაგან უნდა გამოეთხოვათ და ამ თავისუფალი ბაზრის მიცემის საფასურად ამის შედეგად მისთვის გარკვეული წილი უნდა ეხადათ. ვისაც საკუთარი სახლები ჰქონდა, მემკვიდრეობისთვის კარგა დიდი პროცენტი უნდა გადაეხადა ბაჟად. რაც კი შემოსავალი და გასავალი იყო, ყველაფერზე ბატონები დიდ პროცენტს იღებდნენ, ხოლო ვხათა უსაფრთხოების გარანტიისათვის მათ ბადრავის ფული ეკუთვნოდათ. ეს კავშირები რომ შედეგში უფრო გამძლიერდა, დაიწვეს ბატონებისაგან ამ უფლებათა გამოხცივა ან ძალად წართმევა, წოდებებმა თანდათანობით გამოასხივდეს ფასად შეიძინეს საკუთარი ოურსიდებიც და ამასთანვე თავი დაიხსნეს ყოველგვარი გამოსადეგისა, ბაგისა და პროცენტისაგან. ყველაზე დიდხანს იმ წესმა ვაძობ, რომ წოდებებს მეფე და მისი ამაღა უნდა შეენახათ, როდესაც იგი მათ ქალაქში იმყოფებოდა, და ასევე - წერილ-წერილი დინასტეებიც. შემდგომი ხელოსნობა დაიყო ა მ ქ რ ე ბ ა დ (Zünfte). ამ უკანასკნელთა მოკვება თა-თავისი კერძო უფლებათა-შეგატეხები ჰქონდათ. ქალაქებს მიერ ამგვარ უფლებათა მოკვება ის დიდად შეუწყო ხელი იმ განხეთქილებებში, რაც ეპისკოპოსთა არჩევის ან სხვა საქმეების გამო ხდებოდა ხოლმე. სახელდობრ, თუ ორი კანდიდატიდან ერთი იყო ასარჩევი, თითოეული მათგანი ცდილობდა მოქალაქეების მიზნობას მათთვის პროვილგეების მინიჭებისა და გამოსადეგისგან განთავისუფლების გზით. შემდგომი ჩნდება აქა-იქ ქალაქების მოშუღლეობა სამღვდელთაგანსთან - ეპისკოპოსებსა და აბატებსთან. ზოგ ქალაქში სამღვდელთაგან ბატონობა შეინარჩუნა, ზოგში მოქალაქეებმა გაიმარჯვეს და აბატისუფლებამ მოიპოვეს. ასე, მაგალითად, კიოლნმა თავისთვის უფლა თავი თავისი ეპისკოპოსისაგან, მაინცმა კი ვერა. თანდათან ქალაქები იმდენად გამძლიერდა, რომ თავისუფალ რესპუბლიკებად იქცა ჯერ იტალიაში, შემდეგ გერმანიაში და საფრანგეთში. მალე მათ თავისებური დამოკიდებულება ჩამოაყალიბდათ თ ა ვ ა დ - ა ზ რ ა ა უ რ ო ბ ა ს თ ე. ეს უკანასკნელი ქალაქთა კორპორაციების შეუერთდა და დამოუკიდებელი ა მ ქ ა რ ი შეადგინა, როგორც ეს, მაგალითად, ბერნში მოხდა. მალე იგი განსაკუთრებულ ძალაუფლებას წაეტანა და გაბატონებაც შეძლო. მაგრამ ამას აუჯანყდნენ მოქალაქეები და მმართველთა თვითონ ჩაიგდეს ხელში. მღვდლარმა მოქალაქეებმა (Populus crassus) თავად-აზანსურობა გამოიჩინეს მმართველობიდან. მაგრამ როგორც კეთილშობილნი იყვნენ დაყოფილი დაჯგუფებებად, პირველ ყოვლისა - გველუგებად და ვიბელინებად (პირველი მათს ემზარებდნენ, მეორენი - იმპერატორს), ასევე მოქალაქეებიც სხვადასხვა დაჯგუფებებად დაიყვნენ. გამარჯულებული დაჯგუფება დამარცხებულს გამოიჩიხუდა ხოლმე მმართველობიდან. პატრიციულმა კეთილშობილთა (Adel კეთილშობილთა ფენამ), რომელიც დინასტ კეთილშობილთას (თავად-აზანსურობას. მთარგმნ.შენ.) ებრძოდა, მმართველობიდან გამოიჩიხა მღაბი ხალხი და, ამგვარად, საკუთარი კეთილშობილებზე (თავად-აზანსურობაზე) უკეთ არ მოექცა მას. ქალაქების ისტორია წყობათა გამუდმებული მონაცვლეობის ისტორიაა იმისდა მიხედვით, თუ მოქალაქეთა რძელი ნაწილი, რომელი დაჯგუფება აღწევს უპირატესობას. თავდაპირველად მოქალაქეთაგან არჩეული ჯგუფი (Ausschuss კომიტეტი) ირჩევდა ქალაქის მმართველ პირებს, მაგრამ ვინაიდან ამ არჩევნებისას ყოველთვის შტეტი გავლენა იმ პარტიას აღმოაჩინებოდა ხოლმე, რომელიც იმ დროს უფრო ძლიერი იყო, მიუკერძოებელი მოხელეების დასაყრდენად სხვა საშუალება აღარა არჩებოდა რა ვარდა იმისა, რომ მოსამართლეებად და მმართველებად (Potestaten) უცხო მხრის ხალხი აერჩიათ. ხშირად ასეც მომხდარა, რომ ქალაქებს უცხო მთავრები აურჩევიათ თავიანთ ბატონ-პატრონებად და Signoria (უზენაესობა) მათთვის გადაუციათ. მაგრამ

ვევლა ეს ზერხი მცირე დროის მანძილზე ჭრიდა. მთავრები მალე იწყებდნენ თავიანთი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას პატრიოტული ზრახვების განხორციელებისა და ენებთა დაკმაყოფილების მიზნით, რის გამოც რადიკალიზმს წლის შემდეგ ისევე კარგადნენ ზოლზე ამ ძალაუფლებას.

ამგვარად, ქალაქთა ისტორია ერთის მხრე განსაკვიფრებლად და უსანიტერესოს სურათს გვიძლავს თვალწინ ცალკეული სახარეო ან დიდებული სასიათებისა, მე, არ მხრე კი მისი გადმოცემა, რომელიც არ შეიძლება თავისი ფორმით ქრონიკისებრი არ იყოს, უადრესად მოსაწყენია. თვალს რომ მივადევნებთ იმ მოუხეხარსა და ცვალებად მოძრაობას, რაც ქალაქების შინაგან ცხოვრებაში ხდებოდა, დაჯდუფებათა გამუდმებულ ბრძოლას, გაკვირვებას იწყვეს, როგორღა იყო, რომ, მეორეს მხრე, ასე დიდებულად ვითარდებოდა და ყოვალ მწვეყლობა და ვაჭრობა ზღვასა და ხმელზე. ამ ორ სხვადასხვა მოუღენას ერთი და იგივე საწყისი - სიოცილსა და შინაგანი ენერჯის საწყისი - კვებავს.

ჩვენ დაინახეთ, რომ ქველსა, რომლის ძალაუფლებაც ვველა ქვეყანაზე ვრცელდებოდა, და ქალაქები, სადაც პირველად დაიწყო სამართლებრივი (უფლებრივი) მდგომარეობის განვითარება, ის ძალები იყვნენ, რომლებმაც პირველებმა ირეაგირეს მეფე-მთავართა და დინასტია წინააღმდეგ. ამით მოქმედებას მოჰყვა მეფე-მთავართა რეაქცია ამ ახლად მომავრებული ძალების მიმართ. იმპერატორს პაპისა და ქალაქების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულს ხედავთ. იმპერატორი ამ ეპოქაში მთელი ქრისტიანული ძალის, ანუ ქრისტიანული საერთო ძალის, სათავეში მდგომად ჰყავს წარმოდგენილი, პაპი კი - მისი სასულიერო ძალაუფლების მეთაურად. მაგრამ ეს უკანასკნელიც, თავის მხრე უკვე საერო ძალად ქცეულა. თეორიის მიხედვით უღაფო იყო, რომ საქრისტიანოს მეთაური რომის იმპერატორია, რომ მას აქვს ხელთ dominium mundi (მსოფლიო მპრობებლობა. მთარგმნ.შენ.) და რომ, რაკი ყველა ქრისტიანული ქვეყანა რომის იმპერიას ეკუთვნის, მას ყველა მეფე და მთავარი უნდა დაემორჩილოს მოსაწონსა და მართებულ საქმეში. იმპერატორებს ეჭვი არ შეუტანიათ თავიანთი ამგვარი ავტორიტეტის მართებულობაში, მაგრამ იმდენი გონიერება შესწევდა, რომ სერიოზულად არ ცდილიყვნენ ამ თავიანთი წოდების მიერ მოცემული უფლებების რეალიზაციას. მიუხედავად ამისა, ლიტონი წოდება რომის იმპერატორისა მათ მაინც იმდენად უღირდათ, რომ მთელი ძალით ლაშობდნენ მის დამტკიცებას თვით იტალიაში. განსაკუთრებით ოტტონებს ჰქონდათ შესისხლზორცელები რომაული იმპერიის გაგრძელების იდეა და აქედანმდებოდა მოუწოდებდნენ გერმანულ მეფე-მთავრებს რომში ლაშქრობისაკენ. ეს უკანასკნელნი მათ ხშირად ზურგს უქცევდნენ ზოლზე, რის გამოც იმპერატორები იძულებულნი ხდებოდნენ სამარცხინო უკან დაეხიათ. ასეთავე იმედგაცრეებას განიცდიდნენ ამით იტალიელები, რომელთაც იმედი ჰქონდათ გერმანელების დახმარებისა ქალაქებში ბრბოს (პლებისს) გაბატონების წინააღმდეგ, რომელიც ყველგან იყო გავრცელებული. იტალიელმა ხელმწიფებმა, რომელთაც იმპერატორს მოუწოდეს თავიანთი ქვეყანაში და დახმარებას შეჰპირდნენ, აგრეთვე მიატოვეს იგი გაჭირების დროს. ისინი, ვინც მისგან სამშობლოს ხსნას ელოდა, ახლა მოთქმას მოჰყენენ იმის გამო, რომ მათი მშენიერი ქვეყანა ბარბაროსებმა გადათელეს, მათი განათლებული ზნე-ჩვეულებები ფეხით დათრგუნეს და თავისუფლებასა და სამართლიანობასაც დაღუპა უწერია მას შემდეგ, რაც იმპერატორმა მათ უღალატა. განსაკუთრებით გულის შემძვრელი და ღრმა ის ჩოელი, რომელსაც იმპერატორების მიმართ დანტე გამოთქამს.

მეორე პოზიცია იტალიის მიმართ, რომლის რეალიზაციისათვისაც, პირველისსთან ერთად, ვველავ შეტად იბრძოდეს დიდმა შეგებმა პოპულარულმა იდეამ, იყო მისწრაფება, რომ ეკლესიის ძალა საერო საქმეებში, რომელსაც უკვე დამოუკიდებლობა ჰქონდა მოპოვებული, ისევე სახელმწიფოს დაქვემდებარებულად. პაპის ტახტი საერო ხელისუფლებას და საერო ბატონობას წარმოადგენდა. ამიტომ იმპერატორის მით უფრო დიდი პრეტენზია ჰქონდა, რომ მას დაქვითებოდა პაპის არჩევა და მისი აღჭურვა საერო ძალაუფლებით. იმპერატორები სახელმწიფოს უფლებებისათვის იბრძოდნენ, მაგრამ ამავე დროს იმ საერო ძალაუფლებას, რომელსაც ებრძოდნენ, ისინი ექვემდებარებოდნენ როგორც სასულიეროს. ამგვარად, ეს ბრძოლა მარადი წინააღმდეგობა იყო. წინააღმდეგობრივი იყო როგორც მხარეთა მოქმედება, რომელშიც სერიოზობა კვლავ და კვლავ ახალი ძალით აფეთქებული მტრობა ენაცვლებოდა ზოლზე, ისე ბრძოლის საშუალებებიც, რადგან ის ძალა, რომელთაც იმპერატორები პაპებს ებრძოდნენ, - მათი ქვეყნად იყო და მათი მსახური მთავრები, - თვით იყო გათრეული. ესენი, ერთი მხრე, ხელქვეითნი იყვნენ იმპერატორისა, მეორე მხრე, უფრო მაღალი კავშირის გზით, - მისი მტრისა. მთავრობის ინტერესს შეადგენდა იგივე პრეტენზია - სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, - და თუმცა იმპერატორის

უდგენენ მზარში მანამდე, სანამ საქმე იმპერატორობის ცარიელ სახელს ან რაიმე კერძო გარემოებებს ეჭობოდა, ვთქვათ ქალაქების მოთრუნვას, წამსვე ზურგს უქცევდნენ მას, როგორც კი სერიოზულად დადგებოდა საკითხი იმპერატორის ძალაუფლების დამოკიდებულებისა სამღვდლოთა საერო ძალაუფლებასთან ან სხვა მთავართა ძალაუფლებასთან.

როგორც გერმანულ იმპერატორებს იტალიაში თავიანთ ტიტულის რეალიზება ესურდათ ისე იტალიასაც თავისი პოლიტიკური ცენტრი გერმანიაში პქონდა. ამგვარად, ეს ორი ქვეყანა ერთმორებს იყო გადაჯაჭვული და არც ერთ მათგანს თავის შიგნით კონსოლიდაცია არ შეეძლო. 3 0 3 ე ნ შ ტ ა უ ფ ე ნ თ ა ბრწყინვალე ეპოქაში ტახტზე დიდი ხასიათის ინდივიდები ისხდნენ, როგორც იყო ფრიდრიხ ბარბაროსა. ამ ადამიანში იმპერატორულმა ძალაუფლებამ უდიდესი ბრწყინვალეობით იზიანა თავი და მას შესწევდა უნარი, რომ თავისი პიროვნული თვისებებით ქვეყნდროში მთავრებიც კი თავისკენ მოეზიდა. მაგრამ რაც უნდა ბრწყინვალედ ჩანდეს პოპენტაუფენთა ისტორია, რაც უნდა ხმაურიანი და ზათიანი ყოფილიყოს მათ ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, ყოველივე ეს, ერთაანად დანახული, მინც ამ საგვარეულოსა და მთელი გერმანიის ტრაგედია მხოლოდ, რომელსაც დიდი გონით (სულიერი) შედგვი არ მოჰყოლია. მართალია, წოდებები აიძულეს იმპერატორის ძალაუფლება ეცნოთ და მათი წარმომადგენლები რომაელის რაიხსთან დადგენილებათა ერთგულებას ფიცკულობდნენ, მაგრამ ეს ერთგულება მათ მხოლოდ მანამდე გაჰყვათ სანამ იძულება არსებობდა. მათ ვაღვებულება მხოლოდ იმპერატორთა ჭარბი ძალის უშუალო გრძობაზე იყო დამოკიდებული. გადმოგვცემენ, რომ როდესაც ფრიდრიხ I-მა ქალაქების დეპუტატებს ჰკითხა, განა არ დაიფიცეთ სამშვიდობო გადაწყვეტილებათა ერთგულებათ, მათ უპასუხეს: დიახ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამ გადაწყვეტილებათა შესრულება გვეწადო. შედგვი ის იყო, რომ კონსტანცის ზეით (1183) ფრიდრიხი იძულებული გახდა მომხდარიყო. შემდეგ იმპერატორს ეპისკოპოსისთვის, როგორც საერო მოსაკარგისათვის, ტემპორალიები (საერო შემოსავალი) უნდა გადაეცა საკარგად, ხოლო სასულიერო ძალაუფლებით აღჭურვა ჰაპის ხელთ იყო. ასე გადაწყდა ამ ხანგრძლივი დღეის ბედი საერო და სასულიერო განგებელთა შორის.

## თავი მეორე

### ჯ ე ა რ ო ს ნ უ ლ ი ლ ა შ ქ რ ო ბ ე ბ ი

ზემოხსენებულ ბრძოლაში ეკლესიამ გაიმარჯვა და ამით გერმანიაშიც ისევე დაამკვიდრა თავისი ბატონობა, როგორც დანარჩენ სახელმწიფოებში მოიპოვა იგი უფრო მშვიდობიანი წესით მან მმარანებლობა ჩაიგდო ხელთ ცხურების ყველა ვითარებაში, მეცნიერებაში და ხელოვნებაში, და გონით (სულიერი) განძეულობის უწყვეტ გადმოშლად იქცა. მაგრამ ამ განსრულების მდგომარეობაშიც კი ქრისტიანობა ნაკლოვანებას განიცდის და ისეთი მოთხვნილება უწდება, რომელიც აიძულებს, თავისთავს ვარუთ ისწრაფოს. ამ ნაკლებობის გასაგებად საჭიროა თვალი ისევ თვით ქრისტიანული რელიგიის ბუნებას მუავაყოფა, სახელდობრ, მის იმ მხარეს, რომლითაც მას ახლავს უკეთესი თვითონობიერებაში. ქრისტიანობის ობიექტური მოძღვრება ამ დროს უკვე ისე მტკიცედ იყო დადგენილი საეკლესიო კრებათა მიერ, რომ ვერც შუა საუკუნეთა ფილოსოფია და ვერც რომელიმე სხვა მას ვეღარაფერს შეუცვლიდა გარდა იმისა, რომ მას აზრის სიმაღლეზე აიყვანდა, რათა აზრის ფორმასაც შესწებოდა მასში (ამ მოძღვრებაში) თავისი დამაყოფილების პოვნა. მაგრამ ეს მოძღვრება თვითონ შეიცავს თავისთავში იმ მხარეს, რომ ღვთის ბუნება მასში შეიცნობა არა როგორც ამა თუ იმ წესით მიღმური რამ, არამედ როგორც ადამიანურ ბუნებასთან ერთობაშიაში აქ-და-აწ-მყოფი. მაგრამ ეს აქ-და-აწმყოფობა, ამასთანავე, გ ო ნ ი თ ი ს აქ-და-აწმყოფობა უნდა იფოს: ქრისტე, როგორც ეს კაცი, წახულია, მისი დროში აქარსობა ნამყოს ეკუთვნის, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ,



იმას ესწრაფოდა, რომ მოეპოვებინა ზემოხსენებული ინდივიდუალობის ეს ნამდვილი მწვერვალი. ამ მიზანმა მიასწრაფა დასავლეთი აღმოსავლეთისკენ და ჯვაროსნულ ომებში მხოლოდ ეს მიზანი მოქმედებს.

ჯვაროსნული ომები წამყვე თვით დასავლეთ სამყაროში, დაიწყო: მრავალი ათასი ებრაელი დახოცეს ან დაარბიეს. ამ შემზარავი დასაწყისის შემდეგ ქრისტიანები სალაშქროდ გვიდინენ. წინ მიუძღვოდათ ბერი, დანადგელი პეტრე ამინეული უზარმაზარი ზვრობის თანხლებით. ამ პროცესიამ უაღრესს უწესრიგობით გადაინარა უნგრეთი და სადაც ფეხი შედგა, ყველანა მარცვა-რბავს. მაგრამ მოლაშქრეთა მასა ძლიერ ჩამოდნა და კონსტანტინოპოლს ცოტამდა მიაღწია. მათი მოქმედების რაიმე გონიერულ საფუძველზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ შეიძლება. ზრბოს სწამდა, რომ ღმერთი უშუალოდ გაუძღვებოდა და დაიცავდა მას. აღფრთოვანებამ რომ ევროპის ხალხები თითქმის გაგვივებამდე მიიყვანა, ეს იქიდან ჩანს, რომ შემდეგ უამრავი ბავშვები გაეცქენნენ შრობებს და მარსელს მიაშურეს, რათა ხომაღლებში ჩამსხდარიყვნენ აღთქმულ ქვეყანაში წასასვლელად. მათმა მხოლოდ მცირე ნაწილმა მიაღწია დანიშნულების ადგილს. დანარჩენები ვაჭრებმა მონებად მიჰყიდეს სარკინოზებს.

ბოლოს დიდი შრომითა და უზარმაზარი მსხვერპლის ფასად ორგანიზებულმა ჯარებმა მიზანს მიაღწიეს: მათ დაიკავეს ყველა განთქმული წმიდა ადგილი, ბეთლემი, გეთსიმანია, გოლგოთა, თვით წ მ ი დ ა ს ა ფ ლ ა ვ ე ო ც ყ ვ ე. ყველა ამ ამბავში, ქრისტიანთა ყველა მოქმედებაში ის უზარმაზარი კონტრასტი იჩინდა თავს, რომელიც საერთოდ არსებობდა იმ დროს: უსაშინლესი ძალადობისა და ადვილახსნილი ხისასტიკიდან ქრისტიანთა ჯარი უცბად უეიდურეს თავდამდაბლებასა და სინანულში ვარდებოდა. ქრისტიანები, რომელთაც ჯერ კიდევ იერუსალიმის დახოცილი მოსახლეობის ხისხლი სწყუთავდა, მაცხოვრის საფლავთან პირქვე ემხოზოდნენ და გულამომჯდარნი ლოცულობდნენ მის მიმართ.

ამგვარად, საქრისტიანო დაუფლო შემადღეს სიკეთე. დაარსდა იერუსალიმის სამეფო და მასში მოსაკარგველობის სრული სისტემა იქნა უმადრეველი - სისტემა, რომელიც სარკინოზების წინააღმდეგ გამოსაყენებლად, რა თქმა უნდა, ყველა სხვაზე უარესი იყო: ჯვაროსანთა სხვა არმიამ 1204 წელს კონსტანტინოპოლი აიღო და იქ ლათინური სამეფო შექმნა. საქრისტიანობი თავისი რელიგიური მოთხოვნილება დაიკმაყოფილა, ამიერიდან მას დაუბრკოლებლად შეეძლო მაცხოვრის ნაფეხურებზე ეგლო. აღთქმული ქვეყნიდან ევროპაში მრავალი ზომადონის ტერიტორია მიწა წაიღეს. თვით ქრისტეს წმიდა ნაწილებს ვერ მოიპოვედნენ, რადგანაც იგი ადგა. უმაღლესი რელიკვიებად ქრისტეს არდაგი, ქრისტეს ჯვარი, დასასრულ - ქრისტეს საფლავი დარჩა. მაგრამ სწორედ აქაა, გრძობაღზე დამყარებული ფუფილიყ ამოსიყოფარება რომ მთავრდება. წმიდა საფლავთან საზღვარი ედება ლიტონ მუქედულებზე დამყარებულ ფუფულსვე ამპარტყენებას, აქ უკვე სერიოზულის სფერო იწყება. ა მ ი ხ (ამ გრძობადობის) ნეგატიურობაშია, შემობრუნება რომ იწყება და ეს სიტყვები რომ მართლდება: "შენ არ დაუნდებ, რომ შენი წმინდანი გაიხრწნეს". საქრისტიანოს განზრახული ჰქონდა, რომ საფლავის სახით თავისი უკანასკნელი ჭეშმარიტება ეპოუნა. ამ საფლავთან საქრისტიანოს კიდევ ერთხელ გაეცა ეს პასუხი, "რაისა (რატომ) ეძებთ ცხოველსა (ცოცხალს) მას მკვდართა თანა? არა არს აქა" (ლ.24.5-6). თქვენნი რელიგიის პრინციპი გრძობადობა, მკვდართან საფლავში კი არ გაეცო საბებათ, არამედ ცხოველ გონში, თქვენმეფო. აქ ჩვენ უხედავო, რომ დასრულისა და უსასრულოს შეკვეთილობის თვალუწყებენილი იდგა გონსმოკლებულ რადმე ქვეყელა, რომ უსასრულოს, როგორც ა მ ა ს, სასვებით ერთეულ გარჯან საგანში ეძებენ. საქრისტიანობი ჰპოვა ცარიელი საფლავი, მაგრამ არა სამყაროელის (ამსოფლოურის) და მარადიულის შეკვეთება, და ამის გამო მინ წმიდა ქვეყანა დაკარგა. საქრისტიანოს პრაქტიკული იმედგაცრუება შეხვდა და ის უძლევი, რაც ამან ნაყოფად გამოიღო, ნეგატიური ხასიათისა გახლდათ ეს, სახელდობრ, ის უძლევი იყო, რომ იმ ა მ ო თ ო ხ, რომელსაც ეძებდნენ, თურმე მხოლოდ სუბიექტური ცნობიერება წარმოადგინა ბუნებრივ აქარსობას და არა რამეღმე გარჯანი ნებით; რომ ეს ე ს, ვითარცა შემკერული (მაკვეთრებელი) სწურობის და საკეთნის, მხოლოდ პროწინების გონითი თავისთვის-მყოფობა და სხვა არაფერი. ასე მოდის სამყარო იმის ცნობიერებამდე, რომ ის ე ს, რომელიც დღითიორ ბუნებისაა, ადამიანს თვით თავისთავში აქვს საბებათ. ამით სუბიექტურობას აბსოლტური უფუფულობისილება ენიჭება და მის თავისთავადე ეძლევა ის განსაზღვრელობა, რომ მის ღვთაებრივთან მიმართება აქვს. ეს გახლდათ ჯვაროსნული ომების აბსოლტურნი ნაყოფი და აქედან იწყება თავისთვის ნდობისა და თვითმოქმედების ეპოქა. ქრისტეს საფლავთან დასავლეთი გ ა მ ო ე თ ხ ო ვ ა ადმოსკლევის და მისწვდა თავის პრინციპის - უსასრული სუბიექტური თავისუფლების პრინციპის ამის შემდეგ საქრისტიანო არადასრობს ადარ

გამოსულა, როგორც ერთიანი მთელი.

სხვაგვარი ჯვაროსნული ომები წარმოებად ესპანეთში სარკინოზთა წინააღმდეგ. ეს, უფრო, დაპყრობითი ომები იყო. ოღონდ მათში რელიგიური დანიშნულების მომენტიც ვრია. ქრისტიანები არაბებისაგან შევიწროვებულნი იყვნენ და ნახევარკუნძულის ერთ კუთხეში მიდგნობანი, მაგრამ ძალა იმით მოიცეს, რომ სარკინოზები ესპანეთსა და აფრიკაში მრავალგვარ ურთიერთობილანი იყვნენ ჩართვნი და ერთმანეთში გაათავებულნი. ესპანელები ფრანკ რაინდებს შეუკავშირდნენ და ხშირად თვს ესხმოდნენ სარკინოზებს. ამ ხშირმა შეხვედრებმა აღმოსავლეთის მხედრობასთან, მის თავისუფლებასა და სულის სრულ დამოუკიდებლობასთან ქრისტიანებსაც იგივე თავისუფლება შეათვისებინა. შუა საუკუნეთა რაინდობის უშემეხიერეს სანახაობას ესპანეთი ავთომლის თვალწინ და მისი გმირია ს ი დ ი. რამდენიმე ჯვაროსნული ომი, რომელთაც შოლოდ ზიზლის ეპოქა შეუძლია, სამხრეთ საფრანგეთის წინააღმდეგაც განხორციელდა. იქ მშვენიერი კულტურა და განათლება იყო განვითარებული. ტრუბადურთა წყალობით აქ ზნეთა თავისუფლება ვაჟოდა, ისევე როგორც ჰოქენშტაუფენების გვარის იმპერატორთა დროს გერმანიაში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფრანგებისას რაღაცა აფექტირებული იყო დაკარავდა, გერმანულს კი მეტი შინაგანობა ანახსოვებდა. მაგრამ ისევე, როგორც ზემო იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთში გავრცელდა ფანტასტიკური წარმოდგენები განწყონების შესახებ. ამიტომაც პაპებმა ამ ქვეყნის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომი იქადაგეს. წმ.დომინიკე წაუძღვა მრავალიცხოვან ჯარებს, რომლებმაც საზარლად დაარბიეს და დახოცეს ბრალიანი და უბრალო და აყვავებული ქვეყანა უდაბნოდ აქციეს.

ჯვაროსნული ომებით ეკლესიამ თავისი ძალაუფლება (Autorität) განასრულა. მან რელიგიისა და დღეთა ომის განსაკუთრებულობა (Verrückung) მოახდინა, ქრისტიანული თავისუფლების პრინციპი გულგონებათა უმართლად და უხერხულად დამონებად აქცია და მით თვითნებობა და ძალადობა ეკლესიის მეთაურებს ხელთ იარაღად მისცა იმის ნაცვლად, რომ გაეუქმებინა. ჯვაროსნული ომების დროს პაპი საერო ძალას სათავეში ედგა. იმპერატორიც, სხვა მეფე-მთავრებოთ, დაქვემდებარებული ფიგურის როლში იყო, სიტყვასა და საქმეში გადაწყვეტად კი პაპი რჩებოდა, როგორც წამოწყების თვალთ ხილული მეთაური. ზემოთ უკვე ვნახეთ, როგორ დაუპირისპირდნენ კეთილშობილი ჰოქენშტაუფენები თავისი ამაღლებული, რაინდული და განათლებული სულისკვრებით ამ ძალას, რომელსაც გონი წინააღმდეგობას ეწოდებოდა, და როგორ დაძლია ისინი ბოლოს ეკლესიამ, რომელიც საქმარისად ელასტიური აღმოჩნდა და მათი წინააღმდეგობა უკომპრომისოდ გატება. ეკლესიას ცხადი ძალით დამარცხება არ ეწყრა, არამედ იგი შიგნით უნდა დამარცხებინა გონს და მას დამხობა ქვეყიდან ეუბურებოდა. ქრისტეს გრძობადი აქ-და-აწყოფობის განცდით დაქმნაყოფილები მაღალი მიზანი რომ მიუღწეველი დარჩა, ამის იმთავითვე გარდუვალად უნდა შემეცირებინა პაპის პრესტიჟი. პაპებმა ვერც იმ მიზანს მიადრწესეს, რომ წიდა ადგილებს დიდნი ხნით დაპატრონებოდნენ. წმიდა საქმისთვის გულმხურავლება მეფე-მთავრებში შენდებდა. პაპები დიდის ტანჯვა-წამებით აახლებდნენ და აახლებდნენ მათდამი ომში მონაწილეობის მოთხოვნებს, რამდენჯერაც კი ქრისტიანი მხედრობა მათთვის გულის მომწყველელ დამარცხებას განიცდიდა. მაგრამ პაპთა მოქმედა-ჩივლი ამით იყო და ისინი ვეღარაფრებს აღწევდნენ. გონი, რომლის ღლრეღაც იმ უმაღლესი გრძობადი აქ-და-აწყოფობისადაც დაქმნაყოფილებელი დარჩა, თავისთავს ჩაუღრმავდა. ამით პირველი და უღრმესი განხეთქილება მოხდა. ამიერიდან სხვადასხვა მოძრაობათა მოწმენი ვხვდებით, როცა გონი, სცილდება რა შემზარავი და უგუნური არსებობის ფარგლებს, ან თავისთავშივე უკუიქცევა და დაქმნაყოფილებას თავისში ეძებს, ან ზოგადად უფლებამოსილი მიზნების სინამდვილეს მიამხურებს, რომლებიც სწორედ ამით თავისუფლების მიზნებსაც წარმოადგენენ. ახლა იმ მისწრაფებათა მათთობა გვაძრავს, რომლებიც აქედან წარმოიშვნენ: გონისათვის ეს იყო მოზადება, რომ თავის მიზანს - თავისუფლებას - მის უფრო მაღალ სიწმინდესა და უფლებამოსილებებში მისწვდომოდა.

პირველ ყოვლისა უნდა მოვისხენით ბერთა და რაინდთა ორდენების დაარსება, რომლებიც იმის განხორციელებებად იყვნენ ჩაფიქრებულნი, რაც ეკლესიას გარკვევით ჰქონდა გამოთქმული. ამ ორდენთა საშუალებით სერობულად უნდა გატარებულიყო ცხოვრებაში ჰიერებაზე, სიმადრებზე, სიამოვნებაზე ზელის ადგება, თავისუფალი ნების მოკვთა, რასაც ეკლესია უმაღლეს ღირებულებას ანიჭებდა. მონასტრები და სხვა ანგვარი დაწესებულებები, რომლებსაც ხელისაღების ეს აღთქმა ჰქონდათ დაკისრებული, ამსოფლიურობასა და რვეანში იყვნენ ჩაყვლულნი. მაგრამ ახლა კი გონმა მოიწაღა, ნეტარობის პრინციპის სვეროში

წმინდად გაენამდილეებინა თვისთავისი ის, რაც ეკლესიას ამოცანად ჰქონდა წამოყენებული. საამისოდ უახლოეს საბაბს წარმოადგენდა სამხრეთ საფრანგეთსა და იტალიაში წარმოშობილი მრავალრიცხოვანი მწვალებლობები, რომლებსაც ფანტასტიკური მიმართულება ჰქონდათ, და განუზრუნვლად მზარდი ურწმუნობა, რომელიც ეკლესიას ამ უკანასკნელზე ნაკლებ სახიფათო მტრად ესახებოდა (და ამაში იგი საესე-ბითი მართალიც იყო). ამ მოვლენების წაწინააღმდეგოდ ახალი დ ე რ თ ა რ დ ე ნ ე ბ ი ჩნდება, უმთავრესად ფრანცისკანელიზისა, - მათხურავი ბერებისა, რომლის დაპირისპირებაც, ფრანციკს ახსენლ-მა თავისი ცხოვრება უმაღლესი სიწმიდისათვის ჰიდილში გაატარა. განუზომელი აღფრთოვანებითა და ექსტაზით სულადგმულმა, მან იგივე მიმართულება მისცა თავის ორდენსაც. ამიტომაც ამ ორდენისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო უკიდურესი რელიგიური კდმა (Andacht), ყოველგვარ სიამოვნებუ-ბზე უკრთის თქმა, ამქვეყნიურობაში უფრო და უფრო მზარდი ჩართვისად წაწინააღმდეგოდ, მუდმივ წერთ-ნა ხორცთა გვეძამა და უდიდესი სიღარიბე (ფრანცისკანელი ბერები ყოველდღიურა მრავალრიცხოვან იარსენდ-ნენ თავს). ამ ორდენის გვერდით მის თანადროულადვე გაჩნდა დომინიკელთა ორდენი, წმ. დომინიკეს მიერ დაარსებული. მის საქმიანობას, განსაკუთრებით, ქადაგება შეადგენდა. მათხოვარი ბერები გასაცარი სისწრაფით მოედნენ მთელს საქრისტიანოს. ისინი, ერთის მხრივ, პაპის მუდმივ სამოციქულო ლაშქარი იყვნენ, მეორეს მხრივ კი ისინი ენერგიულად გამოდიოდნენ თვით პაპის ამქვეყნიურობის წინააღმდეგ. ფრან-ციკანელი ბილერი მოკუფირე იყვნენ ლუდვიკ ბაუარიელისა, რომელიც პაპის პრეტენზიების წინააღმ-დეგ ილაშქრებდა. გადმოცემის თანახმად, მათგანვე მომდინარეობდა ეს განსაზღვრება: ეკლესიის მსოფლიო კრება მაჰმე მაღლა დგასო. მაგრამ შემდეგ ეს ბერებიც სიჩლუნგესა და უმეტრებაში ჩაყვდნენ.

გონის ამის მსგავსევი მიმართულობა სიწმიდისაკენ სასულიერო ს ა რ ა ბ ი ნ ო რ დ ე თ ა მისწრაფებებსაც ახასიათებდა. ზემოთ უკვე ვახსენეს რაინდობის თავისებური სულისკვეთ-ება, რომელიც ესანეთში გამოუმუყდა სარკინოზებთან ბრძოლის შედეგად. ჯვაროსნული ომების წვალო-ბით იგივე სულისკვეთება მთელს ევროპაში გავრცელდა. მძარცველთა ევლურობამ და სიმამაცემ, საკუთრუ-ბით დამკაცოვებულმა და მისით განმტკიცებულმა, რომელიც თავის მსგავსებთან ურთიერთობით იყო მხოლოდ აღაგმული, რელიგიური ზემოქმედებით განნათლება-ღაწმენდა განიცადა, ზოლო ქმედვ აღმოი-ფიროს უკიდურესო კეთილშობილების დანახვით იგი ახალი გულადობით აღკვნო. რადგან მრავალრიცხოვანსაც აქვს უსასრულო აბსტრაქციისა და თავისუფლების მომენტი თავის შიგნით. ამიტომაც აღმოსავლურმა რაინდულმა სულისკვეთებამ დასავლურ გულში გამოხმარება პაუვა, რომელმაც ეს აბსტრაქცია უფრო კეთილშობილ (ამაღლებულ) ქველობად ჩამოაყალიბა. ბერების ორდენთა მსგავსად, სასულიერო რაინდთა ორდენებიც დაარსდა. ამ ორდენთა წევრებს იგივე ბერული მსხვერპლი ეკისრებოდათ, ყოველივე ამსოფლიო-ურისგან განდგომა ევალეობდათ. მაგრამ ამასთანავე მათ თავს იდევს პილიტრიობა (მოგზაურ მლოცველ-თა) დაცვა. ამგვარად, მათ მოუალეობებში, პირველ რიგში, რაინდული სიმამაცე შეიღოდა. დასასრულ, მათ ლატაკია და დეკორიშლთა მოელა-პატრონობის ელიც ელით. რაინდთა ორდენები სამად იყო გაყ-ოფილი: იოანითა, ტაძრისა (ტაპლიციერისა) და გერმანულ (ტეტტონთა, Deutsch) ორდენებად. ეს ასოცი-აციების არსებითად განსხვავებოდნენ ფეოდალური ცხოვრების ეკონსტური პრინციპისაგან. ამ ორდენთა რაინდები თითქმის თითოეულკელურში სიმამაცით წირადენენ თავს საერთო საქმისათვის. ასე სცილებიან ეს ორდენები უშუალოდ არსებულის წრეს და მთელს ევროპას თავიანთი ძმობის ზადით ფარავენ. მაგრამ ეს რაინდებიც დამევენ ბოლოს ჩვეულებრივი ინტერესების დონედვე და მათი ორდენები შემდეგ აზნაურობი-სათვის განკუთვნილ ქველმოქმედ ღაწმენებლებებად იქცა. ტაძრის (ტაპლიციერთა) ორდენს ისიც ეი დასდეს პადალად, რომ მან ახალი რელიგია შექმნა და, აღმოსავლური სულისკვეთების გაცულის ქვე მოქცეულ-მა, თავის მოძღვრებაში ქრისტე უარყო.

კიდევ ერთი მისწრაფების საგანი ამ დროისა მ ე ე ც ნ ი ე რ ე ბ ა გახლავით. იწყება აზროვნების, აბსტრაქტული ზოგადის განეითარება. ჯერ კიდევ ზემოხსენებული ძმობანი, რომლებსაც ერთობლივი მიზანი აქვთ და რომლებიც წევრებიც ამ საერთო მიზანს ექვემდებარებიან, მას მიგანისმებენ, რომ თანდათანობით ძალაში შემოდის ზოგადობა (საერთობა, საყველთაობა), რომელიც თანდათან ვითარდება საკუთარი ძალის გრძობა. აზროვნებამ ჯერ თეოლოგიას მიჰმართა, რომელიც თანდათანობით სქოლასტური თეოლოგიის სახელს ამოფარებულ ფილოსოფიად იქცა; რადგან ფილოსოფიას და თეოლო-გიას საერთო საგნად დეთაბერევი აქვთ და თუ ეკლესიის თეოლოგია ფიქსირებულ დოგმას წარმოადგენს, სამაგი-



ეროდ ახალი მოძრაობა ლაშობს ეს შინაარსი აზროვნების წინაშე გაამართლოს. განთქმული სქოლასტიკოსი ანსელმი ამბობს: "თუ სარწმუნოებად (რწმენად) მოსულვართ, მიუტკეველი დაუდევრობაა, რომ რწმენის შინაარსი აზროვნებითაც არ გვაპართლოთ". მაგრამ ეს აზროვნების განთავისუფლებას ვერ კიდევ არ ნიშნავდა, რადგან შინაარსი იმათითვე მოცემული იყო. ფილოსოფიის მიმართულება ამ შინაარსის დამტკიცებაში მდგომარეობდა. მაგრამ აზროვნებამ ადამიანი უამრავ ისეთ განსაზღვრებებამდე მიიყვანა, რომლებიც არ იყო უშუალოდ დოგმაში ჩამოყალიბებული. რამდენადაც ეკლესიას არაფერი ჰქონდა დადგენილი ამ საკითხებზე, დაშვებული იყო მათ შესახებ კამათი. მართალია, ფილოსოფიას ancilla fidei (ხარწმუნეობის მსველი) ეწოდებოდა, რადგანაც იგი ექვემდებარებოდა სარწმუნოების მტკიცედ დადგენილ შინაარსს, მაგრამ გარდუვალი იყო აზროვნებასა და სარწმუნეობას შორის წინააღმდეგობის გამოჩენაც. როგორც მთელი ევროპა რაინდთა შერკინებისა, შეფლობისა და ასპარეზობის სცენად იყო ქცეული, ასევე იქცა იგი ამიერიდან აზროვნებით ტურნირების ასპარეზად. გასაოცარია, რა შორს გაიბრუნა ამ დროს აზროვნების აბსტრაქტულ ფორმათა განვითარებამ და რა მალად გაწყფილობას მიაღწიეს ინდივიდებმა ამ ფორმებში. აზროვნების ეს ვარჯიში უფრო ხშირად სანახაობად და თამაშად იყო ხოლმე ქცეული (რადგან ეს ბრძოლა თვით დოგმატურ მოხდერებებს კი არ ჰქებოდა, არამედ მხოლოდ ფორმებს), რაც საფრანგეთში იშუა და ყველაზე უფრო ფართო გავრცელებაც იქ ჰპოვა. საერთოდაც, იმ დროიდანაა, საფრანგეთი რომ თანდათან საქრისტიანოს ცენტრის ადგილს იკავებს ადამიანთა შვეწებაში. საფრანგეთიდან დაიწყო პირველი ჯვაროსნული ომები და მათი მონაწილენი პირველად ფრანგი ჯარები იყვნენ. აქ გამობრუნდნენ ჰაპები, როცა გერმანულ იმპერატორებთან ან ნეაპოლელ და სიცილიელ ნორმან მთავრებთან ბრძოლაში მარცხდებოდნენ, და იქვე გამართეს მათ ერთხანს თავიანთი დროებითი რეზიდენცია.

ამ ეპოქაში, რომელიც ჯვაროსნულ ომებს მოსდევს, ხელშეუხებელი, ფერწერის საწყისებსაც ეხედეთ. ამ დროსვე ჩნდება თავისებური პოეზია. რაკი ვინმე დაქმავიფილება ვერ მიიღო, მან ფანტაზიის ძალით უფრო მშვენიერი ხატები შეიქმნა, ვიდრე სინამდვილე იძლეოდა, და უფრო მოსვენებით და თავისუფლად იწყო მათით ტკბობა, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო შესაძლებელი.

## თავი მესამე

### ფეოდალიზმის გაღასეღა მონარქიაში

ზემოხსენებული მიმართულებები (ზოგადისა, ვნ) ზოგი სუბიექტური, ზოგი თეორიული ხასიათისა იყო. ახლა უფრო დეტალურად განვიხილოთ ის პრაქტიკული ძეგლები, რაც სახელმწიფოში ხდებოდა. პროგრესის ის ნეტატური (უარყოფითი, უარყოფილი) მხარე აქვს, რომ იგი სუბიექტური თვითნებობის გატეხას და ძალაუფლების დაწერალეთულებას წარმოადგენს. მისი აფორმატიული (პოყოფითი) მხარე კი გახლავთ ისეთი უნებანესი ძალაუფლების წარმოქმნა, რომელიც საერთოა - სახელმწიფო ძალაუფლებისა, როგორც ასეთისა, რომლის ხელქვეითებსაც თანასწორი უფლებები აქვთ და რომელშიც კრძობ ნება სუბსტანციურ მიზანსა დაქვემდებარებული. ეს გახლავთ ფეოდალიზმის წინსვლა მონარქიაში. ფეოდალიზმის პრინციპია გარეგანი ძალაუფლება ერთუფლებისა - მთავრებისა, დინასტიებისა, - რომელიც მოკლებულია სამართლებრივ (უფლებრივ) პრინციპს თავის შიგნით. ისინი უფრო მაღალი მფლობელის - მათი პატრონის (Lehnsherr) - ვასალები არიან და ამ უკანასკნელის მიმართ მფულებობის აქისრიათ. მაგრამ ამ მოვალეობებს შეასრულებენ თუ არ შეასრულებენ, ეს იმაზეა დამოკიდებული, აიძულებს თუ ვერ აიძულებს იგი მათ მას ძალით, ხასიათის სამტკიცით ან წყალობით, ისევე როგორც თვით ეს უფლებები პატრონისა ძალითა მიღწეული და მხოლოდ ძალით შეიძლება განგრძობილ და რეალიზებულ იქნეს. მონაწიული პრინციპიც ძალით უპირატესობის პრინციპი გახლავთ, მაგრამ უპირატესობის ისეთებზე, ვისაც არ მოეპოვება დამოუკიდებელი ძალა თავისი თვითნებობის სარეალიზაციოდ, ასე რომ აქ აღარ გვაქვს თვითნებობის დგომა თვითნებობის პირისპირ. რადგან მონარქიის დროს უპირატესი ძალაუფლება, არსებითად, სახელმწიფო ძალაუფლებაა და თავისთავში სუბსტანციური უფლებრივი (სამართლებრივი) მიზნის მატარებელია. ფეოდალ-

იზმი პოლიარქიაა: იგი სულ პატრონთა და ყმათაგან შედგება. მონარქიაში, პირუკუ, ერთი პატრონი და არაინაა ყმა, რადგან ყმათა მის მიერ გაუქმებულია და მასში ძალაუფლება სამართალსა და კანონს აქვს; მისგან რეალური თავისუფლება იშობა. ამგვარად, მონარქიაში ერთეულთა თვითნებობა დათრგუნულია და დამყარებულია ბატონობის (ძალაუფლების) ერთობლივი სისტემა. როდესაც ამ (ფეოდალური) განცალკევების დათრგუნვა ხდება, ან კიდევ ამ დათრგუნვის წინააღმდეგობა ქვეყ, ყოველთა შესაძლებელია ორჭოფობა იმის თაობაზე, თუ რისგან ამოღის მოქმედების განზრახვა - უფლებიდან (სამართლიდან) თუ თვითნებობიდან? შეფის გადაჭარბებული ძალაუფლებისადმი წინააღმდეგობის თავისუფლება ქრდება და მას ქება ესხმის, როგორც მართებულსა და კეთილშობილურს, თუკი თვალწინ მხოლოდ თვითნებობის წარმოდგენა გეიტრიალებს. მაგრამ, მეორეს მხრე, თვითნებობის სახის მქონე ნებაც ერთეული პიროვნებისა, თუკი იგი საყოველთაო (ყველას მიმართ კმინსული) ძალაუფლებაა, მაინც ზომ ერთობლე (საყოველთაო) არსებობას (ცხოვრებას, ყოფას) ქმნის. თუ ამას შევადარებთ იმ დროამდებობას, როცა ყველი ცალკეული პუნქტი მოძალადე თვითნებობის ადგილია, დავინახავთ, რომ აქ (მონარქიაში) ბევრად უფრო ნაკლები ყოფილა პუნქტები, რომლებშიც ადგილი აქვს თვითნებობას. სახელმწიფოს დიდი მოცულობა საჭიროს ხდის (ყველასთვის) საერთო დისპოზიციებს, რომელთა გზითაც კეთილი ხორციელდება, და ბრძანებათა გაქცევნი ამასთანავე, არსებითად, ბრძანების შემსრულებელი არიან. ვასალები სახელმწიფო მოხელეებად იქცევიან, რომელთაც სახელმწიფო წესრიგის კანონთა გატარება აეისრიათ. მაგრამ ვინაიდან მონარქია ფეოდალიზმიდან იშობა, მას თვდაპირველად ჯერ კიდევ ამ უკანასკნელის ხასიათი მოხდევს. თავიანთ კერო უფლებამოსილებიდან ინდივიდები წოდებებად და კორპორაციებად დაყოფილბამში გაადიან. ვასალები მხოლოდ იმით არიან ძლიერი, რომ წოდებდ არიან შეკავშირებული. მათ პირისპირ ქალაქებიც თავიანთ ერთობლე ყოფამი ძალაუფლებებს ქმნიან. ამ ვითარებაში მბრძანებლის ძალაუფლება ვეღარ იჭნება მარტოვანი თვითნებობის წარმართული. მას ქალაქებისა და კორპორაციების თანდავამა ვსაჭიროება და თუ მთავარს უნდა ეს თანადგობა მიიღოს, მან ყოველთვის სამართლიანი და მართებული უნდა ქნას.

ახლა კი უკვე სახელმწიფოთა შექმნა იწყება. ფეოდალიზმისთვის სახელმწიფოები უცნობი იყო. ფეოდალიზმიდან მონარქიაზე გადასვლა სამი სხვადასხვა წესით ხდება:

1. პატრონი (სიუზერენი) ბატონდება თავის დამოუკიდებელ ვასალებზე მათი პარტიკულარული ძალის დათრგუნვის გზით, რათა თვითონ ერთადერთ ძალად დარჩეს.
2. მთავრები საესებით თავისუფლებიან მოსაკარგეეობისგან და თვითონ ხლებიან ქვეყნის ბატონნი რამდენსამე სახელმწიფოში.
3. უზუნაესი პატრონი უფრო მშვიდობიანი გზით აერთიანებს სხვა კერბო სამფლობელოებს თავისასთან და მთელის ბატრონი ხდება.

ისტორიული გადასვლები არაა ყოველთვის ასეთი წმინდა, როგორადაც აქ წარმოვადგენთ ხშირად რამდენიმე გზა ამ გადასვლის ერთმეორეს შერევა ზოლმე. მაგრამ უპირატესი ყოველთვის ან ერთია, ან მეორეა. მთავარი ისაა, რომ სახელმწიფოთა ზეობით დახასიათებული ჩამოყალიბებისათვის საფუძველს და წინამძღვარს ც ა კ ე რ ე ბ ი წარმოადგენენ. წინამძღვარი ის ვასალები რომ არსებობენ კერბო ერებში, რომლებიც იმთავითვე წარმოადგენენ ერთიანობის და ასოლუტური ტენდენცია აქეთ, რომ სახელმწიფო შექმნან. ყველა ერბა ვერ შეძლო ასეთ სახელმწიფოებრივ ერთიანობამდე მისვლა. ამჟერად ჩვენ ერები სათითაოდ უნდა განვიხილოთ ამ თვალსაზრისით.

რაც, პირველ ყოვლისა, რომის იმპერიას შეეება, აქ გ ე რ მ ა ნ ი ი ს ა და ი ტ ა ლ ი ი ს ერთიანობას ამოსულად იმპერიის წარმოდგენა ქჷონდათ: მიჩნეული იყო, რომ საერო ძალაუფლება სასულიეროს უნდა შეუერთდეს, რათა მთელი შეადგინოს, მაგრამ ამ ფორმირებას იმდენად ქჷონდა გამუდმებული ბრძოლის საზე, რომ ნამდვილად განხორციელებულად ვერც კი ჩაითვლება. გერმანიასა და იტალიაში ფეოდალიზმიდან მონარქიაზე გადასვლა იმგვარად მოხდა, რომ ფეოდალური ურთიერთობა საესებით განიღვნა ასპარეზიდან. ვასალები დამოუკიდებელ მონარქებად იქცნენ.

გერმანიაში მუდამ არსებობდა დიდი ტომობრივი განსხვავება - შუაბებისა, ბავარიელებისა, ფრანკებისა, ტიურინგებისა, საქსებისა, ბურგუნდებისა. ამათ ზედ ემატებოდნენ სლავები ბოკემიაში, გერმანიზირებული სლავები მეკლენბურგში, ბრანდენბურგში, საქსონიის ერთ ნაწილსა და აუსტრიაში. ასე რომ აქ შეუძლებელი იყო ისეთი შეკავშირებულობა, როგორიც საფრანგეთში არსებობდა. ამისი მსგავსი ვითარება იყო იტალი-

იაშიც. აქ ლანგობარდები იყვნენ ჩამომსხდარნი, ბერძნებს კი ქვემო იტალიაში ჯზარხატი ჰქონდათ. შემდეგ სამხრეთ იტალიაში ნორმანებმა დააარსეს საკუთარი სახელმწიფო; სცილია ერთხანს სარკინოზთა ხელში იმყოფებოდა. პოპენტაუფუნთა დაცემის შემდეგ გერმანიაში საყოველთაო ბარბაროსობა გამეფდა. ქვეყანა ძალით დამფარებელი ბატონობის მრავალ არეალად დაიყო. კურკურსტებს მაქსიმად ჰქონდათ, რომ იმპერატორებად მხოლოდ სუსტი მთაერები აერჩიათ. ერთი მეტიც - მათ საიმპერატორო პატივი უცხოელებს მიჰყიდეს. ასე გაქრა ფაქტობრივად სახელმწიფოს უფროსობა. განდგა მრავალი პუნტი, რომელთაგან თითოეულიც ვაჩაღთა ბუდეს წარმოადგენდა. ფეოდალური სამართალი (უფლება) პირწინადად მარცვა-გლეჯად და მეკობრეობად იყო ქვეული და ძლიერება მთაერებმა ქვეყანათა ბატონობა დაიპყიდრეს. უმეფობის ხანის შემდეგ იმპერატორად გ რ ა ფ ი ფ ო ნ ჰ ა ბ ს ბ ბ უ რ გ ი აირჩიეს. ამიერიდან მცირე ინტერვალების გამოკლებით საიმპერატორო ტახტს პაბსბურეთა გვარი აღარ მოჰპოვებია. ამ იმპერატორთა მცდელობა იმაზე იყო დაყვანილი, რომ თავის სახლში (საგვარადლორ სამეფობებში) ბატონობა შეენარჩუნებინათ, ვინაიდან მთაერებს არ ჰსურდათ მათთვის სახელმწიფო ძალაუფლება დაეთმოთ.

ვესტფალის ზავის შედეგად პროტესტანტული ეკლესია ცნობადი იქნა დამოუკიდებელ ეკლესიად, რაც კათოლიკური ეკლესიისთვის უდღეს ხირცხვილსა და დამცირებას წარმოადგენდა. ეს შვეიცარმა ბევრჯერ ჩათვლიდა გერმანიის პალატიუმად, რადგანაც მან გერმანიის პოლიტიკური კონსტიტუცია (წყობა) გამოკვთა. მაგრამ ეს კონსტიტუცია ფაქტობრივად სხვა არა იყო რა თუ არ იმ ქვეყნების (გერმანიის სხვადასხვა პროვინციების. მთავ. შვენ.) ყრძო უფლებათა დამტკიცება, რომლებსაც გერმანია იყოფოდა. აქ არც სახელმწიფოს მიზანი ურთვია საქმეში, არც აზრი ასეთის არსებობის შესახებ Hippolyte a lapide უნდა წაიკითხოთ (წიგნი, რომელიც ზავის დადებამდე დაიწერა და დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეითარებაზე), რათა გაიგოთ თუ რა იყო გერმანული თავისუფლება, რომლის წარმოდგენაც დღეს ესოდენ გაბატონებული ვახლავთ მრავალი ადამიანის თაყში. ამ ზავში გამოხატული მიზანი ვახლავთ სრულია ტერიტორია და ყველა მიმართება-დამოკიდებულებათა ტერიტორიული განსაზღვრება. ეს ვახლავთ კონსტიტუციური უფლები ანარქია, მანამდე ქვეყნად არახლავდა, ანუ იმის დადგენა, რომ სამეფო (იმპერია, Reich) ერთიანი, ერთი მთლიანი უნდა იყოს, მაგრამ ამასთანავე ყველა მიმართება-ურთიერთობები აქ ისე ყრძოსამართლებრივად განისაზღვრება, რომ ურყველად დაცულია და უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ნაწილთა საკუთარი ინტერესი, რათა იმოქმედონ თავის სასარგებლოდ, თუნდაც მთელის ინტერესის საწინააღმდეგოდ, ან კიდევ ის არ ქნან, რასაც მათი ინტერესი მოითხოვს და რაც თავისი კანონმდებლობითაც კი დადგენილია. ამ მტკიცებებიდან ცოტა ხნის შემდეგ გამოაშკარავდა, თუ რას წარმოადგენდა გერმანიის იმპერია, როგორც სახელმწიფო. იგი სამარცხვინო ომებს ქწიოდა თურქების წინააღმდეგ და ამ უკანასკნელთაგან ეენის განთავისუფლებას პოლანელებს მოუხდათ. კიდევ უფრო სამარცხვინო იყო მისი დამოკიდებულება საფრანგეთთან, რომელმაც შვეიცარიის დროს დაიკავა და გაუჭირებლად ეჭვრა გერმანიის თავისუფლება ქალაქები — მისი დამცველი ეს ზღუდე-გალუანი, — და გერმანიის აყუვერული პრეზიდენტები.

ეს კონსტიტუცია, რომელმაც საბოლოოდ დაასრულა გერმანიის, როგორც იმპერიის, მოშლის საქმე, უპირატესად რიშელიეს ნახელავი ვახლდათ და რომის ამ კარდინალის დამსახურება გერმანიამ რელიგიის თავისუფლების გადარჩენა. თავისი სახელმწიფოს საყთოდღეოდ, რომელსაც იგი სათავეში უდგა, რიშელიემ მისში იმის საწინააღმდეგოდ ქნა, რასაც იგი მის მტრებს უჭერბოდა. რადგან ამ უკანასკნელებს იგი შლიდა ისე, რომ სრულ პოლიტიკურ უძლეურებაში ავდივდა მათი ნაწილების პოლიტიკური თვითმდგომობის შექმნის გზით, საკუთარ სახელმწიფოში კი მან დათრეკნა პროტესტანტული პარტიის თვითმდგომობა, რითაც იგივე მოიმკო, რაც ბევრ სხვა დიდ სახელმწიფო მოღვაწეს ჰხედა წილად: მისმა თანამოქალაქებმა დწყველეს, მტრებმა კი მისი საქმე, რომლითაც მან მათ ძირი გამოუზარა, თვითნათ ნატურის, უფლებისა და თავისუფლების უწმიდესი მიზნის განმახორციელებლად მიიწინა.

ამგვარად, ბრძოლის შედეგი ის ვახლდათ, რომ რელიგიური პარტიებს ძალით გამოგლეჯილია და პოლიტიკურად დაფუნქციონირებული თანაარსებობის საშუალება მიეცათ ერთმანეთს გვერდით, როგორც პოლიტიკურ სახელმწიფოებს, და მათ შორის პოზიტიური სახელმწიფო-სამართლებრივი და პირად-სამართლებრივი დამოკიდებულება-მიმართებები დამყარდა.

მაგრამ შემდეგში პროტესტანტულმა ეკლესიამ თავისი პოლიტიკური გარანტია იმით განანსრულა, რომ ერთ-ერთი მისი კუთვნილი სახელმწიფო თვითმდგომი დიდი ყრბოული ძალის სახელმწიფოდ აღზვედა. ამ დიდ ძალას ახლად დაბადებამ მოუწია პროტესტანტიზმთან ერთად. ეს ვახლავთ პრუსია, რომელმაც, XVII

საუკუნის დამლევს ასასარგებო გამოხედვა, ფრიდრიხ დიდის სახით თავისი თუ დამპყრობელი არა, განმამტკიცებელი და უშიშრომყოფელი ინდივიდი მანც პოეტი. ფრიდრიხ II-მ თავისი ძლიერება იმით დამამტკიცა, რომ წინ აღუდგა თითქმის მთელ ევროპას, მის მთავარ ძალთა გაერთიანებას. იგი გამოვიდა როგორც პროტესტანტიზმის გმირი, ამასთან, არა მხოლოდ პირიქით, გუსტავ ადოლფისთვის არამედ როგორც სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული ძალის მეფე. მართალია, შვიდწლიანი ომი, თავისთავად აღებული, რელიგიური ომი არ გახლდათ, მაგრამ იგი მანც ისე თავისი გადამწყვეტი შედეგისა და როგორც ვარისკაციების, ისე ქვეყნების აზრთა წყობისა და სულიერების მიხედვით პაპმა დანა უკუთხა ფელდმარშალ დაუნს. კოალიციამ შემავალი ქვეყნების მთავარი ამოცანა იყო პრუსიული სახელმწიფოს, როგორც პროტესტანტული ეკლესიის დამცველის, დათრევა. მაგრამ ფრიდრიხს დიდად არა მარტო ევროპის დიდ ძალთა რიგში ჩააყენა პრუსია, როგორც პროტესტანტული სახელმწიფო, არამედ იგი ფილოსოფიის მეფეც იყო — სრულებით თავისთავად და უნიკალური მოღვაწე ჩვენს ახალ დროში. ინგლისელი მეფეები ეშმაკი თეოლოგები ყოფილან ზოლმე, აბსოლუტიზმის პრინციპისათვის მებრძოლნი. ფრიდრიხმა, პირიქით, პროტესტანტული პრინციპი მისი ზოგადი მხრით აღიქვა. მას არ უყვარდა რელიგიური კამათი და არ ჰქონდა გარკვეული აზრი მისი ერთი ან მეორე მონაწილის სასარგებლოდ, სამაგიეროდ მას ჰქონდა ზოგადობის ცნობიერება, რომელიც გონის უკანასკნელი სიღრმეა და აზროვნების თვითცნობიერი ძალაა.

### თ ა ე ი III

#### გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო ბ ა და რ ე ე ო ლ უ ც ი ა

პროტესტანტულ რელიგიამ აღიარებულ იქნა შინაგანობის პრინციპი, რომელსაც თან სდევდა რელიგიური განათვისებულება და თვით თავისთავად დამყოფილების პოვნა. ამის გამო კი — აგრეთვე შინაგანის (შიდდაინის), ვითარცა ბოროტის, და სამყაროსეული გარემოებების ძლიერების რწმენა. კათოლიკური ეკლესიის წიაღშიც იმეორებოდა კანონისტიკა დაუსრულებელ კლდე-ძიებას ქრეთა ნების შინაგანი მხარისა და მისი აღმშენებელი საფუძვლების შესახებ, რომელიც (ეს კანონისტიკა) იმდენადვე ვრცელი და ამო ბრძნობით შეზავებული იყო მათ ხელში, როგორც ოდესღაც იყო სქოლასტური თეოლოგიის ხელში. ამ დილაქტიკაში, რომელიც ფოკუსსაც კრძობს საჭოჭმანოდ ხდიდა, აქცევდა რა ბოროტს კეთილად და კეთილს ბოროტად, ბოლოს სხვა აღარაფერი რჩებოდა რა გარდა თვით შინაგანობის (შიდდაინის) წმინდა ქმედებისა, გონის აბსტრაქტული მხარისა — აზროვნებისა. აზროვნება ფოკუსსაც ზოგადობის ფორმამი იხილავს და ამიტომ იგი ზოგადის ქმედება და ზოგადის წარმონაქმნია. სქოლასტთა თეოლოგიაში, რომელიც მანამდე არსებობდა, მისი საკუთარი შინაარსი — ეკლესიის მოძღვრება — მიღმურ რაღმე რჩებოდა. პროტესტანტულ თეოლოგიაშიც დარჩა გონის მიმართება მიღმურ რამესთან, რადგან მასში ერთ მხარეს რჩება საკუთარი ნება, კაცის გონი, თვით მე, მეორე მხარეს კი დეოთური მადლი (Gnade), სული წმიდა, ზოლო ბოროტებაში, ასევე, — ეშმაკი. მაგრამ აზროვნების პროცესში (შინაზროვნე) თვითთა (Selbst) თავისთავისთვის აქ-და-აწ მოცემულია (präsent). მისი შინაარსიც, მისი ობიექტებიც მისთვის ლიტონად აქ-და-აწმეოა (gegenwärtig); რადგან, როცა ვაზროვნებ, მე ჩემი საგანი ზოგადობამდე ამყავს. ეს გახლავთ აბსოლუტური თავისუფლება, უპირობო და ლიტონი; რადგან წმინდა მე, წმინდა ნათელსავეთ, ამ დროს უპირობოდ და ლიტონად (schlechthin) თავისთავთანაა. მამასდამე, მისგან განსხვავებული — თუნდ გრძობადი იყოს ეს უკანასკნელი და თუნდ განიოთ — მისთვის საშემი აღარ არის, რაკიდა იგი თავისთავში თავისუფლია და ამ განსხვავებულ თავისუფლად უდგას პირისპირ. პრაქტიკული ინტერესი იყენებს საგნებს, მოხმარს და ხარჯავს მათ. თვითთავი კი მათ იხილავს იმის უეჭველობით, რომ ისინი, თავისთავად, არაფერი მისგან განსხვავებული არ არიან.<sup>1</sup>

ამგვარად: შინაგანობის უკიდურესი მწვერვალია აზროვნება. აღმნიანი არაა თავისუფალი, როცა იგი არ აზროვნებს, რადგან მამინ იგი მიმართებაში დგას რაღაც სხვასთან. (საგნის) ეს წვდობა (დაჭერა, მოხელთება Erfassen), ეს სხვაზე გარეგანადწვდობა, თავისთავის უშინაგანესი უეჭველობითურთ (Selbstgewis-

<sup>1</sup> აღილი შესაძრეა ქველამ ამ მსულობამი წანამლარი, რომ სამყაროს საფუძვლში გონეს უქვს (მთარგმ. შენ.)





ლობს. ფრიდრიხ II განსაკუთრებით იმით იმსახურებს გამოყოფას, რომ იგი თავის პიროვნებაში სწვდა სახელმწიფოს ზოგად მიზანს და რომ იგი პირველი იყო განმგებელთაგანი, რომელსაც სახელმწიფოში მდებარე მხედველობაში ჰქონდა საზოგადო, ხოლო ყრბოს, თუკი იგი სახელმწიფოს მიზანს წინააღმდეგებოდა, შემდგომ გასაქანს არ აძლევდა. მისი უკვდავი ნაღვარია მის სამშობლოშივე შობილი კანონთა კოდექსი - ლანდრეხტი ("ქვეყნის სამართალი"). მან ერთადერთი ნიშნში გვიჩვენა იმის, თუ როგორი ენ-კონომი ზრუნავს ოჯახის მამა თავისი ოჯახის და თავისი დაქვემდებარებული ადამიანების კეთილდღეობისათვის.

ამ ზოგად განსაზღვრებებს, რომლებიც აქ-და-აწმყო ცნობიერებას ეფუძნება, ბუნების კანონებს და იმის შინაარსს, რაც მართლული (recht) და კეთილია, გონება უწოდებს. ამ კანონების მნიშვნელობის აღიარებას განმანათლებლობა დაარქვეს. საფრანგეთიდან იგი გერმანიაში გადამოვიდა და მასში წარმოდგენათა ახლებური სამყარო აღმოაჩნებინდა. აბსოლუტურ კრიტიკურად — რელიგიური რწმენის ყოველგვარ ეტიმოლოგიას წინააღმდეგ, სამართლისეული პოზიტიური კანონების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი სახელმწიფოებრივი სამართლის კანონების წინააღმდეგ — ახლა ის იქცა, რომ ყოველგვარ შინაარსს თვითონ გონის მიერ უნდა ყოფილიყო დანახული-აღიარებული (eingesehen) მის თავისუფალ აქტუალურ მოქმედებაში. მან-აღე ლუთერიმ მოიპოვა გონითი თავისუფლება და ჯონკრეტული შერიგება. მან ძლევაშილიად დაადგინა, რომ ის, რაც ადამიანის მარადი განსაზღვრულობა და დანიშნულებაა, გარდუვალად თვით მასში უნდა ხდებოდეს და ზორციელდებოდეს. მაგრამ იმის შინაარსი, რაც მასში უნდა ხდებოდეს და ზორციელდებოდეს, და ის, თუ რა ტემპარატებაა, გარდუვალად რომ უნდა ცხვლდებოდეს მასში, ლუთერის თანახმად, მოცემული რამ არის, რელიგიის მიერ გამოცხადებული. ახლა კი (განმანათლებლობის ეპოქაში. მთარგმ. შენ.) პრინციპი წამოაგონეს, რომ ეს შინაარსი (ჩვენთვის) აქ-და-აწმყოა, რომელშიც მე თვით შემიძლია შინაგანად დავრწმუნდე, და რომ ვველაფერი ამ შინაგან საფუძველამდე უნდა იქნეს გარდუვალად მოყვანილი.

თუდაბირველად აზროვნების ეს პრინციპი თავის ზოგადობაში ჯერ კიდევ აბსტრაქტულად გამოიღის და იგი წინააღმდეგობის შეუძლებლობისა და თვითობის პრინციპს ემყარება. ამით მისი შინაარსი დადგენილია, როგორც სასრული რამ. ყოველგვარ სპეკულატური განმანათლებლობას განდევნილი აქვს კაცობრივ და ღვთაებრივ საგნებთან და პირწმინდად გაუქმებული. თუკი უსაზღვრელ მნიშვნელოვანია ის, რომ განხილვით მოცული მრავალგვარი შინაარსი მის მართვ განსაზღვრულობამდე ზოგადობის ფორმით მოიგვანთო, მაშინ ეს ზემოხსენებული ჯერ კიდევ აბსტრაქტული პრინციპი ცოცხალ გონს, კონკრეტულ გულ-გონებას (Gemüt) დაუკმაყოფილებელს ტოვებს.

ამ ფორმალურად აბსოლუტური პრინციპით ისტორიის უკანასკნელ სტადიას - ჩვენს სამყაროს, ჩვენს დროს მოუადექით.

მსოფლიობა (Weltlichkeit. ის, რაც მსოფლიურია.) არის გონითი სამეფო, აქარსობაში მოსული, - სამეფო ნებისა, რომელსაც თავისი თავისთვის არსებობა მოუპოვება. განცდა (Empfindung, შეგრძნება), მგრძობ-ვლობა, სწრაფეები - ესენი შინაგანის რეალისციის სახეობებია, მაგრამ, თავის ცალკეულობაში ადრეული, გველა ისენი წარმატებაა, რადგან ისენი ნების ცვალებადი შინაარსი არიან. მაგრამ ის, რაც სამართლიანი და ზნეობრივი, არსებობაა, თავისთავად-მყოფ ნების გუთობის, თავისთავად ზოგად ნებას და იმის საცოდნელად, რა ტემპარატად მართებული, უნდა განვეყნებოთ მიდრეკილებას, სწრაფვას, ნდობას, ვითარცა ყრბოს. მამასადამე, საამისოდ უნდა ვიცოდეთ, რაა ნება თავისთავად. რადგანაც სწრაფეები კეთილშობილურებისა, სხვისადმი დას-მარებისა, ამხანაგთმოყვარებისა მანც სწრაფეებია და სხვა არაფერი, რომლებსაც სხვა მრავალგვარი სწრაფეები ემატება და ეტყრება. თუ რა ამის ნება, თავისთავად, ეს ამ კრძობობათა და დაპირისპირებათაგან გარდუვალად უნდა გამოეთავისუფლოთ და გამოეცალკეოთ. ამნარად, ნება, ვითარცა ნება, აბსტრაქტული რჩება. ნება თავისთავადი არის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას არ ჰნებავს არაფერი სხვა გარეგანი უცხო, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი დამოკიდებული იქნებოდა, არამედ მას ჰნებავს მხოლოდ თავისთავი — ნება. აბსოლუტური ნება ეს გახლავთ — რომ ჰნებავდეს, თავისთავადი იყოს. თავისთვის მტებელი ნება საფუძველია ყოველგვარ უფლებიან (Recht) და ყოველგვარ მოვალეობისა (Verpflichtung) და ამით — გველა სამართლებრივი კანონისა, დამატელე-ბურებული მტებებისა და დაკისრებული მოვალეობებისა. თვითონ ნების თავისუფლებას, როგორც ასეთი, არის პრინციპი (საწყისი) და სუბსტანციური საფუძველი ყოველგვარ უფლებიან, იგი თვითონადაა აბსოლუტური, თავისთავად და თავისთვის მარადი უფლება და უმაღლესი უფლება, რამდენადაც მას გვერდით სხვა, კრძობ უფლებებიც

მიყენება. იგი ისიც კი არის, რითაც ადამიანი ადამიანად ხდება, მაშასადამე, გონის ფუნქციონირება.

მაგრამ ამის შემდეგ ისმის კითხვა — როგორაა შობის ნება განსაზღვრულობამდე? რადგან, ნებას რომ თავისთავი პნებავს, ამით იგი არის მხოლოდ იგეგმობრივი მიმართება თავისთავთან. მაგრამ მას ყრბოც პნებავს. როგორც ვიცით, არსებობს სხვადასხვა მრეალებები და უფლებები. ჩვენ მრეითხოვთ ნების რაღაც შინაარსს, ნების განსაზღვრულობას. რადგანაც წმინდა ნება თავისთავისთვის თავისი საგანია და თავისივე შინაარსია, რომელიც შინაარსი არაა. ასე, საერთოდ, იგი მარტოიღვე ფორმალური ნებაა. მაგრამ როგორ უნდა განვარტოთ სპეკულატურად სვლა ამ მარტოი ნებიდან თავისუფლების განსაზღვრისაკენ, რათა უფლებებამდე და მრეალებებამდე მრეაღწიოთ, ამის გარკვევას აქ ვერ შეუდგებით. მხოლოდ შეგვიძლია ახლავ შევნიშნოთ, რომ იგეგმ პრინციპი გერმანიაში ფორიულად წამოყენებულია კანტის ფილოსოფიის მიერ, რადგან, ამ ფილოსოფიის თანხმად, თვით ცნობიერების მარტოი ერთიანობა, მე, არის გაუტყუელ-შეუღწევადი (undurchbrechbar), ლიტონად და მოუკიდებელი თავისუფლება და ყველა ზოგად განსაზღვრება, ანუ აზროვნებით განსაზღვრება წყარო — თორიული გონება, და, ასევე, ყველა პრაქტიკულ განსაზღვრება უზენაესი წყარო — პრაქტიკული გონება, ვითარცა თავისუფალი და წმინდა ნება. და ნების გონებაც, ამ ფილოსოფიის თანხმად, სწორედ ესაა, რომ ამ წმინდა თავისუფლებაში რბილავს და ფიველ კრძოში მხოლოდ იგი (ეს წმინდა თავისუფლება) პნებავდავს — უფლება (სამართალი, მართებლობა. Recht) მხოლოდ უფლებას (სამართლის, მართებლობის) გულისთვის, მრეალებია მხოლოდ მრეალებობის გულისთვის. გერმანელებში ეს მოძღვრება მშვიდ თორიად დარჩა. ფრანგებმა კი ამის პრაქტიკულად გატარება მოიწადინეს.

ახლა კი ორმაგი კითხვა დგება: რატომ დარჩა თავისუფლების ეს პრინციპი მარტოიღვე ფორმალურ პრინციპად? და რატომ მოიწადინეს მხოლოდ ფრანგებმა, და არა გერმანელებმაც, მისი რეალიზაცია?

მართალია, ფორმალურ პრინციპთან ერთად საკეში უფრო შინაარსიანი კატეგორიებიც იყო ჩართული: უმთავრესად, საზოგადოება და ის, თუ რაა საზოგადოებისთვის სასარგებლო. მაგრამ საზოგადოების მიზანი თვითონ პოლიტიკური გახლავთ, ეს იგეგმ სახელმწიფოს მიზანია (იხ. Droits de l' homme et du citoyen „ადამიანისა და მოქალაქის უფლებანი“, 1791), სახელდობრ, ის მიზანია, რომ დაცულ იქნეს ბუნებრივი უფლებაები. მაგრამ ბუნებრივი უფლება თავისუფლება გახლავთ, ხოლო თავისუფლების შემდგომი განსაზღვრება უფლებებში თანასწორობა ყალბის წინიშე. ეს ორი რამ განუყოფელი დაუფორიებელი გახლავთ, რადგან თანასწორობა მრეაღია ურთიერთდადარებით (Vergleichung)<sup>1</sup> არის მისაღწევი, ეს მრეაღი კი ადამიანები არიან და თვითონ ძირითად განსაზღვრად ისევ და ისევ თავისუფლება აქვთ ეს პრინციპი ფორმალური რება იმიტომ, რომ იგი აბსტრაქტული აზროვნებიდან, განსჯიდანაა შობილი, რომელიც თვდაბირველი თვითცნობიერება წმინდა გონებისა და, ვითარცა უშუალო, აბსტრაქტულია. იგი თავისთავიდან ვერ ვერაფერს აერთარებს, რადგან იგი ვერ უპირისპირდება რელიგიას საერთოდ, კონკრეტულ აბსოლუტურ შინაარსს.

რაც შეეება მორე კითხვას — რატომ გადაინაცვლეს წამსვე ფრანგებმა თორიული სეროდან პრაქტიკულსაკენ, იმ დროს როცა გერმანელები, პირიქით, თორიულ აბსტრაქციასთან დარჩნენ? — მის თაობაზე ადვილად შეგვიძლია თქვათ: ფრანგები ცხარე ხალხია (Ils ont la tete pres du bonnet); მაგრამ ნამდვილად ამ სხვაობის საუფიველი უფრო დრმა გახლავთ. სახელდობრ, ფილოსოფიის ფორმალური პრინციპს გერმანიაში პირისპირ უდგას იმგვარი კონკრეტული სამყარო და სინამდვილე, რომელსაც გონის შინაგანად დაკმაყოფილებული მოიხონილება და დამშვიდებული სინიღისი ახლავს. რადგან, ერთის მხრე, თვით პროტესტანტული სამყარო გახლავთ ის სამყარო, რომელიც თავის აზროვნებაში იქამდე მოიდა, რომ თვითცნობიერების აბსოლუტური მწვერვლის ცნობიერებას მიადწია, მორე მხრე, პროტესტანტიზმს ადამიანის დამშვიდებად წყნობისა ზნეობრივი და უფლებრივი (სამართლებრივი) სინამდვილის თაობაზე სხვაგან არსად ეტყლება თუ არ სულისკვეთებაში (Gesinnung, აზრთა წყობაში), რომელიც (ეს სულისკვეთება), არის რა რელიგიასთან ერთიანი და განუყოფელი, თვითაა ყოველვე უფლებრივი (სამართლებრივი) შინაარსის წყარო კრძო სამართალსაც და სახელმწიფო წყობასაც. გერმანიაში განმანათლებლობას თეოლოგიის მხარი ეჭრა. საფრანგეთში მან მამინათვე ეკლესიის საწინააღმდეგო მიმართულება მიიღო. გერმანიაში იმ სეროდან, რომელიც საერო საზოგადოებრივ საქმეებს მოიცავს, ყოველვე უკვე გამოსწორებული იყო რეფორმაციის მიერ; განმსწრწელი

<sup>1</sup> თავისუფური სატყვაითამაშია: Vergleichung ურთიერთმდარებასაც ნიშნავს და გათანაბრებასაც. (მორეგნ. შენ.).

ინსტიტუტები სამედველგობის უქორწინობისა, სიღატაკისა და მცონარებისა გაუქმებული იყო, აღარ არსებობდა ეკლესიათა მკვდარი სიბედღო და ზნობობი საწყისის საპირსპიროდ მიმართული იძულება, რაც წყაროა და საბაბია მანკიერებისა. აღარ იყო არც ენით გამოთუქმელი უსამართლობა, რომელსაც ქმნის სასულიერო ხელისუფლების ჩარევა საერო სამართალში, აღარც ის საზარელი შეუსაბამობა, რომელიც მფეთთავი დღოთ ცხებული ლეგიტიმურობის აღიარებაში მდგომარეობს, ანუ მთავართა თვითნებობის, დღოთა-ბრობობისა და იფიშობის აღიარებაში იმის გამო, რომ ცხებული თვითნებობა. გერმანიამ მთავრის ნება მხოლოდ იმდენად მიიჩნეა სასტიკოდ, რამდენადც მას ბრძანულად პრეტავს უფლებების შესაბამისობა (Recht), სამართლიანობა და მთელის კეთილდღეობა. ამგვარად, აზროვნების პრინციპი აქ უკვე შერიგებული იყო. ამასთან, პროტესტანტულ სამყაროს იმის ცნობიერებაც პქინდა, რომ შერიგებაში, რომლის ექსპლიკაციაც ზემოთ იყო მოცემული, უკვე ძვეს უფლების (სამართლის) შემდგომი სახისქმნა-ჩამოფალიბებების პრინციპი.

აბსტრაქტულად განიხილავთ, რასეთის ცნობიერებას შეუძლია რელიგია განზე მოითაფოს. მაგრამ არააბსტრაქტული ცნობიერებისათვის გნლიგია ის ზოგადი ფორმა, რომელიც (რომელიც. მთარგმნ.) არის (გეზისტენციური "არის". მთარგმნ. შენ.) ჭეშმარიტება. პროტესტანტული რელიგია არ უშვებს ორგვარ სინდისს, მაგრამ კათოლიკურ სამყაროში წიბდა (ის, რაც წიბდა. მთარგმნ.შენ.) ერთ მხარეს დგას, მეორე მხარეს კი დგას აბსტრაქცია (აბსტრაქტული არგუმენტაცია. მთარგმნ. შენ.) რელიგის წინააღმდეგ, ანუ მისი ცრუმარწმუნეობისა და მისი ჭეშმარიტების წინააღმდეგ. ეს ფორმალური (Formell), საკუთარი ნება (კათოლიკეებისთვის) საფუძველი ხდება (რომელზედაც აზრის შემდგომი შენება იგება. მთარგმნ.შენ.): მართებულად საზოგადოებაში ის მიიჩნევა, რაც კანონის მსურს, და ნება არის (გეზისტენციური "არის". მთარგმნ. შენ.), როგორც ერთული ნება. ამგვარად, სახელმწიფო, ვითარცა მრავალ ერთეულთა აგრეგატი, არ არის (პროტესტანტული დამოკიდებულებისაგან განსხვავებით მთარგმნ.) ერთი თვისითად-და-თვისთვის სუბსტანციური ერთიანობა და ჭეშმარიტება უფლებისა (სამართლისა)-თვისითად, რომელსაც (ამ ჭეშმარიტებას) ერთეულთა ნება უნდა შეწყვოს, რათა უფრო ჭეშმარიტი იყოს და რათა თავისუფალი ნება იყოს, არამედ აქ ამოსულად აღებულია ატომი ნებანი და ფოველი ნება უშუალოდ წარმოდგენილია როგორც აბსოლუტური!

ამგვარად, სახელმწიფოს მოენახა აზრით პრინციპი, რომელიც აღარაა რომელიმე ერთ შექედულებანზე დამყარებული პრინციპი, როგორცაა, მაგალითად, საზოგადოებრიობისაგან სწრაფვა (Sozialitätstrieb), საკუთრების უსაფრთხოების მოთხოვნობა და ა. შ. და აღარც კეთილშესახური დუთისმომიბობა, როგორცაა მთავრების ღმრთოდ დაღვინებულობის აღიარება, არამედ იგი პრინციპია იმ უჭველობისა (Gewilltheit), რომელსაც წარმოადგენს საკუთარ თვითცნობიერებასთან იგეფობა, მაგრამ ეს გერეკრობით არაა ჭეშმარიტების პრინციპი, რომელიც ხსენებულ პრინციპისგან დადაც რომ განსხვავებული გახლავთ. ეს არის უღდეუსი აღმორჩენა ჩვენი უმზანგანესი წილისა და თავისუფლების შესახებ. გონითის ცნობიერება ახლა არსებობდად ხდება ყოველივეს საფუძველი და ამით ბატონობა ფილოსოფიას ეძლევა. ბევრჯერ თქმულა, საფრანგეთის რეფორმაციის ფილოსოფიიდანაა ამოსული, და ფილოსოფიისთვის არც თუ უსაფრთხველად უწოდებიათ მსოფლიო სიბრძნე (Weltweisheit), რადგანაც იგი არის არა მარტო ჭეშმარიტება თავისითად-და-თავისთვის, ვითარცა წმინდა არება (Wesenheit), არამედ, ამასთანავე, იგი ჭეშმარიტებაცაა იმდენად, რამდენადც იგი მსოფლიოობაში (Weltlichkeit) ქვეჩორ სინამდვილეში) სიცოცხლეს იძენს. ამგვარად, ამ გემართებს შეჩინააღმდეგება, როცა გვეტყვიან, რეფორმაციამ თავისი პირველი ბიბეი ფილოსოფიისაგან მიიღო. მაგრამ ის ფილოსოფია მინც ვერ კიდევ მარტოდენ აბსტრაქტული აზროვნებაა, იგი არაა კონკრეტული ცნებით წვდობა (Begreifen) აბსოლუტური ჭეშმარიტებისა, ეს კი უზამზამარი განსხვავება გახლავთ

ამგვარად, ნების თავისუფლების პრინციპი არსებულქ სამართლის წინააღმდეგ გამოვიდა. მართალია, ვერ კიდევ საფრანგეთის რეფორმაციამდე რომელიმე მთარგუნა დიდებულები და მათი პოლიტიკების გაუქმებას მიადნია, მაგრამ მათაც, სამედიველოებასათუე მთარგუნა ვეცლა უფლებების მდამბო კლასის მიმართ. საფრანგეთის მთელი მდგომარეობა იმ ებოქაში სხვა არა არის რა, თუ არ აღვირახსნილი ერთობლიობა პროფიდეიტებისა, რომელიც აზრსა და გინებას წინააღმდეგება - უაზრო მდგომარეობა, რომელიც ზნეობისა და სულისკეთების უაღრეს განსრწნასთანაა დაკავშირებული. ეს იყო სამყარო უსამართლობისა, რომელიც,

ანუ, რაღა, სახელმწიფო, როგორც კომუნის თანაცხოვრების ორგანიზაცია, მეტია, ვიდრე მასში მყოფი ადამიანების ნებას ეძინა ორდელქითა დაქს ქვეითი უფროსი იყო, რომ ამ ვარქეობის გაყოფისწინააღმდეგ საფრანგეთის რეფორმაციამ არსებულ იქ, დღესათვის ის ნაღა არაა, რამდენ სვე რეველუციურა ცნობიერება აუქციდა. (მთარგმნ.შენ.)

მისი გაცნობიერების ახალდამწყობელი გამოღვივების წყალობით, უსირცხვილო უსამართლობად იქცევა. საშინელმა ზედწოდებამ, რომელსაც ხალხი განიცდიდა, მთავრობის გასაჭირმა, რომელსაც სამეფო კარი-სათვის ფუფუნებით დასახარჯი და გასაფლანგავი სახსრების მოპოვების საჭიროება ქმნიდა, უკმაყოფილების პირველი საბაბი შექმნა. ახალი ხულისკეფება ამოქმედდა: ზედწოდება მდგომარეობის ანალიზის სტიმულს აჩენდა, ადამიანები ზედამხედველ, რომ ზალხისგან გამოძალული ნაოფლარი თანხები სახელმწიფო მიზნებს კი არ ქმნადგებოდა, არამედ ცეცხლულად ფილანგებოდა. სახელმწიფოს მთელი სისტემა ერთ დიდ უსამართლობად გამოიყურებოდა. ცეცხლად მხოლოდ ძალდატანებით შეიძლება ვოფილივო, რადგანაც მთავრობა არაფრის შეცვლას და გარდაქმნას არ აპირებდა. მთავრობა კი იმიტომ არ ფიქრობდა არაფრის შეცვლას, რომ სამეფო კარს, სამღვდელთებას, თავადანზაურობას, თვით პარლამენტარებას კი თავ-თავის წილი პროფილეებით გააჩნდათ, რომლებიც არ ეთმობოდათ არც გაუჭირების გამო, არც თავისთავ-და-და-თავისთვის მთავრობის სამართლის გამო; მეორეც, იგი ამას არ ფიქრობდა იმიტომ, რომ იგი, ვითარცა სახელმწიფო ხელისუფლების კონკრეტული ცენტრი, პრინციპად ვერ მიიღებდა აბსტრაქტულ ვითუფულ ნებებს და ამითგან ამოსვლით ახლებურად ვერ აგებდა სახელმწიფოს; დაბოლოს, იგი ამას იმიტომ ვერ მოინდომებდა, რომ იგი კათოლიკური იყო, მამასადამე, თავისუფლების ცნება და კანონთა გონების ცნება მის მიერ არ განხილდებოდა, როგორც საბოლოო აბსოლუტური სავადებულობა, რაკილა სიწმიდე და რელიგიური სინდისი მისგან გაყოფილია. სამართლის (უფლება, Recht) აზრმა, მისმა ცნებამ უცხად დამიკვიდრა მნიშვნელობა და უსამართლობის ძველმა ციხე-სამაგვამ მას წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ამგვარად, სამართლის აზრზე ახლა მთელი წყობა იქნა აღმართული და ამიერიდან ყოველივე ამ საფუძვე-ლზე უნდა დაამყარებოდა. მას აქვთ რაც ცაში მზე ანათებს და პლანეტები მის გარშემო ტრიალებენ, ვერ არავის ენახა, რომ ადამიანი თავით დამდგარივოს,ანუ ყოველივე აზრზე დაემყარებისის და სინამდვილე ამ უკანასკნელის მიხედვით აველოს. ანაქსაგორამ პირველმა თქვა, რომ სამყაროს VOUZ. (გონება) მათავს, მაგრამ ადამიანი ახლად მთიდა იბის შეცნობამდე, რომ გონით სინამდვილე აზრმა უნდა მართოს. ეს მზის ბრწყინვალე ამოსვლებას ჰგავდა. ამ ეპოქას ვეუდა მოაზრებულ არსებანი ზეიმობდნენ. იმ დროს ამაღ-ლებული აღტყინება ბატონობდა, ქვეყანას ერუანტელივით უვლავდა გონის ენთუზიაზმი, თითქოს ღვათა-ბრთვისა და ამქვეყნიურის ნამდვილი შერაცხება მოსულივოს.

აქ ჩვენი ფურადღება შემდეგ ორ მომენტზე უნდა შეეაჩროთ I რეფლუციის მსვლელობაზე სა-ფურანგეთში. 2. იმაზე, თუ როგორ გახდა ეს რეფლუცია მსოფლიო-ისტორიული.

1. თავისუფლებას ორგანიზაციის განსაზღვრება აქვს. ერთი შეხება მის შინაარსს,მის ობიექტურობას (მის ობიექტურ მხარეს, მის რეალზაციას. მთარგმ. შენ.), თვით საქმეს (Sache). მეორე შეხება თავისუ-ფლების ფორმას, რომელშიც სუბიექტმა თავისთავი იცის, როგორც მოქმედი; რადგან თავისუფლებაა მოითხოვს, რომ სუბიექტმა იცოდეს, რომ იგი თავისუფლებაშია, და რომ ამ თავისუფლებაში თავისას (თავის წილს, მთარგმ. შენ.) იქმნავს, იმიტომ რომ მისი ინტერესია ის, რომ საქმე კთდებოდეს. ამის-დაკკრად, ჩვენ უნდა განვიხილოთ ცოცხალი სახელმწიფოს სამი ელემენტი და ხელისუფლება (Mächte), თუცა ამ თემის უფრო დამყარებით დამუშავებას გადავდებთ ლექციებამდე სამართლის ფილოსოფიის შესახებ.

ა) კანონები გონიერებისა, თავისთავადი უფლებისა (სამართლისა — Recht), ობიექტური ანუ რე-ალური თავისუფლება. აქ შეზღობის საკუთრებისა და პირივნების თავისუფლება.მისი დამკვიდრებით უქმ-დება ყოველგვარი მოსაკარგეობითი კავშირით განპირობებული არათავისუფლება, ყოველგვარი ფეოდალური უფლებასგან ნაწარმებული განსაზღვრულობები, ყოველგვარი მეთაულები და გამოსალებები. რეალურ თავისუფლებაში შემოდის, ამის გარდა, სულიშობა (სარწმუნო) თავისუფლება, რათა კაცს ნება ჰქონდეს თავით ძალები; ისე მოიხმაროს, როგორც ჰსურს, და თავისუფალი მისასვლელი ჰქონდეს ყველა სახელმწიფო თანამდებობასთან. ესენი ვახლავთ რეალური თავისუფლების მომენტები, რომლებიც გარშობას კი არ ემყარებიან (რადგან გრძნობა ფლობასა და მოსიბასაც ურიდდება), არამედ აზრს და აღნიანას მიერ საკუთარი გონითი არჩების თვითცნობიერების ქონას.

ბ) მაცემამ კანონთა განამდვილებელი ქმედება სხვა არა არის რა თუ არ მთავრობა (Regierung, მმართველობა) საერთოდ. მთავრობა, უპირველესად, არის ფორმალური განხორციელება კანონებისა და მათი დაცვა. ვარჯიშენ იგი აზორციელებს მინანს, რომელსაც წარმოადგენს ვრის დამოუკიდებლობა (Selbststän-

digkeit, თვითმდგომობა, თავისთავადობა), ვითარცა ინდივიდუალობის სახვითა პირისპირ დასასრულ, შიგნითკენ მისი მიზანია სახელმწიფოს და მისი ყველა კლასის კთილდღეობის უზრუნველყოფა და ამ თავისი ფუნქციით იგი არის განმგებლობა (Verwaltung, ადმინისტრაცია). რადგან საქმე მხოლოდ ის კი არაა, რომ მოკვლავს ამა თუ იმ ხელმძღვანელს მუშაობის საშუალება ჰქონდეს, არამედ ისიც, რომ მიხედვით მოგებას იღებდეს. არაა საკმარისი, რომ აღმანათნავს თავის ძალთა გამოყენების საშუალება ჰქონდეს, მას მათი გამოყენების შემთხვევაც უნდა ეტკულებოდეს. ამგვარად, სახელმწიფოში მტკს საყოველთაობის ეკონომიკური და მისი ამოქმედება (მოქმედებაში რეალიზაცია. Betätigung). ეს ამოქმედება გეუთენის სუბიექტურ ნებას — ნებას, რომელიც ასკენის (Beschlüssen) და გადაწყვეტილებებს იღებს. თვით კანონთა შექმნაც კი — ამ განსაზღვრებათა პუნჯა და მათი პოზიტიურად წარმოყვება, — უკვე ასეთი ამოქმედება გახლავთ. ამას მოსდევს გადაწყვეტისა (Beschlüssen) და შესრულების ამოქმედება. აქ კი ჩნდება კითხვა, თუ რომელი უნდა იყოს ის ნება, რომელსაც ხსენებულთა გადაწყვეტის ძალა გეუთენის? საბალოო გადაწყვეტა მარაქისაა. მაგრამ თუ სახელმწიფო თავისუფლებას ეფუძნება, მაშინ ინდივიდთა ნებებსაც, რომლებიც მრავალია, ჰსურთ გადაწყვეტილებათა მიღებაში წილის დაღება. მრავალი კი იგეგვება, რაც ყველანი. ამიტომ ფუჭ თავისსაძერუნად და უზარმაზარ არათანმმოდევრობად წარმოვიღებთ ის, რომ გადაწყვეტილებებში მონაქილეობასთან ცოტანი იქნენ მიშვებულნი, რაკიკა თავის ნების გამოყენებით იმაში მონაქილეობა, რაც კანონი უნდა გახდეს, ყველა კაცს ჰსურს. ცოტანი ბერეს უნდა წარმოადგენლობდნენ (vertreten), მაგრამ ხშირია, მაგრამ მათ პირიქით ფეხით თრუნუნებენ (ertreten). არანაკლები არათანმმოდევრობა გახლავთ უმრავლესობის ბატონობა უმცირესობაზე.

გ). სუბიექტურ ნებათა კოლიზიას კიდევ მეხამე მომენტთან მოვყავართ — სულისკვეთებასთან (Gesinnung), რომელიც (სულისკვეთება) კანონთა შინაგანად მონდომება (Wollen). იგი მხოლოდ ხნე-ჩვეულება (Sitte) კი არაა, არამედ სწორედ რომ სულისკვეთებაა, რომელიც იმას აღიარებს, რომ კანონები და წყობა, სულაც, ურყევი რამ არანა და რომ ინდივიდთა უმაღლესი მოვალეობაა, მათ თავიანთი ერთი ნება დაუქმებდებარონ. შესაძლებელია ბვერი სხვადასხვა შებედულება და აზრი არსებობდეს კანონების, წყობის, მთავრობის შესახებ, მაგრამ სულისკვეთება ის უნდა იყოს, რომ ყველა ეს შებედულებები სახელმწიფოს სუბსტანციური რაობის (Das Substantielle) მიმართ დაქმედებარებული რამ არიან და დათობილი უნდა იქნენ. შებედ, ეს სულისკვეთება ისეთი უნდა იყოს, რომ, მის თვალში, სახელმწიფოებრივ სულისკვეთებაზე უფრო მაღალი და წმიდა არა არსებობდეს რა, ან რომ, თუკი რელიგია უფრო მაღალი და სუფიერ წმიდა რამ არის, იგი ისეთს არაფერს შეიცავდეს, რაც სახელმწიფოს წყობას განესხგავებოდეს ან მისი საწინააღმდეგო იყოს. მართალია, (დღეს) ფუჭმედებულ სიბრძნედ ითვლება, სახელმწიფოს კანონებსა და წყობას რომ რელიგიისაგან აცალკევებენ, რაკი სახელმწიფო რელიგიის თანხლებით ფანტიზმისა და პირმოთნების ურინიათ. მაგრამ თუ სახელმწიფო და რელიგია შინაარსით ურთიერთგანსხვავებულნი არიან, ძირში მინც ერთნი არიან და კანონებს თავიანთი უმაღლესი გამართლება (Bewährung) რელიგიაში აქვთ.

აქ მარტოოდენ ლიტონი სიტყვით უნდა მოგახსენიოთ, რომ კათოლიკური რელიგიის დროს არაა შესაძლებელი არავითარი გინგებით (გონებისშესაბამისი) სახელმწიფო წყობა, რადგანაც მთავრობას და ხალხს ერთმანეთის მიმართ უნდა ჰქონდეთ უკანასკნელი ურთიერთგარანტია სულისკვეთების სახით ასეთი სულისკვეთება კი მათ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ისეთი რელიგიის ქონისას, რომელიც გინგების (გონებისშესაბამისი) სახელმწიფო წყობას არ შეინააღმდეგება.

პლატონმა თავის “რესპუბლიკაში” ყველაფერი მთავრობას (მმართველობას) დააკისრა (იმის განსაზღვრულად, როგორ წვაა საქმე, მმართველთა პირადი შემაღდენლობის ხარისხი ჩათვალა. მთავრმ.შენ.) და სულისკვეთება პრინციპად აქცია (მარტოოდენ პრინციპის როლი მიუკუთვნა მას. მთავრმ.შენ.), რის გამოც ძირითადი აქცენტია აღზრდას დასევა. ამისი პირდაპირ საპირისპირო თანაქმედროვე თეორია, რომელიც ყოველგვს ინდივიდუალური ნების საქმედ ხდის. მაგრამ, ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ამ ინდივიდუალურ ნებას ის სულისკვეთება (აზრთა წყობა) ექნება, რომლის დროსაც შესაძლებელია სახელმწიფო იარსებოს.

ახლა კი, ამ ძირითადი განსაზღვრებების შესაბამისად, ჩვენ თვალთ უნდა მოვადგინოთ საფრანგეთის რეპუბლიკის მსვლელობას და უფლების (სამართლის) ცნებიდან ამოხსლით მომხდარ სახელმწიფოს გარდაქმნას. თავდაპირველად მხოლოდ სრულებით აბსტრაქტულ ფილოსოფიურ ფუძედებულებათა წამოყენება მოხდა. სულისკვეთება და რელიგია სრულებით არ მიღებულა მხედველობაში. პირველ წყობას (კონსტიტუციას)

საფრანგეთში მეფობის კონსტიტუირება წარმოადგენდა: სახელმწიფოს სათავეში უნდა მდგარიყო მეფე, რომელსაც მისი მინისტრებითურთ აღსრულების ფუნქცია ეკისრობოდა, კანონმდებელ კორპუსს კი კანონები უნდა შეექმნა. მაგრამ ეს წყობა იმთავითვე წინააღმდეგობას წარმოადგენდა, რადგანაც ადმინისტრაციის მთელი ძალა კანონმდებელ ხელისუფლებას ენიჭებოდა: ბიუჯეტი, ომი და შვიდილია, შვიარალბული ძალის გამოყენა - ყოველფე ეს კანონმდებელი პალატის ამოცანას წარმოადგენდა. ეს ვველაფერი კანონში შეჰყავდა, მაგრამ ბიუჯეტი, თავისი ცენტის მიხედვით არ არის კანონი, რადგან იგი განხორციელებს ხისრულებას ყოველ წელიწადს, და ის ხელისუფლება, რომელსაც მისი დადგენა ევალემა, მმართველი ხელისუფლებასა. ამასთან დაკავშირებული გახლავთ მინისტრთა და მოხელეთა არაპირდაპირი დანიშვნაც და ა. შ. ამგვარად, მმართველობა გადაეცისრა პალატებს, როგორც ინგლისში - პარლამენტს.

ყოველფე ამასთან ერთად, ამ წყობას სრულებით არ ჰქონდა ნდობა. დინასტია საევეო იყო, რადგანაც მას ადრინდელი ძალა დაკარგული ჰქონდა, და მღვდლები ფიცს გაუბრუნდნენ. მთავრობის და წყობის ამგვარად დარჩენა შეუძლებელი იყო და ისინი დემხნენ კიდევ. მაგრამ რაღაცა მთავრობა (მართვა) მაინც კიდევ არსებობს. ამიტომ საკითხავია: ვის ხელში ვადავიდა იგი? თორთის მიხედვით, იგი ხალხის ხელში ვადავიდა, ამქმით კი იგი ვადავიდა ერთფული კონვენტისა და მისი კომიტეტების ხელში. ამიერიდან ბატონობა აბსტრაქტულ პრინციპებს ეკუთვნის - თავისუფლებას და, რადდენადაც ეს უკანასკნელი სუბ-იექტურ ნებაში ძველს - ქველბობას (Tugend). ახლა მმართველობის ტვირთი უკვე ქველბობას აკისრავა მრავალთა საწინააღმდეგოდ, რომლებიც თავიანთი ვაზრწნილებისა და ძველი ინტერესებისა გამო, ან კიდევ თავისუფლების ექსცესებისა და ენებათადელის გამო, მისი ერთფულნი ვერ არიან. ქველბობა აქ მარტევი პრინციპია და აღამაინებში მხოლოდ ერთ ვარწევას ახდენს - იმთასხ, ვინც სათანადო სულისკვეთებით ცდხლობს, და იმთასხ, ვისაც ეს სულისკვეთება არ აქვს. მაგრამ სულისკვეთების შეცვლას და მისი ვაბატონებულან. რადგან სუბიექტურ ქველბობას, რომელიც მხოლოდ სულისკვეთებიდან ამივლით ახორციელებს მმართველობას, თან უსაშინლესი ტირანია მოაქვს. იგი თავის ძალაუფლებას სასამართლო ფორმების ვარწევი ახორციელებს და ასევე მარტევი მის მიერ ვადწყვეტილი სასჯელიც - სჯელილი. ეს ტირანია ვარდუელად უნდა დღაუფუიყო, რადგან ვველა მიდრეკილვას, ვველა ინტერესი, თვით ვონიერეუბაც კი - ყველაფერი ამ საზარელი, თანმადღვარი თავისუფლების წინააღმდეგ ერთ მიმართული, რომელიც თავისი კონცენტრაციასში ესოდენ ფანატურად ვამოლიდა. შემდეგ კვლევ ორგანიზებული მთავრობა მოდის, წინამაუღლით, ოღონდ იმ ვანსაუბებით, რომ მეთაური და მონარქი ამკურად ცვლადი დირექტორიაა, ხუთი კაცისაგან შემდგარი, რომლებიც მორალურ ერთანობას შეადგენენ, მაგრამ ინდივიდუალურად - ვერა. ეველი მათ შორისაც სუფევდა, მმართველობა კვლევ კანონმდებელ კრებებს ეკუთვნოდა. ამიტომ ამ მთავრობისა ვადავარწენა ქწირა; თავი იჩინა მმართველი ძალაუფლების აბსოლუტურმა მოთხოვნილებამ. ასეთი ძალაუფლება ნაპოლიონმა აღმართა სამხედრო ძალაუფლების სახით და თვითონ ჩაუდგა სახელმწიფოს სათავეში - ისე, ვითარცა ინდივიდუალური ნება. მის შესწევდა ბატონობის უნარი და მინაგან საქმეში მალე ვატანდა კიდევ თავისი. თუ კიდევ დარწინილი იყვნენ ადუკატები, იდეოლოგები და პრინციპის აღმამანები, მათ ისინი ვარკე-ვამორეკა და ამიერიდან ვამეფდა არა უნდობლობა, არამედ პატევისცხა (Respekt) და შიში. თავისი სასიათის უხარმზარი ძალა მან ვარწევენაც მიმართა. მთელი ვამორწილა და თავისი ლიბერალური სახლეები ვაგურცვლა. არავის მოვაუბებინა მანამდე ისეთი დიდი ვამარულები, მან რომ მოიპოვა, არასოდეს არავის ქწარმოებინა მასვეით ვენით აღსავეი ლაშქრობები. მაგრამ არც ოდესმე ვამორწილა ესოდენ მკაფიო შემქნი ვამარუების უსუსრობა. ხალხთა სულისკვეთებამ - როგორც რელიგიუმამ, ისე ერთფულამ - ბოლისამბოლის დასაც ეს კოლიოს და სავრანგეთში კვლევ კონსტიტუციური მონარქია დამკარდა, რომელსაც თავისი საფუძვლად ქარტია ჰქონდა. მაგრამ აქ კვლევ ვამორწიდა სულისკვეთება და უნდობლობის დაპირისპირება. ფრანგები ურთითერთფულში იყენენ ჩაფულბი, როცა სიყვარულითა და ერთფულებით აღსავეი ადრესებს სწერდნენ მონარქიას და ქებას ასხამდნენ მის მიერ მოტანილი ზეგარდმო

კუროხეცას. ფარსის ომში ოხუმიქტ წელიწადს გაგრძელდა. თუმცა ქართა ყველასათვის საერთო შერიგებას წრტილი იყო და ოროვე მხარეს დაფიცებული ჰქონდა, რომ მასი ერთგული იქნებოდა, მაინც ერთი მხარეთაგანი კათოლიკური სულისკეთებით იყო გამსჭვალული, რომელიც არსებული ინსტიტუტების (ლაპარაკია სოსტიტუტური მონაპურებზე. მთარგმ. შენ.) კვლავ მოსაზრებს სინდისის საქმედ თვლიდა. ამგვარად, ისე განადა ნაპარალი და მთავარი კვლავ დაემხო. ბოლოსდაბოლოს, ორმოცი წლის ომებისა და განუზომელი არეულობის შემდეგ, ბებერ გულს საშუალება მიეცა ამ ომების დაშორებოდა და მშვიდობიანობის მოსვლით გაეხარა. მაგრამ თუ, ამგვარად, ერთი მხრივად პუნქტთაგანი მოგვარდა, მაინც კიდევ დარჩა ერთის მხრივ ის მხარი, რომელსაც კათოლიკური პრინციპი ქმნიდა, მეორე მხრივ კი ის, რომელსაც სუბიექტური ნება აჩენდა. რაც შეეხება ამ მეორე პუნქტს, აქ უმთავრესი ცალმხრივია იმპიოტი მდგომარეობის, რომ ზოგადი (საყოველთაო *allgemein*) ნება, ჩანაფიცების, ამასთანვე ემპირიულად საყოველთაოც უნდა იყოს, ანუ ერთგულებით, როგორც ასეთი, მართაც უნდა ქროდენენ, ანუ მართაჟში მონაწილეობას იღებდნენ. არ ემყოფილდება რა იმიო რომ მოპოვებულია გონივრული უფლებები, პიროვნებისა და საკუთრების თავისუფლება, რომ არსებობს სახელმწიფოს ორგანიზაცია და მასში - სამოქალაქო ცხოვრების წრეები, რომელთაც თითონ აქვთ შესასრულებელი სხვადასხვა საქმეები, რომ განსჯის უნარით დაჯილდოვებულ ადამიანებს ხალხში გავლენა და ნდობა აქვთ ლიბერალიზმი ყოველივე ამას უპირისპირებს ატომთა, ერთეულ ნებათა პრინციპს. მას სპურს, რომ ყოველივე ამ ცალკეულ ნებათა მყოფილად გამოხატული ძალაუფლების მიერ და მკაფიოდ გამოხატული თანხმობის შედეგად ხდებოდა. თავისუფლების ამ ფორმალური მხარის დაცვით ამ აბსტრაქციის აშარა დარჩენილი, ეს ერთეული ნებანი ვერანაირად ვერ უზრუნველყოფენ მტკიცე ორგანიზაციის წარმოქმნას. მთავრის კერძო განკარგულება-ლონისძიების მამინათვე წინ აღუდგება ხოლმე თავისუფლება, რადგან ეს ღონისძიებანი კერძო ნება არიან, მამასლამე — თეითნობა. მრავალთა ნება (უმრავლესობის ნება. მთარგმ. შენ.) ამხოებს მინისტრთა კაბინეტს და ამ უკანასკნელის ადგილს აქამდელი ოპოზიცია იჭერს. მაგრამ რაკი მთავრობად იქცევა, ამ ოპოზიციას მრავალნი (უმრავლესობა. მთარგმ. შენ.) აყვს თავის მრწინადმდევედ. ასე გრძელდება მოძრაობა-მოუსვენრობა: ეს კოლონია, ეს ნასკეი, ეს პრობლემა გახლავთ სწორედ ის, რასაც ისტორია ახლა მოსდგომია და რაც მას უახლოეს მომავლში აქვს გადასაწყველი.

2. ახლა კი საფრანგეთს რევოლუცია უნდა განეხილით როგორც მსოფლიო-ისტორიული, რადგანაც თავის მიერ მოცული შინაარსის მიხედვით ეს ხდომილება მსოფლიო-ისტორიული გახლავთ და მისგან კარგად უნდა განასხვავოთ ფორმალისმისეული ბრძოლა. რაც შეეხება გარეგან განვრცობას, დაჭერობათა შედეგად ზეზონსებულ პრინციპს გზა თითქმის ყველა თანამედროვე სახელმწიფოსკენ გაეხსნა, ან კიდევ ეს პრინციპი გამოკეთილად იქნა დამკვიდრებული მათში. სახელდობრ, ლიბერალიზმი ყველა რომანულ ქვეყანაში — საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში გაბატონდა. მაგრამ იგი ყველგან გაკოტრდა. ჯერ ეპიქსტადა მისი დიდი ფორმა საფრანგეთში, შემდეგ მას იფივე ბედი ქწია ესპანეთსა და იტალიაში. ამასთან, მას ორმა გაკოტრებამ მოუწია ომ სახელმწიფოებში, სადაც იგი შეტანილ იქნა. ესპანეთში იგი ორჯერ შემოიღეს: ერთხელ ნაპოლეონისეული კონსტიტუციის ძალით, მეორედ კორტესების მიერ მიღებული კონსტიტუციისათვის. ასევე მოხდა პიემონტში — ერთხელ, როცა იგი საფრანგეთის იმპერიოში იქნა შეყვნილი, მეორედ — საკუთარი ამბოხების შედეგად. ასევე რომშიც, ნეაპოლშიც იგი ორ-ორჯერ შემოიღეს. ისე მოხდა, რომ ამ აბსტრაქციამ, რასაც ლიბერალიზმი წარმოადგენდა, საფრანგეთიდან გამოსულმა მთელი რომანული სამყარო მოიარა, მაგრამ რელიგიური ყნობის წყალობით ეს ქვეყნები მაინც პოლიტიკურ არადავისუფლებასზე მიჯაჭვული დარჩა. რადგან ყაბი პრინციპი გახლავთ თუ მოინდომებთ უფლებას (სამართალს) და თავისუფლებასზე დადებული ბორკილების მოცილებას ისე, რომ განთავისუფლებულ არ იქნეს სინდისიც, — თუ მოინდომებთ რევოლუციის რეფორმაციის გარეშე.

ამგვარად მოხდა, რომ ეს ქვეყნები თავის ძველ მდგომარეობას დაბრუნდნენ, იტალიაში — გარეგანი პოლიტიკური მდგომარეობის ერთგვარი ცვლილებით. ვენეცია და გენუა — ეს ორი არისტოკრატია, რომელთა ლეგიტიმურობა მაინც საეჭვო არ იყო, — გაქრნენ, ვითარცა დამყაყებელი დესპოტიზმები. გარეგან ძალას არაფერი შეუძლია დაიღა ხნით. ნაპოლეონმა ისევე ვერ აიძულა ესპანეთი, თავისუფლება მიეღო, როგორც ფილიპე II-მ ვერ აიძულა პოლანდია, მონობას შეპირებოდა.

ამ რომანულ ერებს უპირისპირდებიან სხვები, კერძოდ კი პროტესტანტი ერები. ავსტრია და ინგლისი შინაგანი მოძრაობის ამ წრის გარეთ დარჩნენ და შინაგანი სიმყარის დიდი და უწყველო ნიშნულები მოგვცეს.

ავსტრია სამეფო კი არაა, არამედ იმპერიაა, ანუ მრავალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის აგრეგატია. მასში შემაჯავლი უმთავრესი ქვეყნები გერმანული ბუნებისა არაა. იხიანი იდეებისაგან შეუხებულნი დარჩნენ. რაკი არც განათლებას და არც რელიგიას ამ ქვეყნების ხალხები წინააღმდეგობისათვის არ გაუღვიძებია, აქ ქვეყნებში ზოგან ყომაში დაიკარგნენ, ზოლო დიდებულები დაითარებნენ, როგორც ეს ბოჰემიაში მოხდა, ზოგან, პირუქუ, თავი დაიმკრანა ბარონთა თავისუფლებამ, რომ განუწყობავი ძალმომრეობით ებატონათ, როგორც უნგრეთში. ავსტრიამ ხელი აიღო უფრო მჭიდრო კავშირზე გერმანიასთან, რაკი ამას თავისი საიმპერატორო წოდება არჩია, და ამით დათმო თავისი მრავალი სამფლობელო და უფლება გერმანიასა და ნიდერლანდში. ამეჰამდ იგი ცეროპაში არსებობს როგორც თავისთავისმყოფი პოლიტიკური ძალა.

ინგლისმაც დიდი ძალისხმევის ფასად შეინარჩუნა თავი თავის მუელ საფუძვლზე მდგომარე. ინგლისურმა კონსტიტუციამ დაიმკვიდრა და გახდა მათი სახელმწიფო საფუძვლითი რვევის პირობებში, თუქცა ადვილი იყო, იგი ამ ადრეულობას აყვარდა იმის გამო, რომ თავისუფლებისა და თანასწორობის ფრანგული პრინციპები იოლად გაიკვლევდა გზას ხალხის ყველა კლასის გულისკენ, რაკი სამისოდ შემზადებული იყო ნადავგი საჯარო პარლამენტის, ყველა წოდების საჯარო კრებების ჩვევისა და თავისუფალი პრესის მიერ. ნუყო ინგლისური ერი, თავისი განათლების მიუხედავად, იმდენად ჩლუნგი აღმოჩნდა, რომ ამ ზოგად პრინციპებს ვერ მისწვდა? არა, არც ერთ სხვა ქვეყანაში თავისუფლება იმდენი სამინისტროს რვეუქვიოსად და იმდენი საჯარო მსჯელობის საგნად არ გამოხარა. თუ, იქნებ, ინგლისური კონსტიტუცია იმდენად სრულად იყო უკვე თავისუფლების კონსტიტუცია და ზემოხსენებული პრინციპები მასში უკვე იმდენად იყო განზოცილებული, რომ მათ აღარ შეეძლოთ არა თუ ძველისადმი წინააღმდეგობის გაქვის სურვილის აღძვრა, არამედ ახლისადმი რაიმე ინტერესისაც კი? მართალია, ინგლისელმა ერმა კვერი დაუკარა საფრანგეთის გათავისუფლებას, მაგრამ მას სიამაყით ჰქონდა ვანციოიერული საკუთარი ყომა და საკუთარი თავისუფლება. ამიტომ სხვათა მიბაძვის ნაცულებად მან ჩვეული მტრული პოზიცია დაიკავა უცხოის მიმართ და მალე ჩაება საფრანგეთის წინააღმდეგ ომში, რომელიც პოპულარული გახლავთ.

